ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

**1872**

თებერვალი.

მარტის „მნათობის", წიგნში დაიბეჭდება უფ. დიმიტრი ყიფიანისაგან ნათარგმნი შექსპირის დრამა „შეშლილი".

ეს თარგმანი არის პირდაპირ ინგლისურიდამ და არის შედარებული ფრანციცულსა და რუსულს თარგმანებთან. როგორც ფრანცულს, ეგრეთვე რუსულს თარგმანებში ზოგგან ისეთ ნაირათ არის შეცვლილი აზრი, რომ შექსპირი აღარ გეჩვენებათ. ქართული თარგმანი ამ შემთხვევაში ამ ორივე თარგმანებზედ მაღლა დგას.

ამას იქითაც იმედი გვაქვს, რომ უფალი დიმიტრი ყიფიანი არ მოგვაკლებს თვის ნიჭიერს თარგმანებს.

წელიწადი მეოთხე.

თბილისი

თბილისი
ხ. მელიქოვის და ამხ. სტამბა

## თებერვლის წიგნის შინაარსი:


რედაქციის განცხადება . . . . .

მაცი ხვიტია. რომანი მეგრელის ცხოვრებიდამ . . . . . . . . ა. ფურცელაძისა.

ხანაიკო. ესპანიური მოტივებიდგან. VII. (ნათარგმნი) . . . . . . . ნ. ლომაურისა.

ვილჰელმ-ტელლი. (დასასრული) თარგ. ნ. ავალიშვილისაგან.

გლეხის შვილს. (ლექსი) . . . . ნ. ლომაურისა.

ზარიფი. (ბარბიედამ) თარგ. . . . . ა. ფურცელაძისა.

საქართველო მირიან მეფის დროს . . დ. ბაქრაძისა.

ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ. (ნათარგმნი) . . . . . . . . ეკატირინე დვინიაშვილისა.

სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღეები — როსსელისა. (ნათარგმნი) რუსულით . . . . . . . .

კრებულ-დროებას (პასუხი) . . . . ა. ფურცელაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## 1872

თებერვალი.

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი სახსს...
...

არც კაცივარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თბილისი
ხ. მელიქოვის და ამხ. სტამბა.
1872.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Дозволено Цензурою, Тифлисъ 30 Феврали 1872 г.*

1872 წელში.

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

გამოვა იმავე დაწყობილებით და მიმართულებით, როგორც ქამდის გამოდიოდა.

**1872** წ. "მნათობის,, ფასი. მთელი წლისა გაგზავნით იქნება შვიდი მანეთი. ნახევარ წლის ხელის—მოწერა არ მიიღება; გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

ვისაც "მნათობის,, დაბარება ჴსურს, რედაქცია ხთხოვს აცნობოს მას და მასთანავე წარმოადგინოს ხვედრი ფული.

## ხელის—მოწერთა მიიღება.

თფილისში: უფ. სემინარიის მასწავლებერთან გიორგი იოსელიანთან და ანუ ალადათოვის წიგნების მაგაზიაში:

ქუთაისში: უფ. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთან გერასიმე კალამდარიშვილთან

გარეშე ხელის მომწერთ უნდა დაიბარონ ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Учителю Семинаріи Георгію Николаевичу Іоселіани.* ფულიც ზთუოდ ყველამ ამავე ადრესით უნდა წარმოადგინონ.

რედაქ. ნ. ავალიშვილი.

# რედაქციის განცხადება.

წარსულის 1871 წლის ‘‘მნათობის,, ხელის – მომწერნი უმეტესი ნაწილნი ისინი იყვნენ, ვინც წარსულ 1870 წელში იყვნენ. რადგან სხვა და სხვა მიზეზის გამო 1870 წ. ‘‘მნათობი,, ოთხი წიგნის მეტი არ გამოვიდა, ამიტომ იმ ხელის მომწერთ თავიანთ ფულში გავგზავნეთ რვა ნომერი და მით შეუსრულდათ თორმეტი წიგნი (მთელი წლის). წარსულის 1871. ‘‘მნათობის,, დანარჩენი ოთხი ნომრის ფული თუმცა იყო გამოცხადებული, მაგრამ არავინ არ შემოიტანა; ხოლო ის ხელის მომწერნი, რომელთაც 1871 წლისაგან დაიბარეს ‘‘მნათობი,, და ფული სრულად შემოიტანეს—ისე მცირენი იყვნენ, რომ იმათის ფულით ჯერ გამოიცემოდა შემდეგი ოთხი წიგნი. ამის გამო რედაქციამ არჩია მოხსენებულ წელიწადში ‘‘მნათობის გამოცემის შეწყვეტა და აწმყო 1872 წ. იანვრიდგან გამოცემის დაწყება. და ვისაც ამ 1871 წლის ფული სრულად აქვსთ შემოტანილი, იმათ მიეცემათ ამ 1872 წლის ოთხი წიგნი და მით შეუსრულდებათ თორმეტი, და დანარჩენი რვა ნომრის, თუ ჰსურთ მიღება – უნდა შემოიტანონ კიდევ ხუთი მანეთი.

---

ვისაც ამ 1870 წ.—71 წ. ‘‘მნათობის,, ფული არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს, ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Учителю Семинаріи Георгію Николаевичу Іосельяни.*

რედ. ნ. ავალიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მატი ხვიტია

(გაგრძელება).

8

ამ თოვის ხროლაზედ მოცვივდნენ რამდენიმე გარშემო მცხოვრებლები. ნახეს მატი და მგვიბია ერთმანერთზედ გადახვეულნი და უგლამდინ სისხლში მოსვრილნი ეყარნენ უგონოთა. მგვიბი იყო უსულო და მატი კიდევა ფეთქამდა. მატი მოასურიელეს, მაგრამ ისე მძიმეთ იყო დაჭრილი რამდენსამე ალაგას, რომ მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა. მატი გადიყვანეს ერთს თავის ნათესავთან, რომელიც არა სცხოვრებდა აქედამ შორს. იმას დაჰხვიეს მრავალი ექიმები, მაგრამ დღეთი დღე იმის სიცოცხლე მიდიოდა უკან და უკანა. მატი კვდებოდა და იმას თითქო არა ენანებოდა რა ამ სოფლის განშორებით. მხოლოდ სანატრელად ესლა ჰქონდა, რომ ერთი სიკვდილის დღეს კიდევ ენახა თავისი მგვლელი ეკა; უნდოდა ერთი იმის კალთაში გამოეტირნა თავისი უმაწვილ-კაცობა და მასუკან ამას სიცოცხლე აღარც სანანურად დარჩებოდა. მაგრამ ვინ აჩვენებდა ამას ეკას? რომ დანიშნეც არის მოესწრო, კიდევ იქნება მშობლებს ნება მიეცათ ეკასთვის ამის ნახვის, მაგრამ ეს არამც თუ დანიშნული არ იყო, და, როგორც წინათაც იყო ნათქვამი, მამისაგან დიდი უარიც მოუვიდა ეკას შერთვისა. მატის სწყუროდა ეკას ნახვა, ჰკლავდა იმისი გამოუსალმებლობა, მაგრამ ეს თავისი მწუხარება ვერავისთვის გაეზიარებინა, რათგან არც იმე-

დი ჰქონდა თავისი სურვილის შესრულებისა და არც უნდოდა, რომ ვისმე გაეგო ამათი დაახლოვება, რომ ამითი არ დამცირებულიყო მის თვალში ის ადამიანი, რომელიც ამას უღირდა ყველაზედ ძვირად.

ძევს მაცი საშინელი შეწუხებული, იმედ გადაწყვეტილი თმა გა-წეწილი დედა, დები, ძმა და სხვა ნათესავნი დამორდუნი *) საშინელის გულის გასაგმირის ხმით გაჰკიოდნენ, თითქო უმასიან მთელს ქვეყა-ნას საშველლათ, რომ დაგვიბრუნოს ჩვენი მაცი, ჩვენი მარჩენელი და შემნახველიო; თითქო ამ ხმით უნდა გაჰგმირონ ან შებრალება გაა-ღვიძონ შეუბრალებელის სიკვდილის გულშიაო. ძმა და მორდუები საშინელის ზარით მოსთქვამდნენ მაცისა. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა დედას, დებს და ძმას მაცისას ცემისა და კაწრისაგან დასხეთქილს თავპირიდამა. მოზარენი იყვნენ შეყრილნი მაცის გამოსა-ტირლად. მაცი ძლივსღა სცნობდა თავის გარშემო მყოფთ. ამ დროს ვიღაცა ცხენიანი საშინელის სისწრაფით მოადგა იმ სახლს, სადაც იწ-ვა მაცი. თავპირ უსბალასში გასქეული, მოკლე ნაბად მოკუსული მხრებ-ზედ, ის შევარდა პირ და პირ სახლში.

— სადაა მაცი? —იკითხა მან ხმის კანკალით და აჩქარებით.

ამ უცნობის კაცის შემოსვლამ სუყველა გააოცა და დაუწყეს იმას გაშტერებით ცქერა.

— აე, მაცი! — უჩვენეს ერთბაშათ ყველამ.

— გადით ყველანი აქედამ! —უთხრა გადაწყვეტილის კილოთი მოსულმა.

ყველანი წავიდნენ.

— ყველა, ყველა! —დაუმატა იმან, როდესაც დასტყო, რომ დედა, დები და ძმა გაჩერდნენ კარებთან.

---

*) მიმეულნი.

ისინიც რაღაც უნებლიედ გავიდნენ.

მოსული მიჰყვა იმათ კარებამდის და ჩაეკრა მაგრა გულში, იმან მოიხსნა ნაბადი და ყაბალახი და რაღაც გულ ამომჯდარის აშფოთებით გაექანა მაცისაკენ.

— მაცი! რას გხედავ მაგი?!... მიცან აბა შენი ეკა?!

მაციმ გაახილა თვალები. იმან იცნა ეკა და ისინი გამწარებულნი ჩაეკრნენ ერთმანერთს. დიდს ხანს იყვნენ ისინი ასე ჩაკრულნი ერთმანერთთან, დიდს ხანს სდიოდათ იმათ ცრემლები და ვერა ჰშორდებოდნენ ერთმანერთს, თითქო ეშინოდათ, რომ ამ მოშორებით საუკუნოთ არ მოშორებოდნენ ერთმანერთს.

— აწი, რავამც ცოცხალი გნახე, არ მოგკლავამ შენ! —უთხრა ეკამ, რომელსაც მლივს აიღო თავი მაცის გულიდამ.—უმალ ეკას გულზედ ნახავ მიწას, ვიდრე ეკა ნახამდეს მაცის მკვდარს.

— კი, აღარ მიჭირს სიკვდილი, შენ რომ გნახე.—ეუბნებოდა მაცი საშინელის სუსტისა და გაბზარებულის ხმით.—ახლა ქე მჯერა, რომ ღმერთს ჩემი სიბრალული კი ჰქონია.

აქ ეკამ გადიწია თავისი გძელი ჩოხა, ჩაიყო გძელს ახალუხის ჯიბეში ხელი და ამოიღო რაღაცა შუშით წამალი. იმან იბოვნა სადღაც ერთი სის კოვზი, დაუსხა ეს წამალი და დაალევინა. ბატარა ხანს მაციმ იგრძნო რაღაც უკეთი. შემდეგ ამოიღო ეკამ მალამოები, გაუხსნა დაკოდილები მაცის, მოჰბანა კარგათა, დაადო ეს მალამოები და შეუხვია ყველა თავის ხელითა.

— ახლა მშვიდობით! —ის მივარდა ცხარეთ მაცის. ჩაეკვრნენ ისინი კიდევ მაგრა ერთმანერთსა და გამოესალმნენ.—ეს მალამოები ყოველ დილა საღამოთი იდე და ეს წამალი დღეში სამჯერა სვი. მე მეტს ხანს აქ ვერ დავრჩები, თვარა მშობლები ქე შემიტყობენ. ჩემი

აქ ყოფნა არ ვინ უნდა იცოდეს. ვინც გკითხოს, უთხარ დედოფლის ექიმის კაცი იყო თქვა. მე კიდევ გნახავ.

აქ ეგა გაეხვა ისევ ყაბალახსა და ნაბადში, მოახტა მარდათ ცხენს და გასწია სასწრაფოთ.

## 9

გაიგო თუ არა ეგამ მაცის დაჭრილობა, ეს იმდენს ეცადა, რომ გადმოვიდა ერთს მახლობელს სოფელში სტუმრათ თავის ნათესავებთანა. აქედამ ეგა ადევნებდა ყურს მაცის მდგომარეობას და იყო საშინელს განწირულებაში. ბოლოს, როდესაც გაიგო ხმა, რომ მაცი უფრო და უფრო უარესათ ჰსდება და იმისი შველა შეუძლებელიაო, ეგამ იხმარა უკანასკნელი ღონისძიება. იმას გაეგონა, რომ დედოფლის ექიმმა თუნთიხუმ იცის ჩინებული წამლობა დაჭრილობისა და ასეთი წამლები არავინ არ იცისო. ზუგდიდი არ იყო შორსა, სადაც სცხოვრებდა ეს ექიმი. ეგა საპარასკეობით დათხოვა თავის ნათესავებს ზუგდიდს წასასვლელათ იქაც ვითომც თავის ნათესავებისა და პარასკეობის სანახავათ და სხვა და სხვა სავაჭროების სასყიდველათ.

ზინდმა ჰკრა, რომ ეგა საშინელის გულის ცემით შევიდა ამ ექიმ დედაკაცთანა. თუნთიხუმ რომ შეჰხედა, გაოცა ის ეგას მშვენიერებამ. იმისი შავი მაყვალივით თვალები, შავი გიშერივით მოშზინარე თმა, საშინელი ცოცხალი სახე და ის საშინელი მწუხარება, რაღაცა გამოუთქმელს გრძნობასა, რაღაცა პატივის ცემას აღვიძებდნენ კაცის გულში.

თუნთიხე დიდს ხანს გაშტერებული უყურებდა ეგას მშვენიერებას, და ბოლოს ძლივს გამოელაპარაკა.

— აპა და ვისაც შენ შეიყვარებდი, ის კაცი ეღირება მათ, რომ

*) ესე იგი თუნთიას ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთან მოსულიყავ. მარა თუ უღირსი კაცია კი არ მოგცემ მის სიყვარულის წამალს.

— არა, ჩემო დიდებულო ბატონო! მე სიყვარულის წამალი არ მიჭირს: მე სხვაფრივ მიჭირს შენი თავი.—აქ ეკამ ამოალაგა ჯიბიდამ რაც კი სადმე ძვირფასი ნივთეულები ჰქონდა, დაულაგა წინ, დაეცა მუხლებზე და მოეხვია ფეხებზედ თუნთიხეს.—აჰი მიშველი შენ და მომკლავ შენ,—დაიწყო გულ-ამოჯდომით ტირილი, ეკამ.

თუნთიხემ ააყენა ეკა, მოეხვია და აკოცა.

— აჰა და თუ შენისთანა ლამაზს არ ვუშველი, მაშ მე შველა სულ აღარავისი შემძლებია. მითხარ რაში გიჭირს ჩემი თავი.

აქ ეკამ უამბო ყველა მაცის დაჭრილობა.

— ვინაა მაგი ბედნიერი, ვისთვისაც შენ აგრე ცდილობ?—ჰკითხა თუნთიხემ.

— მაგი, აქ მოსაჭრელი თავი რომ აქ მომჭრან, ვერ გეტყვი,—უთხრა ეკამ,—და თავის დროზედ კი შეიტყობ.

— მართალი ხარ შენ. შენი ხნიერება ნებას არ გაძლევს მაგგვარი საქმის გახმიანებას. აჰა და მოგცემ წამალს, მარა, როცა მორჩება, უნდა მითხრა, ვინცაა მაგი ბედნიერი.

— კი, შენი მუხლების ჭირიმე!—და ეკა ხელ მეორეთ დაეცა მუხლებზედ და მოეხვია სიხარულით თუნთიხეს.

თუნთიხემ დაუწყო მზადება წამლებსა. ეკა იჯდა იმედ მიცემული და ცოტა არ იყო გაუმხიარულდა სახე.

ამ დროს შემოვიდა თუნთიხესთან ოდიშის ბატონის ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ვაჟი. იმან შემოაღო ბრთხილად კარები და, დაინახა თუ არა ეკა, გაოცებულ ამ მშვენიერებისაგან, გაშტერდა იქ-ვე, მიეყუდა გარეთა კარებს და დაუწყო იქიდამ ცქერა იმას აშვარდა თავში სისხლი. იმან დააპირა იქვე კარების ჩაკეტა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარათ ქალის ხელთ ჩაგდება. მაგრამ ერთი ეკას დამშვიდებულმა და სრულიად უმზაკვრო უმანკო სახემ გააჩერა ისა.

— აჰ! თუ ეგ არ ჩავიგდე ხელთ და მაშ ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა,—განიზრახა იმან გულში და თან და თან საშინელის თვალების ბრიალით და გულის ცემით შინჯავდა თავიდამ ფეხებამდის ეკასა.

თუნთიხემ გააკეთა წამლები და მისცა ეკას, დაარიგა როგორც უნდა ეძლია ავათმყოფისთვის. ეკამ სიხარულით დაუკოცნა ხელები და გასწია სწრაფათ.

— ეგ წამლები რომ გამოელევა კიდევ უნდა მნახო, თუ არ მარ-ტო ეგ არ ეყოფა,—უთხრა მიმავალს ეკას თუნთიხემ.

— კი, სქანი ჭირი!—მოაძახა მადლობით ეკამ და გასწია სირ-ბილით.

ეკა მეორე დღეს დილით იყო მასთან.

— მაგი, მშვენიერი ვინ იყო?—შემოვიდა უცებ და ჰკითხა მემ-კვიდრემ თუნთიხეს, რომელთანაც ეს უმაწვილი კაცი დაიარებოდა უმა-წვილს ქალებთან დასაკავშირებლათ და შესაცდენათ.

— აჰ, კი, ბატონიშვილო, შენც ნახე მაგი რა მშვენიერი იყო? შენ რავა გამოგეპარება, ჩემო დღეგრძელობავ, მისთანა ლამაზები?—ეუ-ბნებოდა თუნთიხე.

— აჰ! უმაგისოთ თავი ცოცხალი არ მინდა! მითხარ ვინ იყო ეგ ჩემი მკვლელი, ეგ?

— არ მითხრა თვით ვინ იყო, მაშინვე რა კი შენ გამახსენდი, ჩემო ლამაზო პატონიშვილო. შენ არ მომიკვდე, შენს მეტს ეგ არ ვის მოუხდეს.

— აჰა, და თუ შენ ეგ ჩემთვის გინდოდა, რავა არ შემატყობინე?

— კი, მარა, მისმა მშვენიერებამ და მისმა მწარე თხოვნამ სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად დემაზნია. ხსვიმისაც კი მაგი ჩვენს ხელთაა და შენ არ მომიკვდე, შენს გარეისათ ეგ სხვას არ ვის კარგუნოა.

— ჰო, და, თუ მაგას არ მამიგვარებ შენ და მეც კი განსამ რავამც ისეირებ ქვეყანაშიდ.

— კი, კი, შენ ნუ მოუკვდე, ჩვენო დიდებულო ხელმწიფევ!... ჩემს მწყალობელს რავა დაგივარგავ შენ მაგას.

— მაგრე ჩემო თუნთიხე, თვარა არც შენ და არც მაგის პატრონებს არ დავაყრი კეთილს.

— მაშ მოკვდეს შენი თუნთიხე, თუ უმალ არ შეგისრულო შენი წადილი.

— რაც მალე იქნება, იმდენი უფრო მიიღებ ჩემგან მადლობას·

— ჯერ მინამ შექქეც სხვებთან, ვინც მეაგს შენთვის დამზადებული და მერე ეგ იქნება. ისიც აქანაა და, თუ მიბრძანებ, შემოვიყვან.

— აჰ, შენ არ მომიკვდე, მაგის მნახველს მე სხვა აღარა ვინ ვინდომო. თუ იქნება—ეგ, თუ არა გამოესალმე სიცოცხლეს.—ამ სიტყვებთან გავიდა უმაწვილი ბატოიშვილი.

## 10.

ამ წამლებისაგან მაცი უცებ წამოვიდა წინ და შევიდა უკეთობაში. მაგრა, რათგან ბევრი ჰქონდა დაჭრილობა, წამლები მალე შემოელია.

ეგა ამავე წესით წავიდა ზუგდიდს პარასკეობას და მივიდა თუნთიხესთან.

— აჰ, დაბძანდი ჩემო მშვენიერო. შენ წამლებს რავა დაგიჭერ. წამლებს არა და შენ ისეთს ბედნიერებას გწიო, რომ შენი დღენისულ ჩემი გზა ლოცო. ჩვენ პატიოსკუამ, მთავრის შვილმა, რავამც განხა

შენ ისე გედირია, რომ სთქვა უმისოთ ცხოვრება არ შემიძლია თქვა. აჰა, ბედნიერება უკეთესი რაღა ექნება კაცს! აწი რაწამც შეიტყობს შენს აქ მოსვლას, იმწამს აქანა დეიბადება და გაბედნიერდი საუკუნოთ.

ეკა აენთო საშინლათ. ამ სიტყვებისაგან ამას დაუწყო მთელმა ტანმა თრთოლა. იმან დიდს ხანს ვერ მოახერხა რა პასუხი მიეცა. ის ამგვარს შემთხვევას არას დროს არ მოელოდა.

— რა ბედნიერება! — დაიწყო იმან ხმის კანკალით. — ბატონიშვილს ჩემი რა ბედნიერება შეუძლიან? ჩემი ბედნიერება ის იქნება, რომ ის მომირჩეს, ვინც მე მინდა. თუ არა და ჩემი ბედნიერება ერთ ჩალათ არ მიმაჩნია და არც ვიცოცხლებ თავს.

— არა და მაგ ბედნიერებასაც ქე დაჰკარგავ და არც ის მოგირჩება. აწი როგორც გიჯობდეს ისე მოიქეც.

ეკა დაფიქრდა და დაიწყო ტირილი. იმას, წარმოუდგა, რომ მაცის სიცოცხლე იყო დამოკიდებული თუნთიხეზედ და უამისოთ უნდა საუკუნოთ გამოსალმებოდა ის თავის სატრფიალო მაცის.

— აჰა, — ჰფიქრობდა ის: — გავიფუჭო თავი, და რაღათ უნდივარ მაშინ მაცის! რაგვარა პირით მივეგებები იმას! რაგვარა თვალით შევხედავ ქვეყანას! არა, და მაშინ უნდა მოკვდეს მაცი. — ამ უკანასკნელს ფიქრზედ ეკას გაუელვა საშინლათ თავმა. როგორ თუ უნდა მოკვდეს მაცი! მაშინ ან ქვეყანა რაღათ უნდა ამასა, ან რაღაში დააფასებს ქვეყნის აზრსა.

— აჰა, და მაშ რაგვარა ქალი ვყოფილვარ, თუ მაცის არ ვანაცვალებ თავსა! — აქ ეკამ დაანება ტირილს თავი, შეიმაგრა გული და მიუბრუნდა თუნთიხეს.

— აწი, შენი მუხლების ჭირიმე, ფაჭაჭიავ *), მიბოძე წამლები

---

*) საკუთარი სახელი თურთიხესი.

და რავარც მიბრძანებ ისე მოვიქცევი. ჩემგან დიდებული პატრონის-კუა რავა დეიწყუნებს. კი, სიბრიყვით მემივიდა, რომ წყლან უშრაჯ სთქვა.

გახარებულმა ამ სიტყვებისაგან, თუნთიხემ მაშინვე ათვრინა ერთი პატარა ბიჭი მემკვიდრესთან და თითონ დაუწყო მზადება წამლებს.

— ბრყვლი ჩააკეთე, შენი ღმერთის ჭირიმე, რომ დაკოდილი ბრყვლი აქვს, თვარა მე ვერ ვბედავ იქანა მისვლას, და ის დროზედ ვერ მაგებინებს და რჩება სამი-ოთხი დღე უწამლოთ.

— კი, ჩემო სურნელიანო! შენთვის ყველაში მზა ვარ, ოღონდ შენ ასიამოვნე ჩვენს დიდებულს პატრონს.

აქ თუნთიხემ მოუმზადა ბლომათ წამლები და მისცა ეკას. ეკამ ჩაიწყო ისინი ჯიბეში და ის იყო აპირებდა გამოვარდნას, რომ ამ დროს შემოვიდა ყმაწვილი მემკვიდრე და მოიკეტა კარები. მეორე კარიდამ გავიდა გურანდუხტა, გაუშვა ისინი მარტონი და ჩაკეტა გარედამ კარები. მემკვიდრე, თავში სისხლ-ავარდნილი და საშინლათ სურვილისაგან აღელვებული, გაექანა ხელებ განპყრობილი ეკასაკენ, რომ უცებ გაიკრა ეკამ კაბის კალთის ქვეშ ხელი, გაიძრო ტამბაჩა, შემოსვა ფეხზედ და მისცა ყმაწვილ კაცს გულში.

— აჰა, პატრონის კუავ, და თუ წამოხდგამ წინ ფეხს, მაშინ ნახავ რაც დაგემართება.

ბატონიშვილი, შემკრთალი და შეშინებული იმ მოულოდნელი ამბისაგან, დაეშვა იქვე ერთს გძელს ხის სკამზედ. ეკა ეცა უცებ კარებს, ტამბაჩით ხელ გაწვდილი, გააღო კარები, გამოვარდა საჩქაროზედ, და გულის ქაცქაცით და საშინელის შემკრთალის სახით დაბრუნდა შინა. მეორე დღეს ის იყო მაცისთან წამოღებულის წამლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

დიდს ხანს ვერ მოვიდა გონს უმაწვილი პატიოსკუა. იმას ვერ წარმოედგინა, რომ გაჰბედავდა ვინმე ოდიშში მასთან ამისთანა უარ-სა. ამგვარმა უარმა უფრო და უფრო გააღვიძა ამის გულში სურვილი მგასხი.

— მაგი ვინ უნდა იყვეს?—ჰფიქრობდა ის თან შემკრთალი და თან გაბრაზებული.—მე პირველი თავადიშვილის ქალი ვერ გამიბედავს უარს და მაგი ვინაა, ვინ?!.. ალბათ არაა ოდიშელი ქალი თვარ, მაგ უარისაგან რავა ხეირს უნდა მელოდეს მაგის პატრონი!... თუნთი-ხე!—დაუძახა ფაჭაჭიას უმაწვილმა.

თუნთიხე ამ დროს ამ ამბისაგან შეწუხებული იგლეჯდა მეორე ოთახში თმებს და გაჰკიოდა თავის ბედს, რომ ასეთი შენთხვევა მი-ეცა, რომლითაც შეიძლებოდა საუკუნეთ გაუბედურებულიყო.

— ხიდამ გამომიტყვრინა ბილწმა ეშმაკმა მაგი გულმკვდარი!—ჰფიქრობდა ისა და მოსთქვამდა.—რავა გაუბედა უარი და ჩამაგდო ცე-ცხლშიდ!...

პატიოსკუას დაძახებაზედ, თუნთიხემ მოიწმინდა ცრემლები და გავიდა. ის მაშინვე დაეცა მუხლებზედ.

— აჰ, ბეტონო! ამოიღე 'სატყვარი და მომჭერი თავი!... გი, ღირსი ვარ, მე ნუ მომიკვდები... რავა მოველოდი მაგი სირცხვილს!

— აპა და ადექ, ქოფაკო! შენი ცრემლებით რავა გინდა მომა-ხიბლო! აწი კი არ, და თუ მალე არ შემიტყე ვინცაა მაგი, მაშინ კი ნახავ რავარც იცოცხლებ შენ, კუდიანო!.-. შენი დღეები დათვლილია.

ამ სიტყვებთან გავიდა უმაწვილი პატიოსკუა.

— კი, შენუ მომიკვდე, სთქვა სიხარულით ფაჩაჭიამ.—მართლაცა

და იმდენი ეცადა ფაჩუჩია, რომ ბევრი ძებნის შემდეგ, ძლივს გაიგო ყოველი გარემოება და ვინაობა ეკასიც.

— აჰ, რაკი ოდიშელია—სთქვა სიხარულით პატიოსკუამ, —აწ კი ჩემს ხელთ ყოფილა. კი, მის სილამაზე მეც კი შემიტყვია. მისთანა ლამაზებს მაციებისთვის კი არ სცალიანთ.

პატიოსკუამ მაშინვე მიმართა თავის დედას, გურანდუხტა დედუფალს და უამბო ყოველი თავს გადასავალი ეკასთან და სთხოვა, რომ ის შემოეყვანა დედას სასახლეში პირის-ფარეშათ.

ამ სიტყვის გაგონებაზედ, რომ მაცის საყვარელი ყოფილა ეკა, გურანდუხტას გადაჰკრა ფერმა.

— კი!—უთხრა დედუფალმა თავის შვილს.—შენ რაგვარც გიამება ისე მოვიქცეთ. აწი უბრძანებ ბოქაულებს, რომ ამ ერთს კვირეზედ მომგვარონ აქ პირის ფარეშათ.

პატიოსკუამ სიამოვნებით დაიწყო ზმორვა და რაღაცა ტკბილი ყრიანტელი უვლიდა ტანში. ის წინათვე ისახავდა თვალწინ, თუ როგორ ჩაიგდებდა ეკას ხელში და გასწევდა სიამოვნებას.

— კი ვეტყვი, რომ რაც იარაღი ექნება ყველა წაართვან. მერე ცარიელი ხელით დეიწყობს მალადობას, მარა მე ისტე უფრო მიამება, რომ ძალაზედ დადგეს... დემიწყებს ხვეწვას მარა: შენი საქმე არ არის, თქვა, და!,.. აჰ!...—აქ უფრო ტკბილმა ფიქრებმა გაუელვეს იმას თავში.

— კი, მაცი საყვარელს ვერ გეიჩენს, — ჰფიქრობდა დედუფალი თავი-მხრივ რაღაცა შეწუხებულის გულის ცემით. — მაცის არ უნდა ჰყავდეს საყვარელი. მისთანა ვაჟს არ შეჰფერის სხვა არ ვინ, არ!.... თუ ჰყავს, და კი მალე მოვაშორებ,.. მან არ იცის მაგი ვისაც უყვარს, თვარ ის არ გაჰბედავდა სხვის სიყვარულს!...

სთქვეს და კიდეც შეუდგნენ შესრულებასა.

რაკი მაციმ მოიხედა კარგათ, ეკას მეტი დარჩენა აღარ შე-

მლოთ თავის ნათესავებში, საიდამაც უფრს ადევნებდა მაცის. რადგან დიდი ხანია დედმამა ატანდნენ მალას რომ დაბრუნებულიყო შინა.

მაცომ დაიწყო სიარული, შესძლო ცხენზე ჯდომაცა, რომ მაშინ ეგა წავიდა შინ გულ-დამშვიდებული და იმ ფიქრითაც, რომ რამწამ მაცი მორჩებოდა და შესძლებდა, მაშინვე ხელმეორეთ ეთხოვნა ეგა მამისათვის და თუ მამა უარს ეტყოდა, მაშინ უნდა გაქცეულიყვნენ და ისე დაეწერათ ჯვარი.

## 12.

მაცომ სთხოვა მამას კიდევა, მაგრამ ხელმეორეთ მოუვიდა უარი. მაშინ ეგამ დაუნიშნა ვადა მაცის, რომ მოსულიყო ის იმასთან ცხენებით ღამე და გაქცეულიყვნენ.

მაცი დანიშნულს ვადაზედ მივიდა დანიშნულს ადგილას მაგრამ აქ ეგას მაგივრათ შემოესმა საშინელი წივილ-კივილი დახოცა-გლეჯა ეგას სახლიდამ. ამ ხმაზედ მაცი საშინლათ შეჰკრთა და მაშინვე გაუელვა თავში, რომ ეგას ხომ არა აუტყდარათ. იმან მაშინვე აფრინა ერთი პატარა თავის ნათესავი ყმაწვილი, რომელიც თან წამოიყვანა მოტაცებაში დასახმარებლათ. ყმაწვილმა პატარას ხანს უკან მოუტანა ამბავი, რომ ეგა ეს არის ეხლა წაიყვანეს სასახლის ბოქაულებმაო.

ამ ამბავზედ მაცის ეცა სისხლი თავში. იმას მაშინვე წარმოუდგა, რომ ის საკეთილოთ არ იყო წაყვანილი.

— ეჰ, მაცო! — იფიქრა იმან გუნებაში. — რაღათ გინდა შენი თავი და შენი სიცოცხლე, თუ სჭამს მისთანა სირცხვილის? ეგამ, ყმაწვილმა ბოშმა, შენთვის რაები ჩაიდინა, გადაგარჩინა სიკვდილს და შენ, ვაჟკაცმა, უნდა ცოცხალი თავით დაანებო ვისმე მაგი სირცხვილის საჭმელათ!?.. აჰ! მოკვდეს მაშ მაცი.

ამ ფიქრთან მაცი უცებ მიუბრუნდა თავის ამხანაგს.

— შენ წადი შინ და არაფერი სთქვა თვარა, კაი შენს თავს. ე ცხენებიც წეიყვანე და ე შენი თოფი და ფისტო მომე აქა.

მაციმ აჰყარა იმას თოფი და ტამბაჩა და შემოჰკრა ცხენს ქუს-ლი. მაცი არ წავიდა პარომზედ, რომელზედაც უნდა ელოთ ეგას წამ-ყვანებს ხობის წყალში გასასვლელათ და რომელიც უვლიდა ერთი ათი ვერსით შორს. მაციმ შეაგდო ცხენი პირდაპირ ღრმა ხობის წყალში. ცხენი ჩაიმალა ყურებამდინ და მოუცურდა. მაციმ უზანგები გადააჯვარე-დინა ცხენზედ და ამ გვარად დაება ზედ ცხენზედ, რომ ან თითონ არ დასველებულიყო და ან არ დაჰსველებოდა იარაღი; ცხენი თან მიცუ-რავდა ყურებ დაცქვეტილი და თან გაჰქონდა ფრუტუნი წყლისაგან, რომელიც ეტანებოდა ნესტოებში შესასვლელათ. პატარა ხანს უკან მაცი გავიდა წყალსა. იმან საჩქაროზედ გასწურა ცხენი, მოასტა ხელ-მეორეთ და გასწია ვიწრო ბილიკებზედ, რომელნიც უფრო სწორეთ მიდიოდნენ და სჭრიდნენ ზუგდიდის შარას. მაცი მივიდა ცაიშს ჯუ-მის წყლის ხიდზედ და დადგა იქა. მგზავრები, რომელთაც ეს ელო-და, ვერ ასცდებოდნენ ამ ხიდს. მაციმ მიაბა ცხენი იქ ტყეში და თი-თონ მიიმალა ხევის უკან.

შუაღამე გადასულიყო. მთვარემ ამოანათა ცაიშის მთის წვერი-დამ და შიგა და შიგ ჩამოუშვა თვის თეთრი სხივები ცამდის აწოდე-ბულის ხეებს შუა. მაცი, განაბული და თოფგაწვდილი, გულის მგერით ელოდა მგზავრებს. პატარას ხანს უკან შემოესმა მისუსტებული ხმით წივილ-კივილი და მოთქმა ქალისა. მაციმ იცნო ხმა თავის ეკასი, რო-მელიც განწირულებით, თითქო, ეძახოდა მაცისა და სთხოვდა შველა-სა. მაცის აუდგა თავზედ ბალანი და დაუარა ტანში ჟრიანტელმა. იმან შემოსვა საჩქაროზედ თოფი ფეხზედ. პატარა ხანს უკან გამო-ჩნდნენ მგზავრებიცა. მაციმ მუშვა ისინი თოფის სროლის სიახლოვეს. —

— კი, გაჭკივლე, გაჭკივლე, ლამაზო! — ელაზღანდარაებოდა გზაზედ ეკას ერთი ბოქოული: — ყოველ დროს გაგატარებიებს შენ [illegible].

— აჭ! რავარც ჩეეკრობი, მაშინ კი დალოცავ ჩვენს გზას და იქნება ჩვენკენაც კი მეისხდო წყალობით. — ელაზღანდარებოდა მეორე.

— ჩვენ რავა გვიკადრებს მაშინ! ქალბატონი ქე იქნება... კი არ გმართებს გადიდკაცება ჩილაჩავას ასულს... ის პატიისკუაა, თვარ იქნება არც ჩვენ ვიყვნეთ ნაკლები! კი, გმართებს ჩვენიც გამოცდა.—ელაზღანდარებოდა მესამე.

— აპა და თუ იმაზედ უარესი გამოვდგეთ, რო არ გვიგიდრო არ დაგენდურებით.—ელაზღანდარებოდა მეოთხე.

აქ ჩამოუშვა მაციმ ჩახმახი და ერთი ბოქოულთაგანი, რომელსაც ტყვიამ შიგ შუბლში გაუარა, გადმოვარდა ცხენიდამ, ფიცხლავ გაციებული. სხვები, შემკრთალნი ამ ამბისაგან, შეჩერდნენ და დაუწყეს თვალიერება საიდამ იყო ეს ამბავი და შეჭქნეს ყიჟინა. გავარდა მეორე თოფი, გადმოვარდა მეორე ბოქოული და სხვებმა იკადრეს უკან გაბრუნება. შეშინებულმა სხვა სამმა ბოქოულმა ანებეს თავის მკვდრებს და ეკას თავი, შემოჭკრეს ცხენებს ქუსლი და მინამ მიადგებოდნენ ისევ პარომს არ შეუყენებიათ ცხენები.

მეორე თოფის დაცლაზედ, მაციმ იმრო ტამბაჩა და გადერია, მაგრამ მანამ ეს მოვიდოდა, მანამ ბოქოულები შეერივნენ გაცხარებულნი ტყეში. ეკა, შეწუხებული ჯავრისა და მგზავრობისაგან, შეჭკრთა ამ ამბავზედ და მოვარდა თუ არა მაცი ამასთან, ის უგონოთ დაეშვა მაცის ხელებზედ.

მაციმ ყაბალახით საჩქაროზედ ამოარბეინა ჭუმიდამ წყალი, დაასხა ეკას, დაუბრუნა სუნთქვა, და თითქმის უგონოთ მყოფი, შემოიგდო ცხენზედ, დილამდის გავიდა ინგურში და ამოყო თავი სამურზა-

ცანოს, სადაც ერთს თავის ძმის თავისიანთან გაუშვა ეკა და თითონ წავიდა ომარ მარლანიასთან, რომელსაც გამოუცხადა, რომ [illegible] ამხანაგობა და მისცა ფიცი, რომ არას დროს ეს იმას არ უღალატებდა.

## 13.

როდესაც სახელმწიფოს ერთი მოშლია ჩარხი მმართველობისა, ძნელიდა ყოფილა ამ ჩარხის მომართვა, თუ რომ ის ჩარხი მთლათ საძირკვლიანათ არ შეიცვალა და არ დაიბადა ის წესი, რომელიც სრულებით სხვა რიგათ წარმართავს საქმეს და მოსცემს სულ სხვა მომართულებასა.

ძველს საქართველოს სამეფოს დაემართა ისე. ერთხელ როდისაც მჭიდროდ შეკრებილი სამეფო, უნიჭობისაგამო თვისის მმართველებისა, გაიყო ათას ნაწილად და რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი ისეც მცირე ერი თან და თან უცალკევდებოდნენ ერთმანერთს, თან და თან უძლურდებოდნენ. იქამდის იჩინეს უძლურება ჩვენთა მეფეთა რომ თითო ძლიერსა და დაუნდობელს კაცს, რომელსაც თავის თავის მეტი არა ახსოვდარა და ფეხებზედ ეკიდა ქვეყნის სარგებლობა და იმის საცოდაობა, შეეძლო ადვილათ შეედგინა თავისთვის პატარა სამეფო ანუ სამთავრო ისეც პაწაწინა საქართველოში, და მეფენი უძლურნი იყვნენ ამ ავაზაკებთან და ქვეყნის დამცემლებთან. საქართველოს მეფეთა უძლურებას გვისახავს სიტყვანი მეფის ვახტანგისა თვის კანონების დაწერის დროს, რომლითაც ის სახავს თვისს ყოვლად უძლურებას საქართველოში წესის დასარდგენათ. ერთხელ როდესღაც ერისთავნი, რომელნიც ინიშნებოდნენ ხალხისა, მამასახლისებისა და ბოლოს დროს მეფეებისაგან, იქცნენ, უძლურებისა გამო ქვეყნის მმართველებისა, მემკვიდრეებათ, გადუდგნენ მეფეთა და დააწესეს ცალკე სამ-

ივერიელი

თავრობები, რომლებითაც ისინი არამც თუ არა ჰშველიდნენ თავის ნათესავს ერს და თავის მეფეებს, პირიქით არ უშლიდნენ მტრებს, არ ისვენებდნენ არც თითონ და არ ასვენებდნენ არც სხვა საქართველოს ხალხებს და იმის მეფეებს.

ომარ მარღანია იყო უბრალო სამურზაყანოელი აზნაური. თვით სამურზაყანო იყო აბხაზთა მთავრისაგან წართმეული ნაწილი სამეგრელოსი დადიანისაგან და შეერთებული აბხაზეთთან. შემდეგ ეს ერგო წილად მურზაყან შერვაშიძეს და შეადგინა ცალკე სამთავრო. და ახლა ამ ერთი ბეწვა ნათელეთს სამურზაყანოში წესდებოდა ერთი წიწკელა სამთავრო ნაბაკევისა და საბერიოსაგან, სადაც დაიმკვიდრა გამოჩენილმა აბრაგმა ომარ მარღანიამ.

მარღანია იყო დიდი ერთგული მაშინდელი სამურზაყანოს ბატონის ალიშბეისა. ყოველს ნაშოვარს ომარ უყოფდა ალიშბეის. ალიშბეი იყო დაშინაურებული მარღანიასი. ერთხელაც ალიშბეი ჩვეულებისამებრ ეწვია ომარსა. ის დარჩა იქ ღამე. ომარ დიდათ დაუხვდა თავის ბატონსა და პატრონს, და ვითარცა შეჰშვენიდა იქაურს ჩვეულებასა, ომარმა ახლო ქვეშაგების დასაგებად და ძილის პირების სამღერლათ თავის და ჩეჩეტია, რომელიც არ იყო დიდი ხანი, რაც დაბრუნდა შინ ძიძეულთაგანა. სამეგრელოს და აფხაზეთში ზოგჯერ გათხოვებამდინ რჩებიან ქალები ძიძეულთასა.

ჩეჩეტიამ დაუგო ალიშბეის ქვეშაგები, დაბანა ჩვეულებისამებრ, ფეხები, მოასვენა ქვეშაგებში, თითონ შემოიტანა ფანდური, მოუჯდა ფეხთ ერთი ახალი მთვარის მსგავსათ გაკეთებულს ხის სკამზედ, დაუკრა და დამღერა მშვენიერის ნაზის ხმით ტკბილი სიმღერანი.

ალიშბეი რამდენიც უცქეროდა, იმდენი უფრო რჩებოდა ჩეჩეტიაზედ თვალები. იმისი მსხვილი, მშვენიერი ლურჯი კილოიანი თვალები, აბრეშუმის ფერი წმინდა ბზინვარე გძელი თმა, ცოცხალი თეთრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი პირის სახე და რაღაცა ქვეშ-ქვეშათ მოტრფიალე, მოიმარჯე ტუჩები უღუღებდნენ გასათხოვარი ქალების დეგნაში დაბერებულს — ალიშბეის სისხლს.

ალიშბეიმ მოიდო რაღაცა მიზეზი და გაისტუმრა ფაცსადამ თავისი მხლებლები და დაუწყო ჩეჩეტიას ლაპარაკი.

— არ გინდა შენ, ბოშო, რომ გახდე სამურზაყანოს ქალბატონი?

— კი, მარა, მე ვინ მომცემს მაგ ალაგს?—უპასუხა ჩეჩეტიამ ნაზის ხმით და თავჩაღუნვით.

— აჰა, შენ ინდომე, და მაგისი მე ვიცი.—აქ გაიგრა ალიშბეიმ ქისას ხელი და ჩაუყარა ჩეჩეტიას კალთაში ოქროები.—აი, სულ ესე ოქროებში გამყოფებ და შენ იქნები მთელი სამურზაყანოს დედოფალი.

ჩეჩეტიას ამდენი ოქროების დანახვებაზედ აუჭრიალდა თვალები.

— გინდა დედოფლობა?—ეკითხებოდა გულის კანკალით ალიშბეი და თვალები უწყებდნენ თან და თან ბრიალს, თითქო ეს არის უნდა ჩაყლაპოსო თავისი გამოუცდელი მსხვერპლი.

— კი, მარა, დედოფალი ხოა და რავა მიბრძანებ მაგას!

— არა, დუდუფალი ამაზ იქით შენ იქნები. ის დედუფალი გენაცვალოს შენ. მას გავაგდებ, მას გავაგდებ და შენ დაგსვამ,—და აქ გახარებული ეცა ალიშბეი ჩეჩეტიას.

მას აქეთ ალიშბეიმ უფრო ხშირათ დაიწყო მარღანიასთან სიარული და მეტადრე უმარაჯვებდა იმდროს, როდესაც ის არ ეგულებოდა შინ.

ჩეჩეტიას გამოაჩნდა კვალი თავის ტრფიალებისა.

— როგორ! ალიშბეიმ ეგ აგადრა ჩემს სახლს?... მაშ მოქვთეს ომარ! — და ამ დამუქრებასთან ის შეუდგა სამაგიეროს გადახდასა.

ერთს ღამეს შეიქნა საშინელი ყიყინი, გავარდა ხმა, რომ ალიშბეის თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ქალი მოიტაცესო. სამის დღის უკან

ქალი დაბრუნდა შინ დაღალული, დაქანცული, მთლათ [illegible] მოხ-გრილი და გამოუცხადა მშობლებს, რომ ეს ამბავი მიუთ ომარ მარ-ღანიამ, რათგან მამაშენმა გააუპატიურა ჩემი დაო.

ალიშბეიმ მაშინვე დაუძახა ჯარებს და წავიდა მარღანიაზედ ასა-კლებლათა. მარღანია ელოდა ამ დღეს და იმან წინათვე დაიჭირა თა-დარიგი. იმან შეჰკრიბა მთლათ მარღანიები, იმათი მორდუები, ესე იგი მიმკულნი, და ნათესაობანი, თავიანთი საყმოებითა და ამას გარდა თა-ვისი ამხანაგები აბრაგობაში ოდიშიდამ და მოულოდნელათ დაუხვდა ალიშბეის გზაში. გავარდა ომარის თოფი და ალიშბეი მკვდარი გად-მოვარდა ცხენიდამ. ხხვებმა მალე ადრიკეს ზურგი.

ალიშბეის უკან |დაჯდა სამურზაყანოს პატრონათ იმისი შვილი ჰვაჯა, რომელმაც რამდენჯერმე დაამპირა გვალად დასჯა ომარიისა, მა-გრამ ყოველთვის ომარი ასწრობდა ამას.

მას აქეთ ომარმა არამც თუ აღარ გაატარა შერვაშიძე ნაბაკევსა და საბერიოში, პირიქით დაუწყო საშინელი შეწუხება დანაშთენს სა-მურზაყანოს და სადაც კი მოხვდებოდა არა ჰქონდა აღარავის დაზო-გვა. ომარმა დაიწყო ამ ორს თემში სრული პატრონობა და ისე დაი-მონავა აქაური ხალხი, რომ ისინი, გარდა ომარისა, სხვას პატრონათ და პატრონათ აღარავისა სცნობდნენ. თქმა აღარ უნდა, რომ ომარ გასდიდა ამ ორს თემს თავის სამკვიდრო სამთავროთ, რომ დასცა-ლებოდა და უდროვოთ არ მოჰკლებოდა ბოლო.

ომარ იყო საშინელი სანახაობის კაცი. ხხვილი ტყვიის ფერი თვალები, წითელი გაწვეტებით გაკრეჭილი წვერი, ხხვილი გათეშეკილი ულვაშები, სქელი და თვალებზედ წამოხურული წარბები, რომელნიც სი-რძით არ ჩამოუვიდოდნენ ულვაშებს, საშინელი სიმაღლე, განიერი მკერდი და ასირებული მხარბეჭი წარმოგიდგენდნენ რაღაცა შესაზარავს ცხსა, რომელიც ცალკე შესახედაობით აღვიძებდნენ კაცის გულში შიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცალკე სანახაობით გვეუბნებოდნენ, რომ ეს არა ღონისძიების წინ არ დაბრკოლდებაო.

ყველა აბრაგების ბინაგი სამურზაყანოსი, აფხაზეთისა თუ ოდიშისა იყო სახლი ომარისა. ომარ იდგა ერთს ყრუ ტყეში და მინამ არ წაადგებოდი ამის სახლს, ვერ წარმოიდგენდი, თუ ამ დაბურულსა და მიუდგომელს ტყეში იცხოვრებდა ადამიანის შვილი. იმისი სახლი და ცხოვრება იყო გათქმული მთელს სამურზაყანოში. იმისი სახლი შესდგებოდა ერთი ფაცხადამ და მეორე უდედგან, ესე იგი ერთი კაი დიდი წნულიდგან, სადაც იდგა თითონ თავის ცოლშვილით და რომელსაც არა ჰქონდა არც ბუხარი, არც ფანჯარა, არც ბანი, მხოლოდ იყო დაწნული ხელოვნურათ და იყო შიგნიდამ თეთრი თიხით გალესილი და დასურული ლელით; და მეორე იყო პატარა ფიცრული ოთახი წაბლის ხისა და ეგრეთვე არა ჰქონდა არც ბანი, არც ფანჯრები და იყო დასურული ეგრეთვე ფიცრით. მოწყობილება ერთისაც და მეორე ოთახისაც იყო შემდგარი რამდენსამე გძელს სკამებზე, რომელთაგანი ზოგნი იყვნენ განიერნი და სახმარნი დასაწოლათაც, და მეორენი ვიწრონი, რომელნიც იხმარებოდნენ როგორც საჯდომათ, ეგრეთვე სუფრათაც, და იყვნენ ამოჩუქურთმულები სხვა და სხვა სახებით, მხოლოდ ამ გარჩევით, რომ შინა საწოლი სკამები, ანუ უკეთა ვსთქვათ ფეხიანი და მოძრავი ვიწრო ტახტები იყვნენ დაფენილი უბრალო სვანური ნაბდებით და მეორენი ოსმალურის სუფთა ქეჩებით. ცხენების სადგომი ჰქონდა ცალკე ფაცხა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არც ერთს სადგომს. მხოლოდ თავისიცა და ცხენის იარაღიც გაირჩეოდნენ ყველა ავეჯეულობისაგან. ფაცხისა და უდეს კედლებზედ იყვნენ ჩამოკიდებულნი ვერცხლითა და ოქროთი შეჭედილი თოფები: სიათა, ხორასანი, ყირიმი, სტამბოლი და სხვები; სხვა და სხვა ჯურისა და ზომის ხანჯლები, ხმლები და ტამბაჩები, რომლებიც მხო-

ლოდ მოაგონებდნენ მცირეც არის ქონების პატრონს ეკიდა ყოველთვე ცხენის იარაღი, რომლებიც ეკიდა მრავლობით, იყვნენ მშვენიერს ხელოვნურათ დახირმულს ვერცხლსა და ოქროში შეჭედილი.

ჯერ არაფრათ იმა ომარს მაცის ნახვა, მაგრამ რა კი იმას მოჰყვა ერთი კარგი აზრაგი და ძიძის შვილი ომარისა, მაძინი ფერთხელავა, ომარმა მიიღო და დაიამხანაგა მაცი, მეტადრე მით უფრო, რომ დიდი ხანია ესმოდა ამას მაცის უნარები და, რაკი ახლა გაიგონა ამგვარათ მაცისგნით თვის საყვარლის გადარჩენა, უფრო ჰშოვა ეს ხახარგებლო ამხანაგათ, მეტადრე ამ დროს, როდესაც ომარზედ იშლებოდნენ აბხაზეთისაცა და სამურზაყანოს შერვაშიძეები.

14

ეგას ეს მწუხარება, დანჯღრევა და შიში გადექცა სახადად და იდო უგონოდ ერთ გ ა ი გ ა გ ე თ ე ბ უ ლ ი ს ყაზახის, ჯოლარია ცომაიას სახლში, სადაც ეყენათ პატრონებს ცხენები და საქონელიცა. ცეცხლი, თუმცა არ იყო ზამთარი, ენთო გაუქრობლათა შუაგულს ფაცხაში. არც კომლს გასასვლელი, არც სინათლეს შემოსასვლელი გზა არსაიდამა, გარდა კარებისა, ამ ფაცხს არა ჰქონდა. ამისგამო ორივე კარები იყო ხოლმე ღია; მაგრამ რაკი ქარი უბერამდა ფარღალალა კარებში, კომლი გამოუღლევლათ ტრიალებდა შიგა და სწვამდა ადამიანს თვალებსა. ცეცხლში იყვნენ შეგეთებული მთელი ხის მძლები, ცეცხლზედ ჩამოკიდებულს საკიდელზედ აუღებლივ ეკიდა ერთი პირგანიერი, მოგრგვალო ყურიანი თუჯის ქვაბი, რომელშიაც წამდა-უწუმ იხარშებოდა ღომი. კედლები ფაცხისა იყო გაუღესავი და იმის მოლიონს ჯუჯუტანებში შემოქმუტუნებდა ქარი. სახლში წვრილ ფესობა ირეოდა ფესშიშველა, უპერანგოხ ამხანაგონი, ცარიელ დაფლეთილი პერან-

გების ამარანი, რომელთაც თავის დღეში არ მოხვედროდათ წყალი, უფრო მოზდილთ ქალთა და ყრმათა ქცვათ პერანგის ამხანაგები, ან შიდის შალვრები, ან ათას ასხმულ ნაოჭათ იუბკები და ძველი ახალუხები. უფროსთ კაცთ ქცვათ ჩოხებიც, რომელშიაც აღარ გამოსჭვიროდა ის საშინელი სიღარიბე, რომელიც ისახებოდა სხვა ამ სახლის შვილებში. თოფიარაღსა და ცხენის იარაღში კი გამოსჩანდა ვერცხლის ხელოვნებაცა. სახლი იყო დახურული უბრალო ღომის ნამჯითა, რომელიც ჟამთა ვითარებისაგამო ისე იყო გამხმარი, რომ თითო თითის მოხვედრებაზედ ცვიოდნენ ათასობით ნამტვრევები, და შიგნიდამ კომლისაგან ისე იყვნენ გაჭვარტლულნი, რომ გაჰქონდა შავათ კრიალი, თითქო გიშრისაგან არის შემდგარიო. ჭერი, როგორც სხვა აქაურს სახლებს, არ ეხურა თქმა აღარ უნდა არც ამ ფაცხას, რათგან ჭერის ხმარება სრულებით უცხოა აქაურებისთვის. ფაცხა იყო დახურული უბრალოთ ყავრულათ. საშინელი გაცხოვლებული ცეცხლის ნაპერწკლები მოლიონობით ადიოდნენ ამ დახურულს ნამჯასთან, მაგრამ თითქო ცეცხლს დაუკარგავს აქ ძალაო, ჰქრებოდნენ უმალ და არ აძლევდნენ არა ვითარს ვნებას ამ საშინლათ გამხმარს და გაფიცრებულს ნამჯას.

— კი, ბევრი თავადიშვილი შემონატრის ამ ყანზასის ცხოვრებას, მარა, შენ არ მოუკვდე ვერ მოუვლენ მასთან,—იძახოდნენ გარშემო მცხოვრებლები ტომაიაზედ.

მართლაცა და ტომაია სცხოვრებდა მრავალს თავადიშვილზედ უკეთ. ძვირათ თუ ვისმე თავადიშვილს ჰქონდა ამისთანა ფაცხა. მომეტებული ნაწილი აქ მცხოვრებლებისა იდგნენ უბრალოთ მოხუხულავებულს ქოხებში, რომლებსაც კედლების მაგივრობას უწევდნენ ეწერსა ან ჭაობებში მოგლეჯილი ბალახები, რომელნიც იყვნენ მოყრილი რამდენსამე დადგმულს ბოძზედ მოუთლებულს მურყნის ხეებზედ ან, უკმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კსოქვათ, ტოტებზედ; და ამგვარსავე ბოძებზედ გადაფარებულნი და ეხურა ამათ ამგვარივე ბალახი.

ამ გვარს ცხოვრებასთან თქვენ გაგაკვირვებთ ქვეშაგები. მგირათ თუ რაც გინდა ღარიბი კაცის სახლში მოხვიდე, არ შეჰხვდე ერთს ხელსაც არის სუბრთა ქვეშაგებსა, რომელიცა აქვთ შენახული სასტუმროთ. მაგრამ იმედი კი ნუ გაქვთ, რომ ეს ქვეშაგები ან გვერდებზედ გადაგწვდეს, ან ფეხებზედა.

ამ საშინელს მურლტიანს ცხოვრებასთან, ეკა იწვა ფარჩის სუბრთა საბანში და კარგს ლეიბსა და ბალიშებზედ.

სახლში ჭინჭვლის გორასავით ირეოდნენ პატარა ბავშვები, რომელთაც სახე ცოცხლათ გამოიყურებოდნენ მურტლიანისა და ძველი ტანისამოსიდამ. ყველა ბავშვისა და მეტადრე ქალის სახიდამ ამოიკითხავდით სიცოცხლით სავსე მეტყველებას, სიმკვირცხლეს და ძლიერს ნიჭს, რომელიც ბოლოს დროს უნდა დამარხულიყო ფუჭად. შრომა იყო ამაო, რადგან ხშირათ შენი ნაშრომი რჩებოდა სხვასა და ყველა იმდენათ შრომობდა, ისიც ყაზახები, რამდენათაც კი საჭირო იყო რომ წლითი წლობამდის გამოკვებილიყვნენ თითონ მაღლუმადურათა, და გამოეკვებნათ თავისი ბატონები, სხვა რიგი შრომა, შრომა ცხოვრების გაუმჯობესებისა არ იღვიძებდა არავის თავში, რადგან გარშემო არ ჰხედავდნენ მაგალითებს და არც აძლევდნენ ერთმანერთს ამისთვის მოსვენებისა და სიმყუდროვეს.

უგონოთ მყოფს მეშფოთებულს ეკას არ აძლევდნენ მოსვენებას ასე აყარებელი ხალხი სახლში და მეტადრე აურაცხელი წვრილ ფეხოსანი. ცომაიას სახლში თვით ჯოლორია და იმისი ძმები იყვნენ ქვესნი სულ ცოლშვილიანები, თითო ამათგანს ჰყვანდა სამ-სამი ოთხ-ოთხი ცოლშვილიანი შვილები და ყველანი ესენი ცხენებითა და საქონლითურთ იყვნენ, სცხოვრებდნენ, სჭამდნენ და ეძინათ ერთს ფაცხაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს ღამესაც, როდესაც ეკა უფრო შეწირვებული და უგონოთ იდო ქვეშაგებში, მოვიდა ცოლმაისთან ერთი ფეხშიშველა [illegible] ღლეჭილი ყაზახი, და გამოუცხადა, რომ ეს იყო მორდუ, მიმის ქმარი ეკასი იმან ითხოვა, რომ ეწვენებინათ ამისთვის ეკა. ის მიიყვანეს.

— ეკა, რავა იქ, შენი ღორონთის ჭირიმე! ეკა, აშა მიცან შენი გამზდელი, შენი ხუხუია! რავა არ მომცემ შენ ჭირს!... უი ჩემს სიცოცხლეს!—და აქ იმან იტაცა თმებში ხელი და მორთო საშინელი წივილ-კივილი. ნაბდლვენები თმა და წვერისა გადადიოდა აქეთ იქითა.

ამისმა ასეთმა მწუხარე ტირილმა აატირა სხვებიცა და პატარას ხანს უკან გაიმართა კივილი ტირილი და თმის გლეჯა სახლში, და ძლივს დაჩუმდნენ იმ მოფიქრებით, რომ ამითი უფრო შესწუხდება ავათმყოფიო.

ყველანი გაჩუმდნენ, მაგრამ ვერ ენუგეშნა ვერაფრით ხუხუია. ის ქვითინებდა ჩუმათა, იცემდა გულში ხელს, იხოკდა თმასა და გაიძახოდა: ვაი ჩემს თავს! ვაი ჩემს ღორონთს! ვაი უბედურებას!.. სახლში მყოფნი ანუგეშებდნენ შეწუხებულს მორდუს და უთქვამდნენ, რომ ღმერთი მოწყალეა და ეკას მალე დაუბრუნებს სიცოცხლესო.

შუაღამე მოტანებულიყო, რომ ყველა დაღლილნი დაყუჩნენ. ეკა მიეცა ცოტა მოსვენებასა და ამისმა მნახველებმა, მისცეს სხვებმაც ძილს თავი, მხოლოდ შიგა და შიგ ისმოდა შეწუხებული მორდუს სლოკვინი და მოთქმა.

გაჩუმდა მორდუც. ის უგდებდა ხულ განაბული ყველას სუნთქვას ყურსა და ცდილობდა გაეგო ყველას ეძინა თუ არა. ყველანი იყვნენ ტკბილ ძილში,

აქ წამოდგა მორდუ, გაალო კარები ისე ჩუმათ, რომ თითონაც ვერ გაუგია იმისი ჭრიალი; აუშვა საქონელი, ცხენები და გაასხა ჩუმათ გარეთა, სადაც ჩაასარა ერთს თავისავით ტიტველა ყაზახს, რო-

მელიც იქ სასიმინდესთან იყო აჩრდილივით ამოყუჟული მთელი ღამე. მორდუ მობრუნდა, ჩამოიღო რაც იარაღი ეკიდა კედელზედ; ჩამოუ-ხსნა უნაგირები და მიაწოდა ქსენიც ამხანაგს; მობრუნდა და გაიტანა ერთი ყუთი, რომელშიაც ეგულებოდა რამე ნივთეულები, გავიდა და გაიკეტა თან კარები. მინამ ეს გასტეხდა ყუთს, მინამ მეორემ მსწრა-ფლათ შეკაზმა ორივე ცხენი და ერთი ჯორი, აჰკიდა საჩქაროზედ სასიმინდედამ გამოზიდული ტომრებით სიმინდი და ღომი; მოაჯდნენ შემდეგ ორნივენი ცხენებს და საქონელი გაირეკეს წინ.

იმათ ამგვარათ იარეს ერთი ათი ვერსი. აქ შერეკეს ერთი ყა-ზახის ეზოში საქონელი და ცხენები. ჩამოხსნეს საჩქაროზედ ცხენე-ბიდამ, გააკრეს ყველა ცხენებსა და საქონელს ფეხებზედ ნაბდები, გაირეკეს მეორე ეზოს კარიდამ და გასწიეს.

გამოიღვიძა ცოტაის სახლობამ და ნახეს ორთავე კარები დაკე-ტილნი. ამათ გაანტვრიეს კარები და ნახეს, რომ სახლი იყო მთლათ გაფხეკილი, სასიმინდე ნახევარზედ დაცლილი და მორდუ გაპარული.

წარმოიდგინეთ ელდა მთელის სახლობისა: დაიძინეს გაკეთებულთ და გამოიღვიძეს მთლათ ღატაკთა, რომ ახლა უკანასკნელი ყაზახი სჯობდა ამათა.

შემდეგ ბევრის წივილ-კივილისა და მოთქმისა, ბოლოს უკივლეს ამათ მეზობლებს. შეიყარნენ მეზობლობა და უამბეს ამათ თავის უბე-დურება.

მსწრაფლათ რამდენმამე მარჯვე ბიჭებმა აიღეს აქვე მოპარული საქონლის ფეხების კვალის ზმონვა და ზმონით გაჰყვნენ ამ კვალს. ამ კვალმა მოიყვანა ისინი პირ და პირ იმ ყაზახის ფაცხაში, რომ-ლისაც ეზოში, ქურდებმა აუბეს საქონელსა და ცხენებს ნაბდით ფეხები.

ცხადი საქმე იყო, რომ ქურდი უნდა ყოფილიყო ეს ყაზახი, რაკი ნაქურდალი საქონლის კვალი შევიდა აქა და სხვაგან აღარ მიდიოდა.

მდევარმა სტაცა ამათ ხელი. ესენი გაოცებულნი უყურებდნენ მდევარსა თუ რაში მდგომარეობდა საქმე. მდევარმა და ცომაიებმა ბევრი არ უგდეს ამათ თავის მართლებასა და ხვეწნას ყური. იმათ მიათრიეს ის ყაზახები ქვაჯისთან, რომელმაც გადუწყვიტა ერთი შვიდეულათ ზღევა.

ამ ყაზახებს არამც თუ ერთი შვიდეულათ და მეშვიდედის გასხდაც არ შეეძლოთ. ცომაიებმა აიგლეს ისინი, წაართვეს რაც ებადათ, დასხადეს თითონაცა და იმის ცოლშვილსაც ტანისამოსი, გამოზიდეს ქვაბები, ავეჯეულობა, წლის საზრდო: ღომი და სიმინდი, და რაკი აღარ აუვიდათ გადასახადში, ბრაზ მოსულთ დაუნგრიეს და გადუწვეს სადგომი ქოხიცა.

ათი-თხუთმეტი სული ამ აგლებული ყაზახისა დარჩა მთლათ ტიტველი, შიშველი, მშიერი უბინაო და უნუგეშო. დარჩა ერთი ნუგეში, რომ არ დახოცვილიყვნენ მთლათა.... ქურდობა.

## 15.

მეორეს დღესვე შეიტყეს სასახლეში, რომ მოტაცება ქვასი და ბოქაულების დახოცვა იყო საქმე მაცისა.

ამავე დღეს დაესხნენ მაცის სახლს ჯარები, აიკლეს ის, წამოიღეს რაც წამოიღებოდა და დანაშთენი მისცეს მთლათ ცეცხლსა და გაანადგურეს მიწასთან. დედა და დები მაცისა დაატუსაღეს რუსის ციხეში, რომელიც მდებარებს ინგურის პირას და არის ამ წყლით დაშორებული სამურზაყანოზედ.

დიდ ხანს არ იცოდნენ სად იმალებოდა მაცი და სად არა. იმას ეძებდნენ იმერეთში და არა ჰქონდათ იმედი, რომ ის დაიმალებოდა სამურზაყანოში, სადაც იცოდნენ, რომ ომარ მარშანია იყო მეგობარი მგვიბისა, რომელიც მოკლა მაციმ.

მაცამ შეიტყო თავის სახლის გაოხრება, რომელიც შემდეგ ბა-ოხრების და აკლებისა მამის დროს, ძლივს წამოიყვანა ამან წინ და რა შრომით მოიწყო. შეიტყო ეგრეთვე დატყვევება თავის დედისა და დებისა, და ეცა ელდა. იმან ცალკე ეგას განწირული ავათმყოფო-ბა და ცალკე თავის სახლის დაცემა და დედისა და დების დატყვევება არ ამლევდნენ არც დღე არც ღამე მოსვენებას. ბოლოს გადიწყვიტა გუნებაში, რომ უნდა განეთავისუფლებინა ტუსაღობიდამ დედა და დე-ბი. მაცამ შეიტყო სად და რა მხარესაც იყვნენ საკანში ჩაყრილნი ისინი და შეუდგა საქმეს.

მშვენიერი სანახავია რუხის ციხე. მშვენიერია თვისის არხიტექ-ტურით კი არა, თვისის ბუნების მდგომარეობით და ბუნებისგნით შე-მკობით. ის არის ამართული ერთს პატარა გორაკზედ, რომელსაც ძირშივე მოუდის ჩხრიალით ერთი დიდი ნაკადული, ზამთარ-ზაფხულ წმინდა, როგორც ალმასი, და ერთ ნახევარს ვერსზედ დაჭყურებს ის საშინელს ფიცხს და შფოთიანს ინგურსა, ისეთსავე გაუტეხარს და შე-უპოვარს, როგორც ის მთანი, საიდამაც ის გამომდინარებს. გარშემო კედლები ამ ციხისა თავიდამ მოკიდებული, არის ზამთარ-ზაფხულ შემ-კული მწვანითა. კედლებზედ არის ასული და შეფურთქნული უხუნარი ხურო, ასე რომ ძნელათ იფიქრებს კაცი, რომ ამ მშვენივრათ აყვა-ნილს და ერთი ერთმანერთში სქლათ გამბულს და გაქსოვილს მწვანე-ში იფარებოდა კაცის ხელისგნით ამართული მტკიცე კედლები ერთ-რიგათ დასაცველათ კაცთა და მეორეს მხრით დასატყვევნათ და სა-ტანჯველათ კაცთავე. მაისში ეს ციხე წარმოგიდგენს თავიდამ ბოლო-მდი ალისფრათ აჭყვავებულს კედლებს და ზღუდეებს, თითქო თვით ციხე არის აშენებული მწვანე ფოთლებისა და ყვავილებისაგანაო.

ბევრს ამგვარს სანახავს ნახავ ბუნებისაგან შემკულს ოდიშში. ამ მდიდარს ბუნებას ახვევია ამგვარივე ბუნებრივის ნიჭით და მშვენებით

შემკობილი ხალხი და გული გიკვდება, რომ წარმოგიდგება, რომ ამ ხალხს არა ჰქონია შენთხვევა მშვიდობიანათ და წყნარათ ამ მეუფის მოხმარებისა და ჰქონია იმისთანა სამაგელი წასული, რომელსაც არ დაუბადნია ამათთვის მისთანა მომართულება, რომ თვისის სისრულით გახსნილიყო ამათი ძლიერი ნიჭი.

შიგა და შიგ ამ მწვანე ფოთლებსა და ყვავილებში გამოიყურე-ბოდნენ სათოფურები და პაწაწინა სანათურები ციხის სენაკებისა და საკანებისა.

კედლები ციხისა იყო მაღლათ ამართული პირდაპირ აწოდებულს გორის პირებზედ და თუ არ მოსავალი კარგიდამ, ამ კედლებს ვერ მი-უდგებოდა კაცი.

მაღლა, მეორე ეტაჟში ამ ციხისა, ერთს პაწაწინა ბნელს საკან-ში, რომელსაც არა ჰქონდა არსაიდამ სანათური გარდა ერთის პაწაწინა სანათურისა, რომელიც გადიოდა ციხის კედლის გარეთ თითქმის ზედ ციხის კიწრიოზედ, თავის დღეში არ ენახა მზის სხივი, სინოტივე ჩამოსწვეთდა კედლებიდამ და ობობას ქსელით იყვნენ გვარჯილის კუნწულები ჩამოკიდებულნი, რომელშიაც ემწყვდია გუქიტი, დედა მაცის თავისის ქალებით. ამისთვის არც ქვეშსაგები, არც სასურავი არ სად იყო. ცარიელი პერანგის ამარანი, როგორც მოასწრეს და დაიჭირეს, ეყარნენ სინოტივესაგან სველს ცარიელს მიწაზედ. საზრდოთ ეძლე-ოდათ დღეში თითო ციცხვი ღომი. სხვა საჭმელი ამათთვის არ იყო. დიდი ხანია ცდილობენ გაიგონ ამათაგან, თუ სად არი დამალული მა-ცი ეკათი, მაგრამ ვერას გამხდარან. მესამე დღე იყო, რაც აღარ აძლე-ვდნენ ამათ სასმელ საჭმელსა, რომ ამითი მაინც გეეტეხნათ ისინი, მაგრამ ვერცარას ამითი გახდნენ, რადგან არც გუქიტამ და არც ამი-სმა ქალებმა იცოდნენ სად იყო მაცი და სად არა და თვით იმისგნით ეგას მოტაცება იყო ამათთვის პირველი გაგონება. ამ დღეს უგანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნელათ შემოვიდა ამათთან მაძიებელი ამ საქმის შესატყობრათ, მაგრამ ვერც არას ამითი გახდა.

— არ იტყვით მაშ?—ეუბნებოდა იმათ მუქარით გამამძიებელი.

— რავა უნდა მოგახსენოთ შენი მუხლების ჭირიმე,—ეუბნებოდნენ შიმშილისა, წუწურვილისა, შიშისა და ტანჯვისაგან შეიწრებულნი და მიხწეულნი ტუსაღები. – ჩვენ რავა გვაცნობებდა მაგ ამბავს, რავი იცოდა რომ ჩვენ თქვენ ხელთ ჩავცვიოდით...

— დაგვხოცეთ ბეტონო,—ეხვეწებოდნენ ორი პატარა ქალები,—და მოგვარჩინე ამ ტანჯვას. კი ვღირსვართ, რომ დაგვხოცოთ! მაცის სახლობა რაღათ უნდა დაარჩინოთ ქვეყნათ, რომ მისთანა საქმეები ჩაიდინა.

— აჰ! როცა დაგხოცთ მაგი ჩვენ ვიცით! კი! ისე არ დაგხოცთ რომ არ გეგიგოთ მაცი სადაა. აპა და ვნახავ რავარც არ იტყვით! აპა და მაგენებს შეუკარით ხელ-ფეხი.—უჩვენა მაძიებელმა ქალებზედ იქვე მდგომთ ციხის მცველებსა. იმათ დაუწყეს კვრა. – მაგრა მეუჭი, რომ თითებში მთლა სისხლი წამოუჯდეთ.—იმათ გაუჭირეს და ქალებმა შეჰქნეს წივილ კივილი.—კი, თქვენ მაცია გიშველით!... რავა გეტკინებათ თქვენ!... გაუყარეთ უკან ბანწარში მაგათ თმები და გედუწიეთ უკან კისრებს.—მცველებმა შეასრულეს. ქალებს მეტის თავის უკან გადაწევისაგან, შეეგრათ ნახევარზედ სახა და ძლივსღა ამოდიოდა იმათ ყელიდამ ხრიალი, რომლითაცა სთხოვდნენ შებრალებასა.

— აწი აქანა მოდით!—დაუძახა იმან მცველებს და უჩვენა გუქიტაზედ. მცველები მოვიდნენ.—შეუკარით ამასაც ხელ-ფეხი.—შეუკრეს მაგრათ. – გამააბით თმებზედ ბანწარი (თოკი). – გამააბეს.—გეუყარეთ მაღლა კავში და ასწიეთ მაღლა!—იმათ გადაყარეს თოკი ჭერებში გაყრილს კავზედა, ასწიეს გუქიტის და საცოდავი მოხუცი დაეკიდა მაღლა ჭერში თმებით. ის იყო ჩუმათა და არ იღებდა ხმასა. ის მწუ-

სარებით დაჭყურებდა თავის ქალებსა, რომელნიც ცალკე ტკივილისა და ცალკე დედის ასე დაკიდებისაგან ცდილობდნენ კივილსა და კივი-ლის მაგიერათ გაჭქონდა ხრიალი, თითქო უშწრენ ყელში და ახრჩო-ბენო.

— არ იტყვით ახლაც?—დაეკითხა კიდევ მრისხანეთ მამიებელი.

— არ ვიცით, ბეტონო!—ხრიალებდნენ ქალები. გუქიტი იყო გაქვავებული და არ იღებდა ხმას.

— მაშ და აზა ხვალამდის დარჩებით მაგრე და თუ მინამდი არ იტყვით, მაშინ თქვენ სხვა ფერ მოგიგვარებთ საქმეს.

ამ სიტყვებთან მამიებელი გავიდა და გაჰყვნენ თან მცველები.

ხელფეხ შეკრული ქალები ეყარნენ ცარიელს ნოტიო ადგილზედ და ხრიალისაგან წაერთვათ ხმა და თითქმის მიხდათ გონება. გუქიტის მოაწვა თავში სისხლი და ევედრებოდა, გულგაქვავებული, ღმერთს სი-კვდილით მაინც არის ღსნას ამ მწუხარებისაგან.

ამ მდგომარეობაში მყოფთ იმათ მოესმათ სანათურთან რაღაცა რკინის ცემა და რაკუნი კედელზედ. უცებ მოესმათ ხმა მაცისა.

— აწი ნუ გეშინიანთ!—შესძახა მაციმ ამათ სანათურიდამ,—მე აქანავარ და ეხლავ დაგიხსნით მაგ ტყვეობიდამ:

მაცის სიხარულისა და პაზუსის მაგივრათ შემოესმათ განწირუ-ლების ხრიალი და რაღაცა მიღწნეული კნავილი თავის დედისა.

თითქმის შუაღამე იყო, რომ მაცი და ომარ გამოვიდნენ ინგურ-სა, სადაც იქვე ატეხილს ჭალებში მიაბეს ცხენები თავისაცა და ტუ-სალებისთვისაც წამოყვანილები და ჩუმის ნაბიჯით, მთვარეზედ მოი-პარნენ ციხის მირასა. აქ მაციმ დააყენა ომარ, თვით შემოირტყა წელ-ზედ გძელი და საკმა წვრილი თოკი, გაირჭო წელში ერთი დიდი რკინის კეტი სატეხის პირიტა და როგორც მაჩვი დაიწყო ფოთხვა სელისგულივით ამართულს კედლებსა დაკლდის ბორცვებზედ. ის რამ-

დენსამე წუთს უკან იყო იმ სანათურთან, რომელიც შეეძლოთ [illegible] დედისა და დების საკანში. როდესაც ავიდა მაცი ამ ადგილებიდამ, იმან გაიძრო საწვავლი, დახსნიშა სუროები, დაასხვია საბელივით და ცალი ხელით დაეკიდა ზედა. მეორე ხელით გაიძრო რკინის გეტსა და რამდენსამე წუთს გაიკეთა საფეხურები კედელში, აქ მოიკიდა იმან მაგრა ფეხები და დაუწყო ნგრევა სანათურსა. აქ მისცა ხმა დედასა და დებსა და რაკი გაიგონა იქიდამ ამ გვარი ხრიალი და სხავილი, იმან გულის მგერით უჩქარა სანათურის ნგრევას. ქვითკირი ნავოტივით გადმოდიოდა მაცის მარჯვე და გამოცდილი ხელიდამ. ერთს საათს უკან მაცი ჩახტა საკანში. იმან გაჭკრა კეესსა, მოეკიდა აბედსა და დაჭბერა, და შენმა მტერმა ნახოს ის სანახავი, რაც ამანა. იმან საჩქაროზედ ჩამოსჭრა გონება მოხდილი დედა, დაუხსნა ხელები დებსა, რომელთაც თქრიალით სდიოდათ მეტის მოჭერისაგან ბრჩხილებიდამ სისხლი და ჭქონდათ თვალები სისხლისაგან გავსილი. ამან საჩმაროზედ მოაბა დედას თოკი და ჩაუშვა ძირსა, სადაც მიიღო ის ომარმა; ამგვარათვე ჩამოუშვა სხვა დები. მასუკან გამოაბა ეს თოკი იმ კავს, რომელზედაც ეკიდა იმისი დედა და ხრიკინ-ხრიკინით ჩამოუშვა ძირსა. იმან მოსასურიელებლათ ამოალბო დედა და დები იქვე მომდინარე წყალში, მოიყვანა გონსა და როგორც იყო მიათრიეს ორთა ცხენებამდის. აქ შესხეს ცხენებზედ და ნახევარ საათს უკან იყვნენ სამშვიდობოსა.

ანტონ ფურცელაძე.

1872 წ.

(შემდეგი იქნება).

## ისპანიური მოტივებიდამ

### VII

### სან-იაგო.

(რუსულით).

მოკვდა ჩვენი სან-იაგო
და წარსდგა ღმერთთან მის სული.
ღმერთმა უთხრა იმას ტკბილად:
«მე ვარ შენგნით კმაყოფილი.
იქ შრომისთვის მე შენ გამლევ
აქ სამოთხის არე-მარეს.
რასაცა მთხოვ – ყველას მოგცემ;
აბა მოჰყუე რაც გინდოდეს!»
და უთხრა მას სან-იაგომ:
«ისპანიას მიეც შვება—
მიეც სითბო... მოსავალი»—
კარგი: ეგ ყველა იქნება...
«ისპანიას თავის მტრებზედ
მიანიჭე გამარჯვება...
გააღვიძე ღრმა ძილიდამ»! –
კარგი: ესეც აღსრულდება.
«მიეც იმათ, მეუფეო,

გონივრული მმართებლობა»! —
როგორ!.. მმართებლობაც გინდა?... —
არ იქნება! არ იქნება!
მაშინ ხომ თქვენი სოფლები
სამოთხებად გარდაიქცნენ,
და ანგელოზნი, ვინ იცის,
სუყველანი იქ გამქცნენ!.
ხომ ასტყდა მაშინ ცაშია
არეულ-დარეულობა!..
არა, ისევ, ისევ ჰქონდეთ
თქვენი ძველი მმართებლობა!

ნ. ლომაური.

1872 წ.

---

## პარიჟი.

(ბარბიედამ)

აგერა ის ქალაქი, ჯოჯოხეთის უბსკრული,
პარიჟს რომ ეძახიან! შავად ჩამყაყებული,
ლაფისა და ხრიანცლის იმგრგვლივ არტყია თხრილი
ბოროტით და გესლითა პირამდინ გავსებული.
როგორათაც ვულკანი, მუდამ ცეცხლის მსუნთქავი,
კაცთა გვამს ის შიგნიდამ ისვრის, ვით ზღვისა ზვავი
ის არს წარწყმედის ორმო; სადაც უფსკრულს ძირშია
მთელის ქვეყნისა ჩირქი ჩადის ღრმად ჯურღმულშია
და ის ხშირად სიმყაყით პირამდინ გავსებული
გადმოჰსეთქს ლაფის მსგავსად და არს ქვეყნის შთამთქმელი!

ამ ჭუჭყის ორმოში ძვირათა ჰნახავს თვალი
დასავლეთის თბილს სხივსა, არც სჩანს სხივი ნათელი,
და გაჰქვს ღრიანცელი, ვითა ზღვისა ღელვასა
დღე და ღამ ჩაუდგრომლად მოუსვენრად ქალაქსა,
არა სძინავთ აქ კაცთა, ის აქვთ მუდამ დარდათა,
რომ სხვების უბედობით იყვნენ ბედნიერათა....
ხან ითმენენ შიმშილს, დარდს, ხან ურცხვად ქეიფობენ!...

სიკვდილის წამშიაც კი მაღლა ცას არ შეჰხედვენ
და თუმც იქ მრავალია მდიდრად დგმული ტაძარი,
მაგრამ ამა ტაძარში ღმერთი სულ არსად არი!...
აქ რავდენი ტაძარი, ამაოდ ამართული,
მტვერთან გასწორებულა; და ვინ იცის რავდენი
ცხოვლად მნათი ვარსკვლავი სამუდამოდ გამქრალა!
რავდენი რწმუნებანი უბოლოვოდ დამჭკნარა!
რავდენს საკვდავს ეტლს მიწა, სისხლით გაწითლებული,
უთხრია.........
და ქარიშხალებრ განვლო ათასმა ცვლილებამა,
საშინელს ელვას ჰგვანდა მათი ბრიალით ფრენა.
ერთის სიტყვით აქ ყველა ისწავლეს კაცთ და სცადეს,
მაგრამ ფულთ წყურვილთ გარდა გულში არ რა დასტოვეს!
ბევრი ნახა ქვეყანამ უცხრომელი ტანჯვანი,
უსარგებლო სისხლის ღვრა, ბრძოლა და ძიებანი;
ბევრი ამაყი ..... ლუკმა-ლუკმა ნსხვრეულა
შთანთქმულა ქვესკნეთშია და მიწათა ქცეულა!
მაგრამ აწ რასა ვხედავ? დრო, ეს მოხუცი მკელი,
ძლიერს ფეხს ქვეშ უწყალოთ მთლად სამყაროს მთელელი,
მეფეთა და ხალხებს რომ ხელის მოქნევით ჰმუსრავს,
დრო, რომელმანც გაურყვნილი რომი შერია მიწას,
ის ხელახლათ ჰხედავს სანახავსა რომზედ უუსაზიზღრესს!
იგივე ღრიანცელი, ის ლტოლვა და გულის თქმა,
მფლობელობის წყურვილით ისევე ხალხის ხროვა,
ისივ ჭკუა-თხელთ მოხუცთ შურილობა .....
ხრიკები ინტრიგანთა, შთანთქმულებთა ბოროტში,
და იგივე ქურუმნი, სინიდისთ გამყიდველნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სკირთ მწყურვალნი და გაურყვნით შემქცეველნი,
იგივ უსირცხვილობა, ოქროზედ გადაგება
და თავიდამ ბოლომდის გაურყვნის კვალის მოდება;
იგივ ბოროტის ყინი.... მხოლოდ არსად სჩანს ისა:
ძველი მშვენების ფორმა, ბრწყინვა სამხრეთის მზისა!

ჰოი პარიჟის ხალხო, ძვალ-ტყავათ ქცეულო,
ღრმათ თვალებ ჩაცვივნულო, სახე გაყვითლებულო!
ბავშვზედ უარესათა ხარ თვითნება აგზნისა
და ქმლევი დღე და ღამ ლხინს და სიზარმაცესა.
ხან ასტეხავ ძაღლებსა, შიმშილით ჩამამხმრებსა,
ხან სჯდაბნი კედლებზედა საზიზღარს ოცნებებსა.
გადაგდებულმა ბავშვმა, დედის მაგინებელმა,
შთაგრდომილმა ცოდვებში, ბოროტებით გავსილმა,
იმან უარს ჰყო ღმერთი ღვარძლურის დაცინვითა
და სამუდმოდ მიეცა ათასათ გაურყვნილებათა!

მაგრამ კი რომ უყურო ბოროტში დამყაყებულს,
სულით გმირი და მხნე შეებრძვის თვით სამყაროს!
«თავისუფლებისათვის!» ის ამაყად შაჰყვირებს,
მოსცურავს სისხლის ღვარში და გმირულათ თავს დასდებს.
და თუ რომ აღრევისას გაიგონებს ის ხმასა
ზღვევით გულსა აივსებს, ბოროტსა მისცემს თავსა,
ხალხის ხროვას შეკრებავს და დაიწყებს ცარცვასა,
სიბრაზით მხეცებრ ჰღმუვის და ჰღუპავს თვისსვე ძმასა.
გულში ცეცხლი ენთებათ უღმრთო ბოროტებისა
და ამ მდგომარეობაში ესვრის ის ქვას თვით .....!

ჰოი პარიჟის ხალხო! შენთვის შექცევა არი
ბრძოლის ხმა, რკინის ჟღერა და სისხლის ნაღვარი!

შენ სწორედ ჰგევხარ ზღვასა მოქცევის დროს რომ ჰღელავს
ტალღებსა და ზვირთებს რომ ცათამდისინ აჰბერავს:
იწყებს ისეთ შფოთვასა, თითქო წალეკდეს ხმელეთს,
პატარას ხანს უკან კი ის ისევ დაინელებს...
სიკვდილს ეთამაშები, ცოდოებით გავსილი,—
და მის დღეში ვერ გიცნობს ვერცა ქვეყანა სრული!

ანტ. ფურცელაძე.

---

# საქართველო

## მირიან მეფის დროს

სომხის მეფის ვაღარშაკ პირველის ძის ხოსრო დიდის დროს (187—232 წ.) და, ქართლის-ცხოვრების თქმით, უკანასკნელის საქართველოს არშაკიდის ასთვაგურის მეფობაში სპარსეთში მოხდა ცვლილება: არშაკიდები დაეცნენ და იმათი ადგილი დაიჭირეს სასანიდებმა. ამ ახალის დინასტიის დამფუძნებელი იყო არტაქსერქსი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთ უფროსის ბაბეკის შვილი და სასანის შვილის-შვილი. არდაშირი შეითვისა სპარსეთის სპასალარმა და შემდეგ იმისს მოადგილედ დაჯდა. იტყვიან, ვითომც ერთხელ იმას ანგელოზმა ჩვენებაში უთხრა: «მოწყალების მომნიჭებელს უბოძებია შენთვის მფლობელობა ხმელეთისა და იმისს მცხოვრებთა». არდაშირმა განიზრახა აღსრულებაში მოეყვანა სიზმრისა. იმისმა მაღალმა მოხელეობამ და სპარსეთის მეფის არტაბანის სისუსტემ შეუმსუბუქეს იმას პლანის აღსრულება. სამს შებრძოლებაში 223 და 226 წელს არდაშირმა სრულებით დაამხო პართიიდამ შემოსული არშაკიდის დინასტი, და დაამყარა სპარსეთში სასანიდების სახლი 1). არშაკიდები ჰფლობდნენ სპარსეთს 482 წელს, 256 წლიდამ ქრისტეს მოსვლამდე ვიდრე 226 წლამდე ქრისტეს შემდეგ; სასანიდები მეფობდნენ არშა-

---

Notice chronologique de la Perse, depuis les temps les plus reculés jusqu' a ce jour par L. Lanqlès: Voyage de Chevalier chardin en Perse et autres lieux del' Orient. Paris 1811, t. x, p. 172—173. Lebeau, Hist. dn B—Emp· I, 77.

კიდებზე ნაგლეჯ, ესე იგი 426 წელს. ისინი იეზდეგერდ მესამის მეფობაში, 652 წელს დასცა ომარ ხალიფის სპასალარმა ხაჯადმა 1). ამ დინასტიის თვისება და ცხოვრება დიად შესანიშნავია: ზოგნი სასსანიდნი არიან ცნობილნი სწავლა-ხელოვნებით. არდაშირი იყო განვითარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სხვა თხზულებათ გარდა ქარნამე ანუ «განმარტება თავისის ცხოვრებისა და მოქმედებისა»—და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე 2). მეოთხე სასსანიდი ბარამ პირველი იყო მეჯინიბობის მოყვარე და პირუტყვთ ექიმობაში დახელოვნებული 3). ხოსრო ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში გამოსცა მეორედ არდაშირის თხზულება ზნეობაზე 4); იმისს დროსვე გავრცელდა სპარსეთში ინდოეთიდამ შემოტანილი, სანსკრიტულს ენაზე შედგენილი, ზღაპართ-კრება ქოლეილაჯ-ვე დიმნაჯ, ანუ ჩვენებურად ქილილა—დამანა, გადაღებული მრავალს აზიურს და ევროპიულს ენაზე და თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ დედოფლის დროს და შემდეგ ვახტან მეექვსისაგან და საბა ორბელიანისაგან 5). სასსანიდები განითქვნენ არხიტექტურის ნაწარმოებით: იმათი დედა-ქალაქი მადაინი, კტეზიფონის მახლობლად და კტეზიფონის არე-მარე, ბუნებით შემკულს მხარეში, ეფრატის კიდეებზე, მოფენილი იყო გასაოცარის მეგლებით. აქ იულიანე იმპერატორის გალაშქრების დროს სპარსეთზე რომაელებმა ანუ ვიზანტიელებმა ჰპოვეს ტურფად ბერძნულის სკულპტურით შემოსილი შენობები, ვრცელი მტილები და დიდ-მშვენიე-

1) Mém. sur l' Arm. I, 335.

2) Notice chron.... p. 173.

3) Ibid. p. 174.

4) Ibid. p. 173.

5) Ibid. p. 179 Hist. de la Géor. I, 393 n. 3., II, 2 livr., p. 112 n. 2.

რი პარკები, სადაც შემწყვდეულნი იყვნენ ლომები, დათვები, [illegible] და სხვა მრავალ-გვარი მძვინვარე მხეცები და სადაც დროითი დროშ-დე სასანიდები ნადირობით ჰსიამოვნებდნენ 1). ამ გვარმა სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა ვერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თით-ქმის მთელის დინასტიის ხასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრით, როგორათაც შინათ, აგრეთვე გარეთ. ხშირად მოხდებოდა, რომ შვი-ლი ავიდოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მი-ზეზი, რომ ოც და თუთხმეტს სასანიდების წევრთ რიცხვში ხან-გრძლივ მეფობდნენ მხოლოდ შვიდნი, ესე იგი, — შაბური პირველი, შაბური მეორე, იეზდეჯერდი პირველი, ჰორმუზდი, ფეროზი, ჰო-რმუზდი მესამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასანიდების წარმო-მადგენელი იეზდეჯერდი მესამე. სასანიდები გულ-მხურვალედ ემო-ნავებოდნენ იმათის წინაპარის დროდამვე ზოროასტრის აღსარებას ანუ ცეცხლის თაყვანის-ცემას, როგორც ამას გვიმოწმებს, სხვათა შორის, სასანიდების მანეთები, რომლებზედაც გამოხატულია ამ სარწმუნოების სიმვოლო (pyrée) და იმისის თაყვანის-მცემლების სურათი 2). დი-დი გავლენა ჰქონდათ იმაზე მოგვებს, რომელთაც ეჭირათ გამოჩენი-ლი ადგილი თვით სასახლეში 3). სასანიდები ყოველს ღონის-ძიე-ბას ხმარობდნენ, რომ მოგვთ აღსარება დაემყარებინათ ყველგან. ისი-ნი სდევნიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, რომელიც იმათ დროს მოე-ფინა მცირე-აზიაში, სომხეთში, საქართველოში და აგრეთვე სპარსე-

1) Lebeau, Hist. du B—Emp. III, 103—106.

2) Revue de numismatique géorgienne par Brosset, 1847. SPB. p. 28—29.

3) Lebeau, Hist. du B—Emp. III, 294 ps n. 2.

თში 1). ამასთანავე ისინი უშიშრად და ურყევლად ცდილობდნენ თავიანთის საზღვრების გავრცელებას და უცხო-ტომთ დამოსავებას. ისინი ხანგრძლივ ებრძოდნენ ჯერ რომაელებს, მასუკან, როდესაც რომი დაეცა, ვიზანტიელებს, როგორათაც სომხეთში და საქართველოში, აგრეთვე აზიაში. ბედ-კრული სომხეთი იმათის ხელით დაიმხო და დაიგლიჯა 2) საქართველოს ეს უბედურება არ ეწვია, თუმც ამ განზრახვით სასსანიდები მთელის საუკუნის განმავლობაში (455—560 წ.) სასტიკად ებრძოდნენ ვიზანტიას, საქართველოს დასავლეთ მხარეებში, ანუ ვიზანტიელების ლაზიკაში.

მიუბრუნდეთ ისევ არდაშირს და იმისს დროს. სასსანიდების უფლების დამყარების გზაზე არდაშირი დიდს დაბრკოლებას მიაწყდა-პირველს იმისს მოწინააღმდეგედ აღმოჩნდა არტაბანის ნათესავი, სომხის მეფე ხოსრო დიდი, შვილი ვაჭარშაკისა, რომელიც დერბენდის მახლობლად მოკლულ იქნა ბრძოლაში ხაზარებთან და რომლის სიკვდილიც ხოსრო დიდმა იზღვია იმით, რომ შემდეგ ტახტზე ასვლისა იმან განვლო კავკასია დიდის ჯარით და თვით ხაზარეთში შეჭამუსრა იმათი ძალა. სცნა თუ არა არდაშირის გალაშქრება არტაბანზე ხოსრომ მაშინვე მიჭმართა თავისის ჯარით სპარსეთის შერყეულს ტახტს. ასსირიის საზღვარზე იმან შეიტყო არტაბანის ძლევა და სიკვდილი. ის უკუ-იქცა სომხეთში, სადაც შემოჭკრიბა სპები, გამოითხოვა რომის შემწეობა და ისევ სპარსეთისკენ გაემგზავრა. ასსირიაში იმან გაიფანტა ყველა მომხრენი არდაშირისა და შემდეგ შიგ სპარსეთის შუა-გულად შევიდა; მაგრამ რადგანაც სხვა და სხვა არშა-

---

1) Ibid. I, 331 ps n 1, 332. III, 363—366. Addit. et' 'Eclairsis. a l' Hist. de lé Géor. 67 დაშენდეგი.

2) Lebeau, Hist. du B—Emp. IV, 429—432.

კიდების ნათესავის წევრთ ხოსროს უმუხთლეს, ბაქტრიის არშაკიდების გარდა, ამისგამო ხოსრო უნდა დაბრუნებულიყო თავის სამფლობელოში. გარდა ამისა რომში ასტყდა შფოთი და აღრეულობა, რომელმაც რომაელების ჯარი სომხეთით მიიხმო. ხოსრომ მაინც იმედი არ დაკარგა. იმას მისცეს შემწეობა ეგვიპტემ, პონტმა და «ჩრდილო-ტომებმა». იმან კიდევაც სძლია სპარსეთის ძალას და დაიჭირა ასსირია და თვით არდაშირს სდია ინდოეთის საზღვრამდე 1). შემდეგ ამ წარმატებისა, როდესაც ხოსრო სომხეთში კვლავ ემზადებოდა ახალის ჯარით გალაშქრებას არდაშირზე, ის მოკლულ იქნა სომხეთში ღალატით თავისისავე ტომ-ნათესავისაგან ანაგისაგან, რომელიც არდაშირისაგან იყო მოსყიდული. ანაგმა არა თუ სარგებლობა ვერა ნახარა ხოსროს სიკვდილით, არამედ თვით იმასაც მოელო ბოლო ხოსროს მომხრეთ ხელით და მთელი იმისი სახლი ამოწყვეტილ იქნა. გადარჩნენ მხოლოდ ორნი ანაგის შვილნი; ერთი იმათგანი იდუმალ გაიყვანეს კაპპადოკიის კესარიაში, სადაც ის გამოიზარდა და განისწავლა. ის იყო გრიგოლ, რომელმაც ხოსროს შვილის თირდატის დროს სომხეთში ქრისტიანობა შეიტანა და ამისგამო სომხეთის განმანათლებლად სახელ—იწოდა 2).

ხოსროს სიკვდილმა ყოველივე არდაშირის შიში და დამაბრკოლებელი შემთხვევა მოსპო. არდაშირმა მოჰფინა თავისი მფლობელობა სპარსეთში და დაიმონავა სომხეთი, რომელსაც 27 წლის განმავლობაში თავისუფლად განაგებდნენ არდაშირი და იმისი შვილი შაბურ პირველი. ხოსროს დარჩა შვილი თირტადი, რომელიც არტავაზ მანტაგუნიმ სიყრმითვე გააპარა რომში და აღზარდა იქ. თირდატმა 232-ს წელს რომაელების ჯარის შემწეობით სძლია სპარსებს და და-

1) *Исторія Арменіи Моисея Хор-нс., стр. 139, 140.*

2) Mém. sur l. Arm. I, p. 301—303.

ჯდა სომხეთის ტახტზე. სომხეთის მთავარნი თავისის ძალით მიეგებ-ნენ იმას. იმის დროს შემოვიდა ჩინეთიდამ სომხეთში [illegible] სისხლი და აგრეთვე მიემხრო თირდატს. არტავაზ მანტაგუნი შეიქნა სომხეთის სპასალარად, რომელმაც დიდი შემწეობა მიაგო თავისს მეფეს. თუმცა სპარსეთის მეფე იძლია თირდატისაგან, მაგრამ ის მაინც იმედოვნებდა სომხეთის დამონავებას. ამ აზრით, თირდატის ყოვნის დროს რომში, ის დაეცა სომხეთს, კავკაზიის მთას-იქით მცხოვრებთ შემწეობით და აგრეთვე შემძლე სომხეთის გვარის სალგუნიანის მიმხრობით. სპარსეთის მეფემ სომხეთი ისევ ხელში ჩაიგდო. თირდატი გამოვიდა რომიდამ, რომაელების ჯარით მხლებელი შევიდა სომხეთში, განდევნა სპარსნი და მამიკონის ხელით აოტნა სალგუნიანთ გვარი და იმისი ვრცელი სამფლობელო თვით მამიკონს უბოძა. თირდატმა გაიმარჯვა დიდს ომში «ჩრდილო-ტომებზე» და ისინი ისევ კავკაზს იქით გადაიყვანტა. ამ ომში მოიკლა არტავაზ მანტაგუნი. შემდეგ ამისა დაეცნენ სპარსეთს—ადარბეგანის მხრით თირდატი, სამხრეთით—რომაელნი. თირდატი შევიდა თვით სპარსეთის შუა-გულს, რამდენჯერმე დაამარცხა სპარსნი და უკუ-იქცა დიდის ნატყვევნავით 1).

ისტორია მიაწერს თირდატ მეფეს ზოგიერთს ცვლილებას სომხეთის შინაგანს განმგეობაში. სტეფანე ორბელიანის თქმით «თირდატმა დაამყარა აქ სახელმწიფო წესდება საბერძნეთის მიბაძვით; იმან დასდო რიგი სხდომისა მთავართათვის, მარჯვნივ და მარცხნივ, თვითოეულის ღირსებისამებრ; დასდო აგრეთვე რიგი ჯდომისა და მეთაქებისა ნადიმობის დროს, 400 თავადთათვის, რომელთ შორისაც უპირა-

1) Mém. sur l' Arm. I, 303 – 305,412. *Моисея Хоренск. Ист. Арм. 143—151.*

ტაობდნენ: ბდეში გუგარკისა და მთავარნი არძრუნიკისა, ქრუნის და მამიკონაენი. ესენი იყვნენ სომხეთის უაღმატებულესნი თავადნი. რადგან შეეხება მხარეს და იმისს სპათ, მთელს სამეფოში მხოლოდ ოთხნი იყვნენ უასლოესნი მეფის ბმანების აღმასრულებელნი: აღმოსავლეთით სიუნის მთავარი 22 თავადითურთ; ჩრდილოეთით—ბდეში გუგარკისა 22 თავადითურთ; დასავლეთით—მთავარი ჯორდუკისა 21 თავადითურთ; სამხრეთით მთავარი ანგეგ-თუნისა 22 თავადითურთა 1). თირდატის მეფობა უფრო იმითია შესანიშნავი, რომ იმისს დროს სომხეთში დაფუძნდა ქრისტეს სარწმუნოება. უწინ აქ, როგორათაც ყველგან, გავრცელებული იყო კერპთ-თაყვანის—ცემა. რა გვარი იყო ეს სარწმუნოება, რა ღმერთებს სცემდნენ აქ თაყვანს, ეს ჩვენ მოვიხსენეთ 2). სომხის ისტორიის განვითარებით მცოდნეს ხენ-მარტენს შეუნიშნავს, რომ, როგორც ამას ევსევი მოიხსენებსო, ვიდრე იმპერატორი კონსტანტინე ქრისტეს აღსარებას მიიღებდაო, ქრისტიანობა გავრცელებული იყოო სომხეთში, რომ სომხეთი შეადგენსო იმ მხარეს, სადაც სასარება სხვა მხარეებზე ადრე დამყარებულაო 3). მართლა და სომხურის წყაროების მოწმობით, აქ პირველად ირწმუნეს ქრისტე იესო, თადეოს მასარებელის ქადაგებით, მაცხოვრისავე თანამედროვე ედესსის მეფემ ავგარმა და ედესსის სომხებმა; მასუკან ნათელ-იღეს ბართოლომე მოციქულის ხელით სიუნიელებმა და აღოვანელებმა 4). ისინი უჩვენებენ აქ ადგილ-ადგილ პირველ—დროდამვე ეკ-

1) Hist. de la Siounie, I. 15.

2) «მნათობი», აგვისტო, გვ. 14—17.

3) Lebeau,. Hist. de B—Emr. I, 76.

4) აღოვანელნი ანუ სტრაბონის ალვანელნი მკვიდრობდნენ ივერის მდინარიდამ მოყოლებული დერბენტამდე და მტკვრის სამხრეთამდე. შემდეგ აღოვანელნი მტკვარს გაღმაც გავრცელდნენ, ესე იგი ყარაბა-

კლესიებს, უდაბნოებს და ეპისკოპოზებს, რომელნიც ახალს სამწყსო-ებს განაგებდნენ. შემდეგ, როდესაც ავგარ მეფის შტო აღმოიფხვრა, სომხეთში ქრისტიანობა შემცირდა და შესუსტდა ვიდრე თირდატ მეფემდე. თირდატი მოაქცია გრიგოლ-განმანათლებელმა. თირდა-ტის მიბაძვით ნათელ-იღო მომატებულმა უმთავრესთ პირთ ნაწილ-მა და თვით ხალხმაც. პირველი მასწავლებელი სომხეთისა გრიგოლ შეი-ქმნა პირველსავე სომხეთის ეპისკოპოზად, რომელმაც მიიღო ხელ-და-სხმა კაპპადოკიის კესარიაში, სადაც თვით იმისნი მოადგილენი მიი-ღებდნენ ამ წელ—დასხმას, ორის საუკუნის განმავლობაში. იმან მოი-წვია მრავალნი მოძღვარნი ბერძენთა და სირიელთაგანნი, და იმათის შემ-წეობით დააფუძნა საეპისკოპოზო კათედრები, მონასტრები და ეკლე-სიები და მოჰფინა ახალი მცნება მთელს სომხეთის სივრცეზე. «უძ-ველი საქმეა, იტყვის სენ-მარტენი, რომ ვიდრე ქრისტიანობა გავრ-ცელდებოდა სომხეთში სასტიკი ბრძოლა უნდა ატეხილიყო აქ, მეტადრე დარონის მხარეში, სადაც მოფენილი იყო წარმართ ტაძრები. აქ კერპთ თაყვანის-მცემელთ მღვდლებმა დიდი წინააღმდეგობა აღმოაჩი-ნეს, ასე, რომ საჭიროებამ მოითხოვა მახვილის მოხმარება იმათის განდევნისათვის». შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა კონსტანტინე-საგან და იმისის გავრცელებისა რომის იმპერიაში ძველი კავშირი სომ-ხეთისა რომთან უფრო დამტკიცდა. მაგრამ ამასთანავე ამ შემთხვევამ მომატებულად აღძრა მტრობა სომხებთან სპარსეთის მეფეებში. ეს იყო მიზეზი, რომ სომხეთში ასტეხეს იმათ შინაური სარწმუნოებრივი შფოთი და განხეთქილობა. ამ საქმეში იმათ შემწეობას აძლევდნენ სო-მხის თავადნი, რომელთაც არ ისურვეს მამა-პაპურის აღსარების უა-

---

ღის ვაკე-მინდვრებში, რომელსაც შეადგენდნენ სომხეთის მაზრები არ-ცახი, უტი და ფაიითაკარანი. სიუნი მდებარეობდა გოქჩასა, არაქსსა და ალოვანს შორის (Hist. de la Siounie, I, p. 8 n. 1).

რის-ყოფა და რომელნიც თავიანთს მეფეებს უმზერდნენ, როგორც ქრისტეს სჯულის მოღალატეებს 1).

ცნობანი, რომელნიც ამ დროს სპარსეთს და სომხებს შეეხებიან, მოყვანილნი არიან ქართლის-ცხოვრებაში. ის უჩვენებს თვით იმათს წყაროებს. სპარსეთის ცხოვრებას 2), და სომხეთის ცხოვრებას 3), საიდამაც ზოგიერთი შემთხვევა თითქმის სიტყვა სიტყვით არის გამოწერილი 4). თვით ბერძნულის წყაროდამაც უსარგებლია ჩვენ მატიანეს 5). ამას ამტკიცებს ზოგიერთი სახელ-წოდება ბერძნულის ფორმით, მაგალ. კოსარო 6), რომელიც ყოველთვის ასეა ხმარებული 7). ამ ჟამის ქრონოლოგია ქართლის-ცხოვრებაში მეტად არეულია. მირიანის წინა-მოადგილე ასფაგური, რომლის დროსაც, იმისის თქმით, არდაშირი სასანიდი ფლობდა სპარსეთს, მეფობდა საქართველოში 262 წლიდამ—265-მდე, მაშინ როდესაც დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ არდაშირი მეფობდა 226—235-ამდე, მაშასადამე არდაშირი მოკვდა 26 წლით ადრე ასფაგურის ტახტზე ასვლისა. მირიანი მეფობდა 265—342-მდე. ამ დროს განმავლობაში მეფობდნენ: სპარსეთში—რვა მეფე: არდაშირის შვილი შაბური პირ-

1) Hist. de la Siounie, I, 8–17. Mém. sur l' Arm. I, 291 n. I., 306–307.

2) ქართ-ცხ. გვ. 57.

3) იქვე, გვ. 63.

4) იქვე, გვ. 58 *Моис. Хор. Ист. Арм. стр. 141.* Hist. de la Géor I, 94 n. I.

5) ქართლ-ცხ. გვ. 63.

6) ხოსრო სომხეთის მეფე.

7) Hist. de la Geor. I, 79 n. 2.

ველიდამ დაწყობით ვიდრე შაბურ მეორემდე; რომში — 31 იმპერატო-რი, იმათ რიცხვში კონსტანტინე დიდი და იმისი ძე კონსტანსი; სომხე-თში — თირდატ 2, დირანი 2 და არშაგი 3. საკვირველია, რომ უცხო-ტომთ მატიანენი მირიანს იშვიათად მოიხსენებენ. სომხის მწერალი მოსე ქორენელი უჩვენებს იმას თირდატის დროს. მოსეს თქმით, იბერიის გამგე მიჭრანი მოქცეულ იქმნა ქრისტეს სჯულზე ნუნეს ხელით, და იყო ერთი თირდატის ჯარის-უფროსთაგანი, რომელმაც მიიღო მო-ნაწილეობა თირდატის ბრძოლაში «ჩრდილო-ტომებთან» 1). რო-მის მწერალი ამმიანი მარცელინი ამბობს: როდესაც იმპერატორი კონ-სტანსი საომრად ემზადებოდა სპარსეთთან, მაშინ იმან უსვის საჩუქ-რით მოსთხოვა მონაწილეობის მიღება ამ ომში სომხის მეფეს არ-ზასს და იბერიის მეფეს მერიბანესს. ეს იყო 361 წელს, მაშინ რო-დესაც ქართლის-ცხოვრებით საქართველოს ჴელობდა მირიანის შვი-ლი ბაქარ პირველი 2). ქართლის-ცხოვრების ნაამბობი უცხო-ტომთ ნაამბობს ზოგნი ეთანხმება, ზოგნი არა. პირველს სასსანიდს არდაშირს ის უწოდს ქასრედ და ამ სახელით სახელ-სდებს «იმისის ძიდამ» მი-რიანიდამ დაწყობილი, მთელს საქართველოს დინასტიას ხოსროია-ნებად ანუ ხოსროიდებად 3). არდაშირს ქასრედ უცხო-ტომთ მწე-რალნი არ მოიხსენებენ, მაგრამ ეს-კია, რომ სპარსეთის თქმულება ზოგიერთ სასსანიდების დინასტიის წევრთ უწოდს კესრად 4). ქარ-

1) *Исторія Арменіи, стр. 151, 152.* Hist. be la Géor. I, 88 n. 5.

2) Hist. de la Géor. I, 134 n. 3. Lebeau, Hist. du B—Emp. II, 353.

3) ქართ.-ცხ. გვ. 57, 60.

4) Notice chronologique Langlès. Uoyage de Charden, x. 111, 183. Revue numism. Broset, p. 17.

თლის-ცხოვრებით ქართველების ასფაგური და სომხების კოსარო ერთად ებრძვიან არდაშირს და ასფაგური მოიწვევს ოსებს, ლეკებს და ხაზარებს, სდევნიან არდაშირს, შედიან სპარსეთში და აოხრებენ სპარსეთს 1). შემდეგ ამისა, როდესაც «ხოსრო მეფე განმზადებულ იყო კვალად შესვლად სპარსეთს, იმისმა ნათესავმა, წარჩინებულმა მთავარმა, სახელად ანაკ, ქასრესაგან მოსყიდულმა, და ძმამან მისმან, მოკლეს მახვილით ნადირობის დროს მეფე და ივლტოდეს; ხოლო დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა და მოკლეს იგინი და მოსრეს ყოველი ნათესავი მათი, თვინიერ დაშთეს ორნი შვილნი მათნი, რომელნიცა აღიხვნეს მამა-ძმუძეთა მათთა; ერთი შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და მეორე საზღვართა სპარსეთისათა» 2). აქ მოხსენებული ძე ანაკისა იყო გრიგოლ განმანათლებელი. მოსე ქორენელის სიტყვით ანაკს ჰყვანდა მხოლოდ ერთი შვილი გრიგოლი კესარიაში გაყვანილი, ჩამჩიანის თქმით კი-ორი გრიგოლი და სურენი სპარსეთში განვლტოლილი 3). კოსაროს სიკვდილის შემდეგ ქასრე სასანიანმა «პირველად დაიპყრა სომხითი, მოსრა და ტყვე-ყო ყოველი ნათესავი სომეხთა მეფისა; ხოლო ერთი ძე კოსაროს მეფისა, მცირე ყრმა, შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და მუნ იზრდებოდა, რომელსაც ერქვა თრდათ, შემდეგ შემოვიდა ქართლად. ხოლო ასფაგურ წარვიდა ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა ციხე-ქალაქნი; მუნ ეწია სიკვდილი და აღესრულა» 4).

1) ქართ.-ცხ. გვ. 57.

2) ქარ.-ცხ. გვ. 58.

3) *Исторія Арменіи Моисея Хоренск. стр. 141.* Hist. de la Géor. I. 82 n. 1.

4, ქართ.-ცხ. 58—59.

«ასფაგურს არა ესვა ძე—განაგრძნობს ქართლის-ცხოვრება,— არამედ ასული ერთი; შეკრიბეს ყოველნი ერის-თავნი ქართლისანი მცხეთისა ქალაქსა, სპასპეტისა თანა, რომელსა ერქვა მაიჯან. ზრახვა ჰყვეს რათა ქმნონ ღონე ჭირთა და განსაცდელთა მათთათვის. მაშინ სთქვა მაიჯან სპასპეტმა....» მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, რომელსა ეგიდა სამეფო ჩვენი, და აღუღია პირი თვისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქვეყანისა ჩვენისა. არავინ არს ჩვენთან წინააღმდგომი მისი, და დარჩომილა ერი ჩვენი ობლად. მივაგებოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩვენდა და ვევედრნეთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული ასფაგურისა, და ვითხოვოთ მისგან დამშჳდება სჯულისა ზედა მამათა ჩვენთასა, და არა აღრევა ჩვენთანა სპარსთა, და წარჩინებულად პირობა ჩვენი.... მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერის-თავნი ზრახვასა მაიჯან სპასპეტისასა და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, და მოახსენეს ესე ყოველი. ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიგრძე მისი, და მახლობლობა საზღვართა და ოვსთა; და კვალად გამოიკითხა გვარი ასფაგურისა ასულისა, და უთხრეს ნათესავობა ნებროთიანთა და არშაკუნიანთა და ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა, და თვითცა უკვე გამოარჩია მცხეთას დასვმა ძისა თვისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისა და რანისა და მის კერძისა უფროსად და უმაგრეს გამოარჩია და მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა ბრძოდეს მათ მუნით, და იპყრობდეს ყოველთა კავკასიათა. აღესრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა და მოვიდა მცხეთას, და მიეგება მაიჯან სპასპეტი და ყოველნი ერის-თავნი ქართლისანი. შერთო სპარსთა მეფემან ქასრე ასული ასფაგურ მეფი-

ხა ძესა თვისსა, რომელი მუნ თანა-ჰყვა, შვიდისა წლისა, ნაშობი მხევლისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან და ქართულად მირიან, და მისცა იგი მეფედ მცხეთას, მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. თანა-ჰყვა დედა მირიანისა, და არა დაუტევა იგი მირიანისთანა, რამეთუ უყვარდა იგი, ვითარცა თავი თვისი, არამედ დაუტევა მამა-მძუძედ და გამგებელად წარჩინებული მირვანოზ, და დაუტევა ორმოცი ათასი მხედარი სპარსი რჩეული და არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი, ფიცისა მისთვის, რომელ ფუცებულ იყო ქართველთად, არამედ დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს. უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი შვიდი ათ-ასი რჩეული მხედარი ყოვლად ქალაქსა შინა იპყრან მცველად მისა მისისა. და ესრედ დაეზავა ქართველთა, რათა კარნი და ციხენი და ქალაქნი ყოველნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა, და სხვა სიმრავლე სპარსთა არა იყოს ქვეყანასა შინა ქართლისასა აღრეულად. «და იყოს შვილი ესე ჩემი ორსავე სჯულსა ზედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის-მსახურებასა და თქვენთა კერპთასა», რამეთუ პირველვე ამასცა ზედა მოეცა ფიცი.—და წარვიდა ქასრე მეფე, წარუსვნა და დაიმორჩილნა ყოველნი ხევნი კავკასიანთანი და დასხნა ყოველგან მთავარნი, და დაუბრძანა მათ ყოველთა, რათა იყვნეს მორჩილ ძისა მისისა მირიანისა, და უბრძანა მირიანს და მამა-მძუძესა მისსა მირვანოზს, რათა ბრძოდიან ხაზართა, და წარვიდა თვით სპარსეთად» 1).

როგორც მოხსენებულია, მირიანი დაჯდა მეფედ შვიდის წლისა. აღზრდილმა «მსახურებასა შინა კერპთასა და ცეცხლისასა», იმან შეამკო «კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრნა ქურუმნი». იმას უყვარდა ქართული ენა და ქართველნი, და თვით ქართველთ დიდი სიყვარუ-

1) იქვე, გვ. 59--61.

ლი და პატივისცემა ჰქონდათ იმისი. როდესაც მირიანი შეიქმნა 15 წლისა, იმას მოუკვდა მეუღლე, ასული ასთავგურისა. მაშინ იმან მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ულიოტორისა, სახელით ნანა». მირიანს ჰქონდა ხშირი ბრძოლა ჰერეთში და მოვაკანში ხაზარებთან და იმათ მოკავშირე დურძუკებთან და დიდოებთან. «უფროსი ლაშქრობა იმისი—იტყვის ქართლის-ცხოვრება,—იყვის დარუბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი-ფართო და მუნითმცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა». მირიანი შევიდა ორმოცს წელში, როდესაც აღესრულა იმისი მამა სპარსთა მეფე და ქასრეს მოადგილედ დაჯდა უმცროსი ძმა მირიანისა ბარტამი. მირიანი ითვისებდა მამის ტახტს. ის ამბობდა: «პირ-მშო შვილი ვარ და საუფლის-წულოდ მებოძნეს ქვეყანანი უცხონი... მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან, ამისთვის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა. ხოლო ბარტომი იტყოდა: «თუმცა პირ-მშო არს იგი, არამედ ნაშობი არს მხევლისა და ნაშობსა მხევლისასა ეყოფის სხვად რომელი მას მიჰხვედრია სამეფონი».... შეკრიბეს ორთავე სპანი და მიეტევნეს ბრძოლად... ვითარცა იხილეს მოხუცთა და მარზაპანთა ვითარმედ მახვილი დაეცემის ურთიერთსა, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბჭედ, და დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა მათსა... მათ განბჭეს და მისცეს მეფობა სპარსეთისა ბარტომს; ხოლო მირიანს გულის-სადებლად მისცეს ბარტამისაგან ჯაზირეთი და შამისა ნახევარი და ადარბადაგანი, ესე უკეთე ქართლსა, და სომხითსა, რანსა, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს» 1).

შესანიშნავია შემდეგი გარემოებები, რომელთაც ქართლის-ცხოვრება გვიამბობს მირიანის დროს. ჩვეულებისამებრ ხაზარნი მოვლენ საბრძოლად დარუბანდს. მირიანი შევა მთაში ჯარით სამშველად. ამ

1) ქართ.-ცხ. გვ. 60—62.

დროს მეფე გუთთა ურიცხვის სპით შედის საბერძნეთში. ბერძნის მეფე შემოიკრებს თავისს ძალას. მეფე გუთთა მოითხოვს თავის-თავ ბრძოლას კეისართან. ვერ მალ-იდებს კეისარი ბრძოლად მისა. «ხოლო იყო მუნ ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სახელით თრდათ, აღზრდილი საბერძნეთს და გოლთათი. იგი გამოარჩიეს ყოველთა სპათა ბრძოლად გუთთა მეფესა. გამოვიდა გუთთა მეფე და მიეტევნეს ურთიერთსა. სძლო თრდატ და ხელად შეიპყრა, და იოტეს ბანაკი გუთთა. ხოლო კეისარმან მისცა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს. გამოვიდეს სომხითს და გამოასხნეს სპანი ერის-თავნი მირიანისნი. მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართასა და მოიყვანა სპარსეთით თვისი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ. მან მოიტანა თავის-თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თვისი ცოლად და ქვეყანა ხუნანიდგან ბარდავამდე, მტკვარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი მუნ ერის-თავად. უწყო ბრძოლად თრდატს. ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით მას ვერ ძალ-უდვის მირიან წინა-დადგომად, და მოვლის თრდატ ქვეყანა მისი. და ოდესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით, ვერ წინა-აღუდგის თრდატ, მოვლის სომხითი. ესრედ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა და არავის იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ ბრძოლი თრდატისა, და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქვეყანასა, და სძლო ყოვლადვე ბრძოლთა მისთა».

ქართლის-ცხოვრების თქმით, სპარსეთის მეფის ბარტამის მოადგილე, მირიანის ძმის-წული, რომლის სახელიც არ არის აქ მოხსენებული, მიიწვევს მირიანს, «რათა შევკრბეთ და გარდავლოთ სომხითი, და შევიდეთ საბერძნეთად». მირიანი და სპარსთა მეფე გაივლიან სომხეთს, სადაც ვერ წინა-აღუდგება იმათ თირდატი, შევლენ საბერძნეთში, ვერ წინა-აღუდგება იმათ ბერძენთ მეფე კონსტანტინე და

ეს უკანასკნელი დიდს მწუხარებას მიეცემა. ამ დროს კაცნი ღმრთის-მსახურნი ურჩევენ კონსტანტინეს, რათა ნათელ-იღოს და წარიმძღვაროს ჯვარი, რადგანაც «ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარმძღვანებითა ჯვარისათა სძლევენ მტერთა ზედა». კონსტანტინემ ნათელ-იღო და წარმოიმძღვანა სახე ჯვარისა და ჰყო სპარსთა ურიცხვთა სპათა მცირითა და აოტნა ბანაკი მათი და მოსრა სიმრავლე მათი; ივლტოდეს ორნი ძმანი მცირედითა-ლა მხედრითა, და მიუდგა უკანა კონსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა. სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი; ხოლო მირიან დაადგა ქართლად და განამაგრნა ციხე-ქალაქნი». ულონო ქმნილი და შეშინებული მირიანი მოითხოვს მშვიდობას. კონსტანტინე სპარსეთის მეფის კვლავ შიშის გამო დაეზავება მირიანს, გამოსთხოვს იმას მძევლად იმისს შვილს ბაქარს და დაამოყვრებს თირდატს და მირიანს, ესე იგი თირდატის ასულს სალომეს შეჰრთავს მირიანის შვილს რევს, განუწესებს საზღვარს საქართველოსა და სომხეთს შორის. «რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით, მოერთვიან რახსსა, ესე ქვეყანანი თირდატის დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკვარსა, მირანის კერძად დაყარნა და შუა-მდგომელ ექმნა მათ და წარვიდა».—«მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჴერეთს და მოვაკანს, და აქუნდა ეგრისიცა, ეგრის—წყალამდე, და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასვა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თირდატისა. ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისასა, აქუნდა ქვეყანა, რომელი ზემოდ ვახსენეთ მიცემულად მირიანისგან, და იყო მუნ ერის-თავად». 1)

ასე მოქმედებდა და მოღვაწეობდა მირიანი, ვიდრე ის ქრისტეს

---

1) ქართ.-ცხ. გვ. 62—64.

სჯულს მიიღებდა. ქართლის-ცხოვრების თქმით, მირიანი აფუძნებს სა-ქართველოში დინასტიას ხოსროიდებისას, ანუ უკედ ვთქვათ, სასა-ნიდებისას. ქართველთ ერის-თავთ გამოთხოვით, ქასრე პირველი სას-სანიდი სპარსეთისა თვითონ დაჰსვამს იმას მცხეთაში მეფედ და სხვა-თა შორის სომხეთსაც დაუმკვიდრებს იმას. განსაკუთრებითი ყურადღე-ბა ქასრესი მიქცეულია მცხეთაზე, «რამეთუ მცხეთა ყოველთა ქალაქ-თა უფროსად და უმაგრეს გამოარჩია მახლობლად ჩრდილოთა მტერ-თა, რათა იპყრობდეს ყოველთა კავკასიელთა». მირიანი ქასრეს სიკვ-დილის შემდეგ ითვისებს სპარსეთის ტახტს. ის ხან-გრძლივ ებრძვის ჭყრეთში და მოვაკანში და უფროსლა დარუბანდში ხაზართ, რომელ-ნიც მოვიდიან და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი თვართო და მუნითმცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა». კონსტან-ტინე კეისრის ომში გუთთებთან მონაწილეობას მიიღებს სომეხთ თირ-დატი, რომელიც აქ თავს ისახელებს და შემდეგ ბერძნების ჯარის შემ-წეობით დაიჭერს თავისს სამეფოს და განდევნის სომხეთიდამ «სპათ ერის-თავთა მირიანისთა». ასტყდება ბრძოლა მირიანსა და თირდატს შორის. გარდა ამისა მირიანი მიეკერძება სპარსეთის მეფეს, როდესაც ის საბერძნეთში შედის საბრძოლველად კონსტანტინესთან. ამ დროს კონსტანტინეს მომხრე არის თირდატი. კონსტანტინე მტერსა სძლევს და შემდე დაუზავდება მირიანს, დაამოყვრებს იმას სომხეთის მეფესთან, განუწესებს იმათ საზღვრებს და გამოსთხოვს მირიანს მძე-ვლად იმისს შვილს ბაქარს....

ეს ნაამბობი ქართლის-ცხოვრებისა აღბეჭდილია იმავე თვისებით, რომელიც ჩვენ წინად რამდენჯერმე შევნიშნეთ. აქ ნამდვილი ფაქტი და ზღაპრული ამბავი ერთი მეორესთან შეკავშირებულია. აქ ერთის დროს შემთხვევა მიეწერება მეორეს დროს. აქ ზოგიერთი გარემოე-ბა, რომელსაც ჩვენი მატიანე მოიხსენებს და უცხო-ტომთ თქმულება კი არა, ეჭვ ქვეშ უნდა იყოს, თუმცა ის ისტორიის წინააღმდეგს არას

წარმოგვიდგენს. შესაძლებელია, მაგალ., რომ მირიანი იყო სასანიდთაგანი, რომ ის საქართველოს მეფედ დაუსვამს სპარსეთის ხელმწიფეს, თავისის გავლენის დასამყარებლად კავკასიის მხარეში, რომ მირიანა სპარსეთის მეფის ძალით განაგებდა სომხეთს, რომელიც ხოსროვ დიდის სიკვდილიდამ, ვიდრე თირდატის გამეფებამდე, 27 წლის განმავლობაში, უპატრონოთ იყო დარჩენილი და თირდატის შემოსვლის დროს განდევნილ იქმნა. შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა უეჭველია, რომ არდაშირის მემკვიდრედ იქ დაჯდა 238 წელს იმისი შვილი შაბურ პირველი, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ არ გამოსჩენია. ქართლის-ცხოვრების თქმულება ამ საგანზე რომ ნამდვილი შემთხვევა იყოს, მაშინ—ცხადია ესა—ის მოხსენებული იქნებოდა უცხო ტომთ მწერალთაგან, მაგრამ ამ შემთხვევას არც ერთი მატიანე არ უჩვენებს 1). მოსე ქორენელი მოიხსენებს გაკვრით თირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთთებთან ანუ გოთებთან, რომელშიაც თირდატს უსახელებია თავი. ეს მომხდარა 281 წელს. დიოკლიტიანის დროს, 284 წელს, ჩამჩიანის თქმით, თირდატი გოთების მეფეს ჭრთჩეს შეებმის და მოჰკლავს იმას; ამითი დასრულდება ომი 2). გუთებს ანუ გოთებს ჰხადიან სკვითებად ანუ ინდო-ევროპიელებად; იმათი ენა თავისის ლექსიკონით და გრამმატიკულის აგებულობით მიემსგავსება ნემეცურს და სპარსულს. მველად გოთნი დამყარებულნი იყვნენ სკანდინავიაში და შვეციაში. შემდეგ სამის საუკუნის წინად ქრისტეს შობისა, იმათ დაუჭერიათ სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირები ბალტიის ზღვისი; აქედამ ისინი

---

1) Hist. de la Géor. I, p. 86 n. 3.

2) *Ист. Арм. Моис. Хор., стр.* 145. Hist. de la Géor. I, 86 n. 4.

გაბნეულან გერმანიისკენ და შავის-ზღვისკენ, საიდამაც ხშირად თავს ესხმოდნენ დუნაის მხარეებს. იმათ ისე შეარყიეს რომი, რომ რომის იმპერატორებს ხარჯით უნდა მოესყიდათ იმათი მშვიდობა, რომელსაც ისინი ყოველსავე შემთხვევაში არღვევდნენ. ვალერიანის და გალლიენის დროს გოთებმა განვლეს ჰელლესპონტი, აოხრეს მცირე-აზია, დასწვეს ეფესის ტაძარი და შევიდნენ თვით კაპპადოკიაში. თითქმის ყოველს რომის ბრძოლაში სპარსეთთან აუცილებელი იყო იმათი მონაწილეობა, რომელსაც ხან ერთს აძლევდნენ, ხან მეორეს. გოთებში გაავრცელეს ქრისტიანობა მცირე-აზიიდამ და მეტადრე კაპპადოკიიდამ ტყვედ გაყვანილთა; ერთმა იმათგანმა, გოთის ეპისკოპოზმა ულფილამ, ნათესავით კაპპადოკიელმა, შეასუსტა იმათში კერპთ-მსახურება, მოარბილა იმათი ზნეობა და მისცა იმათ ან-ბანი, რომელიც მიემსგავსებოდა ბერძნულს და ლათინურს და მიღებულ იქმნა სხვა სკვითების ტომთაგანაც. იმანვე გადმოსთარგმნა გოთურს ენაზე ძველი მცნება. გარდა ამისა გოთებს ჰქონდათ ისეთი სამოქალაქო წყობა, რომელზედაც შემდეგ დამყარდა გერმანიელების სჯულ-დება 1).—ქართლის-ცხოვრება, როგორც სჩანს, მირიანის დროსაც და იმის წინათაც, ხშირად მოიხსენებს ერთს ჩრდილო-ტომს, ხაზარებს. ვინ იყვნენ ხაზარნი, რა დროდამ არიან ცნობილნი, სად ცხოვრობდნენ, რარიგად და როდის მოაწყდნენ პირველად კავკასიის მთებს, ამაზე ჩვენ გვქონდა ვრცელი საუბარი 2); ამისთვის საჭირო აღარ არის, რომ ამ საგანზე სიტყვა გავავრცელოთ. ჩვენს მატიანეს ამ ტომზე სრულებით ეთანხმება უცხო-ტომთ თქმულება. ქართველებისა და სომხების გარდა ხაზარებს მოიწვევდნენ რომაელნი და სპარსნი თავიანთის

---

1) Hist. du B—Emp. III, 324—329. IV, 97—100.

2) «მნათობი», მარტი 1871 წ. გვ. 72—79.

ურთიერთის ბრძოლის დროს, და თვით ისინი, რომლებსაც უმეტესად შთებოდნენ, ხან აქ ხცემდნენ, ხან იქ. ხაზარნი საშიშნი იყვნენ უფრო ხმარსეთისათვის, რადგანაც ამათი მოსერხებული გზა სპარსეთის საზღვარს დასცქეროდა. ის მიემართებოდა დერბენდის მხარეს და, ქართლის-ცხოვრების შენიშვნით, უფრო «თვართო» და ადვილად გასავალი იყო, ვიდრე ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალანი, რომელიც ჩვენ «საქართველოს» პირველს რვეულში გვაქვს აწერილი 1). ქართველების» დარუბანდის კარი» უცხო ტომთ მწერალთაგან დიდ ცნობილია: იმას უწოდნენ: რომელნი Pylae Albanicae, Pylae Casriae, სომხები ჩოგანუ ჩორ, ბერძნები მურ 2). დერბენტის შესავალში აღმართული იყო გრძელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწოდებოდა ვირათვარახად ანუ იბერიის ზღუდედ. ეს ის ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ უწოდთ კავკაზიის კედლად და, ასალის გამოკვლევით, როგორც ამას ჰმოწმობს თვით იმისი კვალი, აქამომდე დაცული, მიემართება 360 ვერსზე, და დერბენდიდამ მოყოლებული ერთის მხრით გადადის კავკაზიის იქით, მეორეს მხრით შედის საქართველოს საზღვარში 3). უეჭველია, რომ ეს გრძელი ზღუდე უნდა იყოს აშენებული სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ტომთაგან. «საქართველოს მეფეებს, ბროსსეს შენიშვნით, დიდ ხშირად ჰქონდათ ომიანობა დერბენდის მხარეს და ამისთვის იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩრდილოეთის ანუ მტრისა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ» 4) დერბენდის ციხე-სიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან.

1) ვვ. 82 – 83.

2) Brosset, Voyage archélog. 1-re rapp. p. 97.

3) *Исторія Груз. кн. Барятова. СПБ, 1865, I, стр. 36--37.*

4) Hist. de la Géor. I, 154 n. 2.

როდესაც ის იყო სპარსების ხელში, ისინი იმას დიდ-ძალის გარნი-ზონებით სცვიდნენ იმას, რომ საზღვარნი შეეკავებინათ 1).

ჩვენის ფიქრით, თირდატის ომი მირიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ რომ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობას. რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან; რომი ეხმარება თირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხეთის დაჭერას; სპარსეთი ეხმარება მირიანს სასანიდს. რომაელნი და სპარსნი ამ შემთხვევაში ეძიებენ თავისს ინტერესს, ესე იგი, ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებას აზიაში. ეს-კია, რომ ამ აზრს არ ეთანხმება სომეხთ გარდამოცემა, 'ვითომც საქართველო ექვემდებარებოდა თირდატს, ვითომც მირიანი იყო თირდატის სპათა უფროსი, ვითომც იმისის მზადების დროს საბრძოლველად სპარსეთთან, 296 წელს, იმან მიიხმო ალბანიის და იბერიის ჯარები 2). — ქართლის ცხოვრების თქმულება სპარსის მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა. ჯვარის წარმოდგომა აქ «ღვთის-მსახურთ კაცთ რჩევით», დამარცხება სპარსთა და შემდეგ კონსტანტინესაგან ნათელ-ღება სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა მეფობის შემთხვევაა. როგორათაც მსოფლიო ისტორია ამტკიცებს, ჯვარის ძალით სძლია კონსტანტინემ თავისს მტერს, მაგრამ ეს მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელს-იღო ბევრით შემდეგ ქართლის-ცხოვრებისაგან ჩვენებულს დროზე, ესე იგი თავისის სიკვდილის წინად 3). გარდა ამისა არც კონსტანტინე დიდს, არც იმისს პირველს შვილს

1) Lebeau, Hist. du Bas—Emp. VI, 291,317. VII, 269—270, 398—399.

2) Hist. de la Géor. I, 87 n. 4.

3) Hist. du B—Emp. I, 89,96,328—329. Hist. de la Géor. I, 129 n. 2.

კონსტანტინე მეორეს არა ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან, თუმცა ეს უკანასკნელი მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ ამ მზადების დროს ის მოკვდა 1). ეს ბრძოლა იწყო მხოლოდ კონსტანტინე დიდის მეორე შვილმა კონსტანციმ 2). შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ქართველი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და ამისგამო იმან მიჰმართა კონსტანციის, კონსტანციმა დაამოყვრა ის თირდატს.—ამ დროს ჩვენს მატიანეში მოხსენებულია მირიანის ძე ბაქარი, ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად გაყვანილი. იმისის თქმით, შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა მირიანისაგან, «კეისარმან კონსტანტინემ გამოუგზავნა იმას ძე ბაქარ ნიჭითა დიდითა» 3). ეს იყო ის ბაქარი, რომელიც მირიანის მოადგილედ დაჯდა საქართველოში და მეფობდა 342 წლიდამ 364 წლამდე 4). აქ უნდა ვთქვათ, რომ არც ბაქარის შესახებ ეთანხმება ქართლის-ცხოვრება უცხო-ტომთ თქმულებას, რომელიც თუმცა მოიხსენებს «იბერიის მეფის ძეს ბაკურის», მაგრამ, როგორც სჩანს, ის სხვა ბაქარი უნდა იყოს. რუფინს გაუცვნია იერუსალიმში ბაკურისი, რომელსაც იმისთვის უამბნია ქრისტეს სჯულის დამყარება საქართველოში. რუფინის სიტყვით, ის ყოფილა დიად ყმაწვილი, რომელსაც ნინოს უქადაგნია ჩვენში ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაურის აღრეულობისგამო ის გასულა საბერძნეთში და აქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნდვია სასახლის მსახურთ-უფროსობა და პალესტინის გამგეობა. ის მოკლულ-ქმნილა 394 წელს, მაშინ, როდესაც ის ბერძნების ჯარით თურმე ებრძოდა

1) Hist. du B—Emp. I, 343,344,379, 380 - 381.

2) Ibid. 381,402—412. 452—456.

3) ქართ.ცხ. გვ. 99.

4) Hist. de la Géor. I, 133.

ტრანს ევგენის. იმისს ახოვანებას დიდის ქებით მოიხსენებენ იმ დროს უცხო-ტომთ მწერალნი 1).

დიმიტრი ბაქრაძე.

1871 წ. 25 დეკემბერს.

---

1) Ibid. 132 n. 3. Hist. du B-Emp. III, 337 n. 2; V,45,46,53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული მასალები *).

## არზა მეფე თეიმურაზთან კათოლიკოზის ანტონის მიერ ექსორიობასა თვისსა ზედა.

ღმერთმან ჩვენის კელმწიფის საქართველოს მეფეს ცხებულის უფ-ლის ჭირი მოსცეს, ცოდვათა ჩემგან დანთქმულს, მათს დისწულს ანტონის. თაყვანისვცემ მათს სიმაღლეს, და კელს ვკოცებ... რავქ-ნა ჩემი სინიდისი მამხილებს, რომ ამდენი თავის წყენა არა გაიბედება ჩემგან ასეთი დანაშაული მაქვს; მაგრამ ბუნებითის მოწყალებით ცხადი შეიქმნა, რომ არ მომკალით: ჩემთანა საეჭველი ფლორენციის უკეთუ-რის შესაკრებელისა არღარა არისრა,—წმიდამან სამებამან იცის, და ზე-ცისა ძალთა იციან,—არც დღეს მჯდომს რომის პაპის წვალების მწი-კული ჩემს გონებას შეამწიკულებს, და თუ აღმოსავლეთის ეკკლესიის მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისათვის დავისჯები, ეგ თქვენის მართლ-მსაჯულებისაგან არ იქმნება ვიცი. მეც მოგახსენეთ და თქვენმა სიმა-ღლემაც მიბრძანა რუსეთს წარსვლა. მე დიაღ წყალობად მივითვალე, მაგრამ რომ ასე გამგზავნოთ, იქაც ასე საქმე გამიჭირდეს მწუხარება-საგან მოვკუდე, და კიდეც წავრწყმდე, აქავ რომ მომკლათ ბევრით უმჯობესია ჩემთვის. თქვენის დისა ჩემის მეტი აღარა არისრა; იმი-სის სიყვარულისათვის ასეთს წიგნს ნუ გამატანთ—იქ მივიდე სიკუ-

*) ეს მასალები უფ. ს. გამრეკელისაგან მიიღო «მნათობის» რე-დაქციამ.

რედ.

დიდი და წარწყმენდა მოიწიოს ჩემზედა: იქაც რომ არ შემიწყნარებთ, სადღა წავიდე. ამ ქვეყნიდამ ხომ დავიკარგე და იქ რომ ცოცხალი ვიყო და იქიდამაც არ დავიკარგო, თქვენის სიმაღლის დასაკლისი არა არისრა იქ ცოცხალი ვიყო, და ჩემის სულის მეტი საზრუნავი არა მქონდესრა ამას გეხვეწებით: მამა არა მყავს დედა და დაი და თქვენის მეტი ნათესავი არავინა მყავს, ნუგეშინის მცემელი და მოწყალე. ჩემის ცოდვისაგან ახოცილია საქართველოში. ჩემი ობლობა და უდედ-მამობა შეიწყალეთ. მე უძღები შვილი ვარ, და თქვენ სახიერი მამა ბძანდებით. შემიწყალეთ, წარწყმენდასა და სიკვდილს ნუ მიმცემთ. რომელიც ნუსხა მოგართვით რუსეთს გასატანებელი წიგნი ამ ნუსხის პირით მიბოძეთ. რაც ჩემი საზიანო და დასაკლისი არა სწერიარა თქვენი საზიანო ხომ არა არისრა. ამ ნუსხას ჩემგან მორთმეულს ნურც მოემატება და ნურც დააკლდება, და თუ ამ წიგნს მიბოძებთ და არ წავალ, ქრისტიანე აღარ ვიქნები, და ამ ნუსხაში რაც ჰსწერია ამ წიგნს არ მიბოძებთ, დასტური მიბოძეთ იმერეთს მაინც წავალ, და თუ არც იმერეთს გამიშვებთ, მომკალით, სხვა იმის მეტი აღარა იქნებარა. ღირსი არა ვარ შეწყალებისა, მაგრამ თქვენის კელმწიფის მამის და დედის შვილის-შვილი ვარ და თქვენის გამზრდელის და დიდად ჭირნახულის დის შვილი ვარ. იმათ აპატიეთ, ჩემი დანაშაული, და ასეთს საქმეს ნუ მიზამთ, რომ მწუხარებისაგან მოვჰკვდე და წავწყმდე და ან ცოცხალი ვეყო და ერთი საკვირველი საქმე რამ დამემართოს. როგორიც ნუსხა მოგართვით, ამისთანა წიგნი მიბოძეთ და თუ ამისთანა წიგნს არ მიბოძებთ როგორ წავიდე, ამისგან უარესი წიგნი როგორ წავიდო. ჭეშმარიტებამ იცის, რომელი სჯად მომავალია, რომ წერი-

ლისაგან შეჰსცდი ამ ორს სიტყვაზედ: სულის წმინდის საქმეზედ და მამის უფროსობაზედ, ამისგან უფრო თავის წყენა არ იქნება.

განჩინება კათოლიკოზის ანტონის ზედა, დამხობ[illegible]ნად და წირვისაგან დაყენებად. და კჳალად შენდობად და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი.

წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ღვთისა 1755, თთჳსა დეკემბერსა 16. ჩვენ მეფემან ქართველთამან თეიმურაზ, და ძემან ჩვენმან მეფემან ირაკლიმ და ორთავე ამის სამეფოსა ეპისკოპოზთა მოვიყვანენით არხიმანდრიტი ორნი, შენ ანტონის კატოლიკოსსა ჩვენსა გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ: ამისთვის რომელ, გვესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი, და იღუწიდიცა შემინებად მათდა იდუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩვენ მიერ არქიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯოროდ აღიარე წვალება ლათინთა, და საუწყებელად ჩვენდა გამოუცხადე; და ვითარცა ესე ვსცანით, მყის დავამხვეთ საყდრისაგან შენისა, და შენთანა ერთსახნი სამღვდელონი დავსაჯენით, და ერისკაცნი უზიარებელ ვჰყვენით. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე (გონებასა) ცნობად ქრისტესა სარწმუნოებისა, დაიწყე გოდებად და ტირილად, და მევრდომად და თხოვად შენდობისა, და უარ ჰყავ ბოროტი ცთომილება შენი, და განჰგმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა რომელიცა შეგეწყნარა, და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არღარა მიდრეკად გმობათა მიმართ ლათინთასა.

ხოლო განგიწესეთ კანონად დაცადებაჲ შეწირვისაგან უსისხლოჲსა მსხვერპლისა თთჳათა ათორმეტთა, და მერმეცა შეწირვად სამღვდელოჲსა ლიტურღიისა. რამეთუ ესოდენნი თთჳენი დაგეყვნეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა და კვალად შემდგომ თთჳეთა სამთა განცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უფეცხო ყოფა წვალებისაგან (სწავლებისაგან) პაპის მმოსავთა ლათინთასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სრულიად აღმოსავლეთის ეკკლესიის სარწმუნოება იპყრობდა შენ-თანა თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

და ფრიად წადიერ იქმნენ ყოვლითურთ კეთილ-მსახურნი, და ყოვლითურთ მართლ-მადიდებელნი იმპერიისა რუსეთისასა წარსვლად რომელიცა უმეტეს გულისავსე გვეყოვდა მართლ-მადიდებლობასა შენსა:

ამას ზედა ყოვლთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლე-ნით კანონი, რომელნიცა გაგვეწყსნეს, რათა ღირს იქმნე უსისხლოსა მსხვერპლსა შეწირვად ყოვლად წმინდასა საუფლოსა დღესა აკრებისა-სა, რომელსა დღესა აღსდგა უფალი ჩუენი იესო ქრისტე: და ესრეთ პატივითა მღვდელთ მთავრობისათა წარგვზავნეთ, და ღირს არს შე-წყნარება შენი მღვდელ-მთავრად მართლ-მადიდებლად და სადაცა მისვიდე დაუყოვნებელად კლეყოვად საღმრთოსა ლიტურღიისა და ყოვლისა სამღვდელთ-მთავროჲსა მოქმედებისა, ვითარცა მღვდელთ მთავარი. რა-თა აქავე აღსრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა სამთავროსა ჩუენსა და მშვიდობით წარსველ.

ხოლო საღჳდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთხმა იყვნეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თჳსნი, და შენთანავე აღიარეს მართლ-მადიდებლობაჲ, და მათცა შეუნდევით მღვდელობად, და მსახურებად სამღთოსა საიდუმლოსა დღესა საუფ-ლოსა აღდგომისასა.

---

## ႵႠႪႤႡႨႱ ႼႨႬႠႠႪႫႣႤႢ ႣႠ ႱႠႱႠႰႢႤႡႪႭႣ.

ფანნი ლევალდისა

### მ ე რ ვ ე  წ ე რ ი ლ ი

ბერლინი, ივლისი 1869 წ.

ამ ექვსი კვირის წინად ბერლინში დააფუძნეს პირველი საღამუ-რი საფარველი (приютъ) უსასლკარო დედაკაცებისთვის და საქმე ძა-ლიან უბრალოდ და მიზნის შესაფერისად წაიყვანეს. კომიტეტს, რო-მელმაც იკისრა ამ საფარველის დაფუძნება, ძალიან ცოტა ფული ჰქო-და. სახლის ყიდვას აბა როგორ იფიქრებდნენ, ამიტომაც კამიტეტის, წევრები დიაღ კმაყოფილნი შეიქმნენ, როცა იშოვნეს ბინა ძველებურ შენობაებში, რომელშიაც უწინ არტილლერიის სასელოსნო ყოფილა.

ამ საფარველის გახსნაზედ ბევრნი იყვნენ მოწვეულნი, მაგრამ ცოტანი მოვიდნენ და ჩემს გარდა სულ კაცები იყვნენ. მე ძალიან გამიკვირდა ეს ქალების მხრივ დაუდევრობა, რადგან ვიცი რომ ბერ-ლინის ქალბატონები კეთილ-მოქმედნი და ცნობის მოყვარენი არიან, ასე რომ ამისთანა ამბებზედ დიდის ხალისით დაესწრებიან ხოლმე. რა საკვირველია, რომ აქ ძალიან სასალიხო ს ა ნ ა ხ ა ვ ი არა იყორა. შე-ნობაები ძველი და უხეირო შესახედაობისანი არიან, იატაკი გაცვეთი-ლია და კიბეც დაბალი. მაგრამ რომელი დედაკაციც აქ გაატარებს ღა-მეს, იმისთვის საკმაოა საფარველ ქვეშ და თბილ ოთახში იყოს. ვახშმისთვის ჭამა არა ყოფილარა, სიტყვებიც უბრალო უმაღლ ფრაზებოდ წარმოსთქვეს. ჩვენ შევედით კარგა გამთბარ დიდ ოთახში, იქ იდგა ოცზედ მეტი საწოლი, ყველაზე ერთი საბანი ქვეშ ეგო,

მეორე სასურავად იყო. მეორე ამაზედ პატარა ოთახში რამდენიმე საწოლი იდგა, უკეთ მოწყობილი ნაალებით და რბილი [illegible] ეს იყო ავადმყოფებისთვის; ეტყობოდა, რომ ეს ბალიშები და ნაალე-ბი კერძოპირებისგან იყო შეწირული: იმათ მომაგონეს მე «მკელ-მუ-ლები», რომელიც ყველა სახლობაში ბლომად გროვდება და შეადგენს «მეტს ტვირთს», — აი ეს «მეტი ტვირთი», როგორც გამოსაყენებელიც საწყლებისთვის, რომელთაც ჩვენ მუდამ ვივიწყებთ.

ამ ოთახების მომვლელად და მსარჩევებად არიან ერთი ბებერი და ერთი ბერიკაცი—ორივ კეთილხულოვანი შეხედულობისანი. იმათ გვა-ჩვენეს სამზარეულო. — სამზარეულოს ავეჯი, ჭურჭელი და სახანები — სულ თავიანთ დანიშნულების შესაფერნი არიან. შესავალში არის გა-კეთებული საკიდავები და აწყვია ფლოსტები, სველი ფეხსაცმელის გამოსაცვლელად, ეს ყველაფერი კარგად მოფიქრებული. წესდებულება-ში ნათქვამია, რომ ღამის ათ საათზედ გვიან არა ვინ შეუშვან და დი-ლის ცხრა საათზედ მეტი აღარავინ დარჩეს შიგ. ყველა მომსვლელ-წამ-სვლელს თითო თეფშს წვნიანს აძლევენ, ყველას აქვს უფლება ხუთი ღა-მე დარჩეს იქ და არავის შეუძლიან ჰკითხოს იმათ სახელი, თუ კი არ ითხოვენ საფარველის მთავრობისგან შემწეობას. მარტო ერთი რამ არ მომწონდა მე იქ. მომსვლელებს ღამე ტანისამოსის გახდის ნება არა ჰქონდათ, თუმცა ყველა სამკერვლო ნივთები იყო იქ დამზადებული სა-ცმელის დასაკერებლად. მტვრიან, ტალახიან და სველ კაბებში ძილი ამ წესის დამდებთ გულქვაობას და მოუსაზრებლობას ჰწამებდა, რად-გან მაწყინარი იყო შეფარებულებისათვის და ჰაერსაც სწამლავდა; მაინც შემდეგში აღმოჩნდა, რომ ეს წესი ძნელი შესასრულებელი იყო.

იქ მყოფებში მე ვცნობდი მხოლოდ ბანკირს და კონსულ მოლ-ლერს. ამ სამმა დავიწყეთ ლაპარაკი და იმაზედ ვლაპარაკობდით, დაი-წყებენ თუ არაო მოსვლას ამ საფარველში და უწინ რა გვარი დედა-კაცები უფრო ისარგებლებენ ამით.

სათვარველის კურთხვა 3-ს იანვარს მოხდა, ცივ ბურუსიან დღეს— თან ჭყინავდა და თან თოვლ-წვიმა მოდიოდა. საღამოზედ, შევხედე თერმომეტრს (სითბოს საზომს), მერე ქუჩაში გავიხედე და ვიფიქრე: «მადლობა ღმერთს რომ სათვარველი გაიხსნა; ვინიცის საწყალ ვისმე დედაკაცს მშიერს და ცახცახით მოჭიხდენოდა ამ სიცივეში ვისიმე კარის ბჭეში ძველ დედამიწაზედ გდება, ახლაკი ამ სათვარველში შეუძლიან იმას გასძღეს, გასთბეს, დაიძინოს და რამდენიმე საათს დაივიწყოს თავის მძიმე უბედურება. — სავგირველი ერთმანერთის წინააღმდეგი სხვა და სხვაობა არ არის ამ გვარსა და ფუფუნებაში მყოფ დედაკაცებს შორის, რომელნიც უქმად უზრუნველად გატარებულ დღეს შემდეგ ნებივრად სძინავთ რბილ ყურთუკში და ჩივილით ყურებ გამოუხვრეტენ სოლდმე ადამიანს, თუ როგორმე ძილი გაუფთხსათ იმათ. მე ამ სავლახაოს ფიქრში დამეძინა და ამავე ფიქრით გავეღვიძა; თუ ერთხელ როგორმე დაინახეს ახლოს ნამდვილი გაჭირება,—ოცდები და გიკვირს, თუ რარიგ უგრძნობლად და გულ ქვაობით ვტოვებთ ჩვენს მასლობელებს გაჭირებაში და სასოწარკვეთილებაში.

რამდენიმე დღეს შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდეს სტატია ამ ახალ სამთვარველოზედ. პირველ დღეებში მიმსვლელების რიცხვი იყო ხუთ დედაკაცებამდის, შემდეგ ამ რიცხვმა თან-და-თან იმატა. აპრილში 884 (რვაას ოთხმოცდა ოთხ) დედაკაცს ეძინა იმ სამთვარველოში!

1-ს რიცხვს 26 დედაკაცს, 2-ს 28, 3-ს 29, 4-ს 35 დედაკაცს; აქედამ სჩანს, რომ ამ გვარი თავშესათვარებელი ძალიან საჭირო ყოფილა და ახლა აპირობენ რამდენიმე ამისთანა თავშესათვარებლები გამართონ ბერლინში — დედაკაცებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც.

კომიტეტის წევრებმა იგისრეს ამ სამთვარველოსი რიგით ყურის გდება, მეც ვთხოვე ერთს ჩემს ნაცნობს, რომ ცნობები შეეკრიბა, თუ ვინ ისარგებლა პირველად ამ სათვარველით. აქ რამდენიმე შემთხვევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგატყობინებთ, რომ დავარღვიოთ ის წინად შედგენილი დაჯერება, — ვითომც თუ კაცი გლახაკია და თავის საფარი არა აქვს — ეს მხოლოდ თითონ იმისი ბრალია და სხვა არავისი.

ამ საგლახაოში პირველად მისულებს შორის ერთი სამოცდა თხუთმეტი წლის დედაკაცი ერია. იმას ნათესაობა სულ არა ჰყვანდა და ჩულქების ქსოვნით მხოლოდ იმდენის მოპოვება შეეძლო, რომ შიმშილით არ მოკვდებოდა. ერთხელ სალამოთი გამოვიდა ქუჩაში, ფეხი გაუცურდა, დაეცა და საშინლათ დაიჩეხა; წაიყვანეს შარიტეში; იქ ექვსი კვირა სწამლობდნენ, ბოლოს მოარჩინეს და გამოუშვეს. ეწინ რომ კუთხე ეჭირა ამას, სხვა დედაკაცისთვის მიეცათ და ახლა არ იცოდა თუ რა ქნილიყო და მივიდა საფარველში. იქ ხუთ დღეზედ მეტი დაჰყო, რადგან ვერავინ გამოჩნდა, რომ საწყალი ბებრისთვის კუთხე რამე მიეცათ: «ხარჯს ვინ გადგვიხდის, რომ მოკვდეს? შრომის ღონე რომ აღარ ექნება, პურს ვინ აჭმევს?

ერთხელ კიდევ მივიდნენ საფარველში ორი ემაწვილი, ჯან მთელი ქალი, რომელნიც სოფლიდგან მოსულიყვნენ ბერლინში; იმათ კარგი ყოფაქცევის ატტესტატები ჰქონდათ. წამოსულიყვნენ, რომ «თავიანთ ბედი ეცადნათ სატახტო ქალაქში, სადაც ფულები უფრო ადვილად მოიგება ხოლმე». იმათ კარგი კაბები და ნივთები ჰქონდათ და ამასთანავე რადგან ლამაზებიც იყვნენ, ვოკსალშივე გამოჩნდა ერთი დედაკაცი, რომელმაც ურჩია იმათ პირველ ხანში თავისთან დაბინავება; ამ დედაკაცმა აიკიდა ამათი ნივთები და წაიყოლა თან ეს ქალები; ბევრი იარეს ქუჩა-ქუჩა, ბოლოს მიიყვანა იმ დედაკაცმა ერთ სარდაფთან, სადაც კაცები ისხდნენ და პივას შექცეოდნენ, სწევდნენ და ქაღალდს თამაშობდნენ. იმ დედაკაცმა დასხა ისინი, აჭამა-ასვა და კარგა დაუხვდა; იმ ქალებმა იმ დრომდის ვერაფერი ვერ შეატყეს საეჭო იმ დედაკაცს, მანამ იმან არ დაუწყო იმათ ეხვეწება, რომ კუთხეში იმალე-

ბით; დედაკაცმა უთხრა ქალებს, რომ ეს ჩემი სასტუმროა, [illegible] და რიგიანი პატრონი დაიარებაო და სთხოვა, რომ ალერსიანად დაუხვდით ყველა სტუმარსაო, და ამიტომ ჰპირდებოდა იმათ მოსამსახურებად აყვანას. ეს რ ი გ ი ა ნ ი პატრონები ძალიან მოლაპარაკენი შეიქნენ, ალერსიანები და — მეტის-მეტად ალერსიანები; ამის გამო საწყალი ქალები შიშისგან გაექცნენ ამ დედაკაცს და ისიც ვერ შეიტყეს, თუ რა ერქვა იმ დედაკაცს, ან ის ადგილი რომელი ნაწილი იყო ქალაქისა.

ერთხელ კიდევ შუაღამისას მივიდნენ იმ სამთვარველოში ორი ახალგაზდა მკერვალი ქალი. თუმცა კადა გადასული იყო, მაინც შეუშვეს ისინი, რადგან პოლიციის მოხელემ უმოწმა იმათ, რომ ღამის მაწანწალები არ იყვნენ; ისე სტიროდნენ და ისე მუდარით სთხოვდნენ შეშვებას, რომ ველარ უთხრეს იმათ უარი, მით უფრო, რომ პატიოსნურათ აღვიარეს, ამ დროს გარეთ დარჩენა ჩვენი ბრალიაო. კარა იყო, შეკრებილებში ყოფილიყვნენ და ტანცობაში დაჰგვიანებოდათ. ალაყაფის გასაღები არ მიეცა იმათთვის სახლის პატრონს, კარებიც აღარ გაეღო ან ვერ გაეგო რახუნი. ახლა, რომ ღამე ქუჩაში ტარებინათ არ იქნებოდა, პოლიციის ხელში რომ ჩავარდნილიყვნენ სამუდამოდ ეჭვ ქვეშ დარჩებოდნენ, — ამ გარემოებამ სასოწარკვეთა იმათ და იმ სამთვარველოში მიიყვანა. მე მიამბეს, რომ როცა მეორე დღეს მიდიოდნენ თურმე, არ იცოდნენ თუ როგორ გადეხადნათ მადლობა.

აგრეთვე მ..სულიყო იქ ერთი პოლშელი ურიის ქალი ყმაწვილით, რომელიც სადღაც ქმართან მიდენილიყო და გზაზედ ავად გამხდარიყო. ერთი მკერვალი ქალიც ყოფილიყო იქ, რომელსაც საქმე ველარა გაეკეთებინა რა ავადმყოფობისგამო; როცა მორჩენილიყო და წასულიყო საქმის საშოვნელად იმის სახლის პატრონს დაუჭირა იმის ნივ-

თები სახლის ქირაში და სახლშიაც აღარ შეეშვა. იმავე ღამეს მისუ-ლიყო სამფარველოში ერთი ყმაწვილი ლამაზი ქალი [illegible], რომელიც განზრახვით მოეყვანათ ბერლინში, და იმ ზნით მოხსენე-ბულ ორ ქალზედ უფრო საძაგელ და საშიშ მდგომარეობაში ჩავარ-დნილიყო. ერთი სიტყვით, ამ სამფარველოს გახსნის პირველივე კვი-რაში დამტკიცდა, რომ ყველა სახის გაჭირება და უპატრონობა ჯსუ-ფევს დედაკაცებში.

მას აქეთ «საფარველის საზოგადოება» დამტკიცდა და გამოა-ცხადა თავის წესები; სამამაკაცო საფარველი ჯერ კერ გახსნეს, რა-დგან საქალო გაადიდეს, შიგ სარეცხი გეჯები გამართეს და კიდევ სხვა ღონისძიება მიიღეს ჭუჭყიანი ტანისამოსის გასუფთავებისათვის, რომ ჯავრი არ ეწამლებოდესო... ჩვენ მხოლოდ უნდა ვისურვოთ, რომ ამ ჩინებულმა საქმემ ჰპოვოს დახმარება და თანაგრძნობა საზოგადო-ებაში, მაშინ საფარველი ბევრის მხრივ შეიქმნება ჭეშმარიტ კეთილ-მოქმედებად ფიზიკურის თუ ზნეობითის მხრივ. ამ საზოგადოების ყველა წევრს (წევრობა კი ყველასთვის ადვილია, რადგან წლის გარდა-სახადი, თითოზედ წელიწადში სულ 15 ზილბერგროშია ჩვენებურად ცხრა შაური) სთხოვენ, რომ ვისაც კი დრო და ღონე აქვს თითო ღა-მე გაატარონ რიგით ამ საფარველში; ეს არა თუ მარტო საფარვე-ლისთვის არის სასარგებლო, არამედ თვით წევრებისთვისაც; ყველას გვარგებს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ვნახოთ სიგლახავე და გა-ჭირება თავისი დაუნდობელი და საზარელი სახით; საზოგადოდ სა-სარგებლოა, რომ სხვა და სხვა დასის ხალხი შეეხება ერთმანერთს, მეტადრე ეს შეხება იმათ სჭირიათ ძალიან, ვინც დაჩვეულა საწყალე-ბისათვის ზურგის შექცევას და შესაწირავით თავის აცილებას იმ სა-ზარელი სანახავისგან, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენ ჩვენთა მოყვა-სთა გაჭირება და უბედურება. რამდენი ადამიანი იღუპება ყოველ წე-

ლიწადს დიდ ქალაქებში, ამის დათვლა ძნელია, რადგან მრავალი უნდა იყოს, და რაჩაირად ცხადი და საგრძნობელია დიდ ქალაქებში [illegible]ბსა და მდიდრებს შორის — სხვა და სხვაობა და გარჩევა. დამშეული და დამძრალი ბავშვები ბრწყინვალედ გაჩაღებულ სასტუმროების წინ მოძაგძაგენი ამ გვარ სანახავებში ყველაზედ უარესს არ შეადგენენ: სასაწყალეს ამაზედ უარესი მოვლინებაებიცა ხშირს!

ამ გვარი გაჭირების ჟამს არ შეიძლება ძალიან არ გვიხაროთ 1866 წ. «ბერლინის სახალხო სამზარეულოს გახსნა; ამის გახსნა ჩვენ უნდა დაუმადლოთ ქლ. ლინა მორგერშტერნის საკვირველ გამჭრიახობას; ეს სამზარეულო ათასებს იხსნის საშიმილისაგან.

ქლ. მორგერშტერნმა მარტივად და ცხადად აღწერა ამ სამზარეულოების ისტორია და მათი დასაწყისი იმ ბროშურაში, რომელიც იმან გამოსცა სახელით: «ბერლინის სახალხო სამზარეულოები». ამ ბროშურის წაკითხვას ურჩევ მე ყველას, ვისაც კი ცოტათი მაინც ჰსურს შეიტყოს საზოგადოობრივი წინ-სვლა. 1866 წ. მაისში ომის, დაწყების წინად, როდესაც ვაჭრობა და ხელოვნება შესდგა, ამ კეთილაზრიან დედაკაცს, ჩაუნერგა სახალხო სამზარეულოების გახსნის აზრი; ბევრმა კეთილმა კაცმა და ქალმა მისცა მას დახმარების მხარი და ამ გვარად მოაგროვეს 4,500 ტალერი; მეფაბრიკე მეიერმა, რომელიც ყველა საზოგადო საქმეებში ურევია, ააშენა თავის მიწაზედ სახლი ამ სამზარეულოსთვის და საზოგადოებას შესწირა ხოლო სამზარეულოს გამგეობაც თითონ იკისრა; მეფაბრიკე გეგმანმა ექვსი სპილენძის ქვაბი აჩუქა, თითო ასი კვარტიანი და რადგან იმდროს, პირველ სამზარეულოს გახსნამდის, ბერლინში საკვირველი სისწრაფით ვრცელდებოდა ხოლერა, ამიტომ ქ. მორგერშტერნმა მიიღო ნების რთვა საწყლებისთვის საჭმელი ეჭმევინა საქალაქო სამზარეულოდამ, რომლებიც სხვა დროს მარტო ზამთარში გაიხსნებოდნენ ხოლმე. 9 თიბათვეს

პირველად დაარიგეს ასი კერძი ჩინებული წვენი, მოწყალებისათვის კი არა, არამედ იმავე ფასად, რაც დამკვიდრებული იყო. ამ ჟამად ათი სახალხო სამზარეულოა ბერლინში და ეს სამზარეულოები იღებენ მაძღრის, ნოყიერ და სალი საჭმელით რვიდგან ათი ათას კაცამდის. ისეთი კარგი საჭმელი მზადდება იქ, რომ კარგ სადილს დაჩვეული კაციც კი კმაყოფილებით სჭამს იქ მომზადებულს საჭმელს, ამასთან ერთი სადილი ოთხ კაპეიკ ნახევრათ ღირს და ამ ფასად კი ამისთანა საჭმელს სრულებით ვერ მოიმზადებს ცალკე ერთი კაცი.

ქლ. მარგერშტერნი ამბობს თავის ბროშურაში: «სახალხო სამზარეულოს მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მოამზადოს კარგი, ნოყიერი და მაძღრისი საჭმელი ისე ცოტა ფასად, რა ფასადაც ერთი კაცი ან ღარიბი სახლობა იმისთანავე საჭმელს შინ ვერ მოიმზადებს. ეს სამზარეულოები უნდა ეცადნენ, რომ თავიანთი საკუთარი შემოსავლით არსებობდნენ და მათი გამგეობა უნდა იყოს დაფუძნებული იმ პირთ უანგარო დახმარებაზედ, რომელნიც ამ საქმეს განაგებენ; ფულით სარგებლობა უნდა განდევნილი იყოს ამ დაწესებულებიდგან და ამასთან დამაწესებლებს სასტიკად უნდა ეჭიროსთ მაზედ თვალყური. ამიტომაც სახალხო სამზარეულოები მარტო მაშინ არიან სასარგებლონი, როცა იმათ ჰმართავს ფილანტროპების (კაცთ მოყვარების საზოგადოება და არა კერძო აფერისტები, რომელთაც ყველაზედ უფრო თავიანთი სარგებლობა აქვსთ აზრად. სახალხო სამზარეულოს მოსამსახურეს შეადგენს მეკუჭნავე, მზარეული, შესავალში ბილეთების გამსყიდავი და ამათი თანაშემწეები სულ დედაკაცები. ფულის ანგარიშს, ზედამხედველობას და თითქმის საჭმლის დარიგებასაც კი—უანგაროდ საზოგადოების წევრები ასრულებენ. ყველა სამზარეულოში ოთხი ქალი ურიგებს საჭმელს და აქამდის ამ ქალების ყოფნაც საკმაო იყო ამ სამზარეულოებში, რომ რიგი დაეცულიყო და აგრეთვე დამშვი-

დებულიყვნენ ზოგიერთი ატეხილი სტუმრებთაგანნი. იმ დღეს, რო-დესაც მე მივედ ერთ სახალხო სამზარეულოში, საჭმელს ურიგებდნენ ერთი ბებერი, ორი ახალგაზდა ქალი და ერთიც სულ ყმაწვილი გასა-თხოვარი ქალი—ყველანი კარგი საზოგადოებისანი. მომსვლელებს ქმ-ლეოდათ მთელი ან ნახევარ კერძი, რომელსაც ისურვებდნენ. იმ დღეს ძალიან ცხელოდა და თუმცა სამზარეულო სარდაფში იყო, მაგრამ მა-ინც საშინელი სიცხე იდგა, მოსადილეები ძალიან მჭიდროდ ისხდნენ; მათში ერივნენ მუშა-ხალხი კარგად და ცუდად ჩაცმულები, რამდენიმე სალდათი, წვრილმანი მოხელეები და რამდენიმე პატარა ბიჭი; მეორე ოთახში რამდენიმე ბებერი და ყმაწვილი ქალები ისხდნენ. კაცები კი-ბეზედ რომ ჩამოდიოდნენ, მხოლოდ მაშინ სწევდნენ, მაგრამ შინ შე-სვლის დროს კი ყველანი გადააგდებდნენ ხოლმე სიგარას. ეს სამზა-რეულოები იმ ტრასტინებზედ არც ცუდად არიან გამართულნი და არც თუ უკეთესად, სადაც ესევე ხალხი ორჯერ ამაზედ მომეტებულ ფა-სად სჭამს ორჯერ ამაზედ უარესს საჭმელს. მომსვლელები ჭამის დროს რიგიანად იქცეოდნენ და ჭამის შემდეგ მაშინვე მიდიოდნენ; საჭ-მლის გამრიგებელი ქალები ძალიან დაღალულებსა ჰგვანდნენ, მაგრამ მა-ინც სიხარულით და ხალისით აღსრულებდნენ თავიანთ ვალს. ისინი მართლა რომ კეთილ საქმეებს აღსრულებენ, თუმცა ზოგს არ მიაჩნია ეს. კვირაში ერთ დღეს გამგეობენ სამზარეულოში, და ყოველთვის ერთსა და იმავე დღეს და იმავე სამზარეულოში; ამასთან ჰყავსთ თა-ნაშემწეები; გარნა კვირაობით კი იცვლება რიგი, რომ ყველა კვირას გამგეობა სამზარეულოში ერთსა და იმავე ქალს არ შეჰხვდეს.

თავ-და-პირველად ძნელი იყო მუშა ხალხის დაჩვევა, რომ სა-დილის საჭმელად სახალხო სამზარეულოში მოსულიყვნენ; იმათი თა-ვის მოყვარეობა ვერ შეგნებდა, რომ იმ ალაგს წასულიყვნენ სადილის საჭმელად, სადაც უწინ მოწყალებასავით ურიგებდნენ საჭმელს. მანამ

სახალხო სამზარეულოებში ჰხარშავდნენ საჭმელს და კერძებს აგზავნიდნენ სახლებში, მანამ სამზარეულოები შეუფერებელნი იყვნენ ხალხის მოთხოვნილებისა და ჩვეულებისათვის, მხოლოდ მასაქეთ, რაც იმ სამზარეულოებთან პურის საჭმელი ოთახები გამართეს, სადაც ყველას თავისუფლად შეუძლია შესვლა, ვისაც საჭმლის შინ წაღება არ უნდა ოღონდ კი მარკა იყიდოს, მასაქეთ ეს დაწესებულება შეიქმნა ღარიბი ხალხისთვის დაუფასებელ კეთილ-მოქმედებად. აქ სჭამენ იაფად და მაძღრისად; ამასთან ყოველ დღე ერთმანერთში შეხვედრა საწყლებისა და მდიდრებისა, განათლებულებისა და გაუნათლებლებისა, ძალიან სასარგებლოა. როგორც უკვე გითხარით მე თითონ ვიყავ სახალხო სამზარეულოში და საჭმელიც ვჭამე იქაური, აგრეთვე ბევრი ჩემი ნაცნობებიც იყვნენ, და შევნიშნე რომ მომსვლელები ყოველთვის რიგიანად იქცეოდნენ და საჭმელიც ჩინებული იყო. ძველი აზრი: l'unions fait laforce (შეერთება ჰბადებს ძალას) ამ საქმეშიაც გამართლდა, და მე უფროც დავრწმუნდი, რომ ესლანდელი ჩვენებური სახლოსნობა ღარიბი სახლობაებისათვის სრული ფლანგვა და მოუმჭირნეობაა, და რამდენიც დრო მიდის იმდენად უფრო მოუხერხებელი ხდება ეს მომეტებული ნაწილისთვის და ამისგამო უნდა მოისპოს.

საჭმლის შინ მზადება ბევრ შემთხვევაში მეტის მეტი განცხრომაა და ბევრნი უფრო უკეთესად სჭამდნენ, უფრო მოხერხებულად იცხოვრებდნენ და უფრო რიგიანად აღზრდიდნენ თავიანთ შვილებს, რომ გაჰბედონ როგორმე და დასთმონ შინ გაკეთებული საჭმელი. შინ საჭმლის გაკეთებას ბედნიერებას ეძახიან, მაგრამ ეს ბედნიერება უფრო ოცნებითია და მეტადრე ღარიბი ხალხისთვის, რომელთაც შეძლება არა აქვსთ, რომ საიმედო და თავის საქმის მცოდნე მოსამსახურე იყოლიონ; ამისთანა ხალხისთვის საჭმლის შინ მზადება მუდამ უსიამოვნობას ჰბადებს. მე ეს ჩემი თვალით ვნახე იმ სახლში, სადაც ვიდექ. იმ

სახლში თექვსმეტი ფათერი იყო, თითო ფათერი ოთხ-ოთხი ოთახი თავის სამზარეულოთი. შიგ იდგნენ პატარა სახლობანი, რომელნიმე უშვილო ცოლქმარნი, ორი ხნიერი გასათხოვარი ქალი, ბებერი უცოლო კაცი, ასე რომ იმათი საერთო რიცხვი იყო ორმოცდა თხუთმეტ კაცამდის. რომ ამ ორმოცდა თხუთმეტ სულს ჰქონოდა ორმოცდა თხუთმეტი ფინჯანი ყავა, საკუთრად მომზადებული სადილი და საღამოზედაც კიდევ ჩაი, ამისთვის იდგა თექვსმეტი მზარეული, თექვსმეტ სამზარეულოში თექვსმეტ ქურაზედ ჰხარშავდნენ საჭმელს და თექვსმეტი ფეჩი დღეში სამ-ოთხჯერ ხურდებოდა, მაშინ როდესაც ერთ მზარეულს თავის თანაშემწეებით ერთ ქურაზედ შეეძლო, იმ ორმოცდა თხუთმეტი სულისთვის ისეთივე ან თითქმის უკეთესი სადილი მოემზადებინა. მაშინ ყველა სახლობას სამზარეულოს მაგივრად მეხუთე ოთახი ექნებოდა და ყველა იმ თექვსმეტ მოსამსახურესაც ექნებოდა დრო ის საქმეები აღესრულებინა, რომელსაც ეხლა თვითონ ქალბატონი აკეთებდა და ამ მიზეზით იმის ქმარს სწყინდებოდა უიმისოდ მარტოობა და შვილებიც მოკლებულნი იყვნენ დედის ზრუნვას. ამას გარდა ყველა გამოცდილმა სახლოსანმა იცის, რომ პატარა სახლობაში იმავე ხარჯით უფრო უარესს საჭმელს სჭამენ, ვიდრე დიდ სახლობაში. პატარა სახლობისთვის ხომ არ შეიძლება დიდი ნაჭერი ხორცის ყიდვა და პატარა ნაჭრები კი ყოველთვის ცუდია; დიდ შემწვარში ძვლები ისე ბევრი არა სჩანს, როგორც პატარაში და სხვა და სხვა. ამისგამო მე დარწმუნებით ვამბობ, რომ ბევრი ჩვენი საშუალო წოდების ხალხი ასმარებს ოთხჯერ მომეტებულს ფულს, დროს და შრომას, მაგრამ ვერა სჭამს ისეთ კარგს საჭმელს, როგორსაც მუშა ხალხი სჭამს სადილს სახალხო სამზარეულოში ოთხკაპეიკ ნახევრად. მაგრამ მაინც მალე არ გამოიცვლება ეს გვარი სახლოსნობა; ამის მიზეზი არის ცოლების გაუნათლებლობა, რომელნიც თავისთვის დარწმუ-

ნებული არიან, რომ შეუძლიანთ ქმრების სახლის გამრიგებლობა, აგრე-
თვე ამის მიზეზი არის კიდევ ქალები ნებივრობა და მჭ[illegible] გა-
მჯდარი ცრუაზრი, რომელიც ხშირად უძლის რესტორანზედ გასცვა-
ლონ საკუთარი სამზარეულო; რასაკვირველია ამჟამად სასტუმროების
საჭმელი ცუდია, მაგრამ ეს სასტუმროებიც, სახალხო სამზარეულოე-
ბსავით, უნდა იყვნენ გამოცდილი სახლოსანი ქალების ზედამხედველო-
ბის ქვეშ, მაშინ საჭმელიც კარგი იქნება.

მე წინადვე ვიცი რასაც მეტყვიან ამ ზევით ნათქვამის წინააღმ-
დეგ. სახლობითი ცხოვრების ლაზათი იკარგება, თუ ყოველ წლივ არ
იხარჯება ამდენ-ამდენი მანეთი მეტი შეშაზედ, სამზარეულო ჭურჭელ-
ზედ და სხვ., და თუ სახლის უფროსი ქალი დღეში რამდენიმე საათს
სამზარეულოში არ ატარებს,—თავის შვილების გასეირნების მაგივრად
ან რამე შრომით ფულების მოგების მაგივრად. იტყვიან რომ მარტო
შინ მოხარშული საჭმელია გემრიელიო. მაშ თუ ასეა, საწყალი ხელო-
სნების სახლობა რათ მიდიან ტრახტირში, როცა კარგი საჭმლის ჭა-
მა ჰსურსთ? და ან მდიდარი ხალხი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, რო-
ცა საგანგებო საჭმლის ჭამა ჰსურსთ, რათ აკეთებინებენ საჭმელს დი-
დი რესტორანების მზარეულებს? ამბობენ, რომ ტრახტირის საჭმელი
ისეთი ნოყიერი ვერ არის, როგორც ნოყიერია სადილი მასწავლებე-
ლისა ან მოხელის სახლობაში, რომელსაც წელიწადში 300-გან 1500
მანეთამდის შემოსავალი აქვს, მაგრამ იმათი ფერმკრთალი და სატკბუ-
რიანი შვილები ცხადად ჰმოწმობენ იმათ საჭმლის უხეირობას. ყველა
ეს სასაცილოა, მაგრამ უფრო უმეტესად სამწუხაროა. ამ ყალბი შეხე-
დულობის მიზეზის პოვნა კი ძნელი არ არის. სახლის უფროსებს
ისევ ის უწინდელი სამზარეულოები აქვსთ თვალწინ, რომლიდგანაც სა-
ჭმელი მოჰქონდა თითო კერძი სამშაურად ან ერთ აბაზად და რომ-
ლის შემოსავლითაც იმათ პატრონს იმედი აქვს მომავალში დიდი რე-

სტორანი გახსნას და ფულებით აივსოს. იმათ ჯერ ვერ შეუგნიათ, რომ, თუ კი ზოგიერთი მათგანი იკისრებს რამდენიმე სახლობისთვის სადილის გაკეთებას, მაშინ იმათ სახლობასაც უკეთესი საჭმელი ექნებოდა, უფრო ნაკლებ დროს გაატარებდნენ სამზარეულოში და ქმრებსაც ცხოვრებას შეუმსუბუქებდნენ ნაკლები ფულის ხარჯვით. ეს სულაც არ დაუშლიდა იმათ, ვისაც ხარშვის და გამოცხობის ხალისი აქვს: იმათ მაშინაც შეეძლოთ ხან და ხან შინ მზარეულობა, რადგან ოთახშიაც დაიდგმება პატარა ფეჩი. მაგრამ დედაკაცები ამას ვერ შეიგნებენ, ვიდრე მოსამსახურის და შეშის სიძვირე და სახლების თან-და-თან გაძვირება არ აიძულებენ იმათ, საკუთარი და შვილების ბედნიერებისთვის, მიჰმართონ უფრო გონივრულ სახლოსნობას.

მეც მიყვარს საკუთარი სამზარეულო, ამიტომ რომ მე ეს განცხრომას შემიძლიან ვიქონიო; ამასთან მე კარგად ვიცი მზარეულობა ეს კი ყველა ქალმა არ იცის, მეტადრე ახალგაზრდამ, ასე რომ იმათი მოსარშული წვენი ხშირად ძალიან ცუდია ხოლმე. რომში კი მაინც სასტუმროდგან მოგვქონდა საჭმელი და შინ გაკეთებულზე ჩინებულ საჭმელს ვსჭამდით მე და ჩემი ქმარი და უფრო იაფადაც და მთელ ჩვენს მოგზაურობაში ხან და ხან ექვსთვეობით თვალით არ მინახავს ქურა და ქვაბები, მაგრამ კი ყოველთვის კმაყოფილნი ვიყავით ხოლმე საჭმლისა.

სახლოსნობაშიაც ამხანაგობას ვსაჭიროებთ. ამასთან მე ამ წერილში არ შევეხე იმას, თუ რასასით შეიძლება უფრო უკეთესად შვე-ლდა ღარიბებისა იმ მხრით, თუ ბევრმა მდიდარმა სახლობამ ერთად გაიმართოს სამზარეულო. ცრუ აზრები ყოველთვის ნელ-ნელა ითრგუნებიან; ამიტომაც საჭიროა იმათზედ აღდგომა და მუდამ მათთან ბრძოლა! ამ მიზეზით დავწერე ესეთი გრძელი წერილი

ეკატერინე დვინიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკვდილით დასასჯელის

## უკანასკნელი დღეები

### 1.

შაბათი, 25 ნოემბერს 1871 წ.

დღევანდელი დღე უეჭველია ღირს იმად, რომ ავწერო. ჩემს სიცოცხლეში ამოდენა ტანჯვა და მწუხარება არას დროს არ გამომივლია, როგორც დღეს. რაც მე კომმუნას თავი დავანებე, მას აქეთ მხოლოდ ერთხელ მომივიდა სახოწარკვეთილება; ეს იყო მაისის თვეში, იმ დროს, როდესაც მე მმართებლობასაგან განდევნილი პარიჟში ვიმალებოდი. ერთმა ვერსალის ჟურნალმა სტატია დაბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებდა, ვითომც თიერს ჩემთვის რამდენიმე ასი ათასი ფრანკი მოეცეს ქრთამად, რომ მე პარიჟი იმისთვის ხელში ჩამეგდო. ამ უსირცხვილო ცილის წამებამ დიად შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემში; მე ძალიან მაშინებდა ის გარემოება, რომ შეძლება არა-მქონდა ეს ცილის წამება თავიდამ მომეშორებინა. მაგრამ რაკი ჩემმა დამმარცხებლებმა დამატუსაღეს, მაშინ ჩემი საქმის წარმოებიდგან ცხადად აღმოჩნდა ნამდვილი ჩემი ხასიათი და მოქმედება.

ეხლა მე სრულებით მოსვენებითა ვარ ჩემს საპატიმროში; რა განაჩენს მოახდენენ ჩემზედ ეს ცოტად და იშვიათად მაშინებს.

ცხრა დღის წინად შეიკრიბა პატიობის კომისია და იმის საიდუ-

მლოდ მოლაპარაკება გუშინ გათავდა. რა გადაწყვეტილება მოახდინეს ჩემზედ — ჯერ არა სჩანს; მაგრამ იმ საცოდავი წევრების კილო ამტკიცებს, რომ ისინი გამწრიასხობით აპირებენ მოქმედებას. მსდალზედ მკაცრი ხომ არავინ არის. სამი დღის წინად გაზეთში გამოაცხადეს, რომ ვითომც მეცა და ფერიეც სიკვდილით დაგვსაჯეს უკვე. გაზეთი «პრესსი» ამბობს: ეს ამბავი საცდელათ მოიგონესო. უნდოდათ შეეტყოთ, თუ ამ ამბავს რა გავლენა ექნებოდა ხალხზედ. გუშინ რამდენიმე უმაწვილი კაცი მოვიდა პარიჟიდამ ვერსალში, რომ მმართებლობას სთხოვოს ჩემი პატიობა.

უმაწვილი კაცობა, ზომიერი და პატივის მცემელი იყო, ამიტომ ამოირჩია თავისებიდგან ხუთი დეპუტატი და გაგზავნა თიერთან ჩემი პატიობის სათხოვნელად; მაგრამ ისინი თიერთან იმ დროს მივიდნენ, როდესაც ის კარეტაში ჯდებოდა და სხვაგან მიდიოდა. ამისგამო ისინი უ. ბ. სენტ-ილერმა მიიღო. «თქვენი შუამდგომლობა უფრო ვნებას მოუტანს იმას, რომელსაც თქვენ იფარავთ» უთხრა იმათ საკმაოდ აღელვებულმა თიერმა კარეტაში ჩაჯდომის დროს. უ. ბარტელემიმ უფრო ცხადად გამოსთქვა თავის აზრი:—«თქვენ დაუშლით კრებას პარიჟში მობრუნებას... თქვენ რესპუბლიკა გაქვთ, მეტი რაღა გინდათ?... მაგ ქცევით თქვენ შეწყალების კომმისას ახელებთ. ამასთანავე არც ძალიან ბევრნი ხართ.—ამ სიტყვებზედ, რომლებშიაც ძალე ცხადად იხატება მმართებლობის და იმის პოლიტიკის მიმართულება და განსაკუთრებით უკანასკნელ სიტყვებზედ, ჩემმა მეგობარმა ბეგომ მიუგო:—თუ ჩვენ საკმაოდ არა გვრაცხავთ და გვცოტაობთ ხვალ, თუ თქვენი ნება იქნება, ათი ათასამდე კაცი მოვალთ.

მესამე ღამეს დილით მე ვნახე ჩემი მშობლები. დედა-ჩემი და ჩემი და მოვიდნენ ჩემთან საჩქაროდ შესატყობინებლად, რომ კომისიის წევრებში დადისო ხმა, რომელსაც ისინი ერწმუნებოდნენ, ვითომც

მე 18 მარტზედ ცოტა წინად სამხედრო მინისტრს [illegible] მოამტება, და კითომც იმან უარი მითხრა ამაზედ; მე მაშინვე დავწე-რე წიგნი დედიჩემის სახელზედ, რომელშიაც ვამტყუნებდი ამ უკანას-კნელ წამში ცილის წამებას.

ჩემი მშობლები გუშინ კიდევ მოვიდნენ ჩემთან. დედაჩემს და ჩემს დას მთელი წინა დღის სალამო ქცადნათ გამისიის წევრების გა-მოსვლისათვის. კამისია ძრიელ გვიან დაიშალა; იმის წევრებს დედა-ჩემისთვის და ჩემი დისთვის ახლოს გაეარათ, მაგრამ იმათ ვერ გა-ებედნათ მათთან მიახლოვება. ისინი არა ჰგავდნენ თურმე იმ კაცებს, რომლებსაც ეს იყო სიკვდილით დასჯა გაეჩინათ; წყნარი ნაბიჯით მიდიოდნენ... თურმე ძრიელ დამშეულიყვნენ და შინისკენ მიდიოდნენ სადილის საჭმელად. არა! იმათი სახის მეტყველება სრულებით არა ჰგავდა ბოროტი კაცისას. ხშირ ბინდისას ერთმა ინგლისელმა ჟურ-ნალისტმა მოსწერა ჩემს მშობლებს რომ საქმე კარგათ მიდისო. მა-მაჩემი იმ წამსვე წასულიყო უ. ბასსასთან და კამბა ეს ამბავი. «მე იმიტომ მოველ ამის შესატყობინებლად, რომ ამაღამ მოსვენებით დაი-ძინოთ.»

დღეს რომ ისინი ჩემთან შემოვიდნენ, ჩემ დას ძრიელ შეწუხე-ბული სახე ჰქონდა; თვალებზედ ეტყობოდა, რომ ნამტირალევი იყო. დედაჩემი ჩვეულებრივად გაყვითლებულიყო. ბატარა სარას, თითქოს სიკვდილუცით, არ იხდიდა პირ-ბადეს, რომელიც ნახევარ სახეს უფარავ-და,—და ძალას ატანდა თავს რომ შეწუხება არ შესტყობოდა; ხან-და-ხან კი ტუჩები შეენძრეოდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც არა ტიროდა. მამაჩემი როგორც ყოველთვის, ესლაც იმათ უკან იჯდა. იმის სახეს არაფერი მწუხარება არ ეტყობოდა; მაგრამ ვიცი კი რომ ის სხვაზე ნაკლებ არ იტანჯება, და მეც თითონ ძრიელ ვნანობ, რომ ჩემ სა-ყვარელ მამას ამოდენა ტანჯვა და მწუხარება მივაყენე.

მე არ შემიძლიან გულ-გრილად ვუყურო იმათ, რომლებიც ჩემს მშობლებს ასე უწყალოდ სტანჯავენ, და, ისევ მე მტანჯონ,—რამდე-ნიც უნდოდეთ; მე შემიძლიან ყველა მწუხარება და ტანჯვა ავიტანო. მაგრამ ის მაწუხებს, რომ ჩემ სიკვდილით დასჯას ასე დიდ-ხანს აგვია-ნებენ და ამით სტანჯავენ ჩემს მშობლებს, რომლებსაც სრულებით არაფერი არ დაუშავებიათ, იმის მეტი, რომ მე ქვეყანაზედ მშობეს და მასწავლეს ჩემი სამშობლოს სიყვარული.

ცხადად სჩანს, რომ ჩემი საქმე გადაწყვეტილია: ამაზედ არავინ არაფერს ამბობს, რადგან გადაწყვეტილება ძალიან სასტიკია. ამას ჰფი-ქრობენ თვით ჩემი მშობლებიც.

«ნუ გაახელებთ პატიობის კომისიას». ეს სიტყვები ეკუთვნის უ. ბარტელემი სენტ-ილერს.

როდესაც ჩემ მშობლებს ვუყურებ, გული თითქოს ნაწილებად მე-ჩქლითება. გუშინ დედა ჩემმა ათას ნაირი საშუალება მასწავლა სატუ-საღოდამ გამოსაპარებლად. საწყალს უეცრივ ხმა ჩაუწყდა.—«მე მეტი აღარ შემიძლიან ვილაპარაკო.... ხომ მხედავ, ჭკუიდამ ვიშლები!...»ჩემ-მა დამ, რომელიც უფრო დამშვიდებული იყო, გააგრძელა ლაპარაკი, მაგრამ მე იმას ყურს არ ვუგდებდი. მე დავინახე მათი პირისახე, მე გავიგონე მათი ხმა, ეს ჩემთვის საკმაო არის; სხვა რაღა მინდოდა.

დღეს დედა-ჩემი დამშვიდებული იყო და ჩემი და კი თითქოს ჭკუიდამ იშლებოდა.—გუშინ საღამოზე კი ჩვენ სუყველანი დამშვი-დებულები ვიყავით, უ. პასსამ გაჰფანტა ჩვენი შიში. «მე ეხლაც კი-დევ იმედი მაქვს შენი განთავისუფლებისა», მითხრა საწყალმა დედა-ჩემმა. ისინი შენ არაფერ გიზმენ.—მღვდელი სულ სხვას ამბობდა. ის ლაპარაკობდა წმ. მარგარიტის გამაგრებაზედ; იმ სურათზედ, რო-მელიც მე იმას დაუხატე, კიდევ მეორე სურათზედ, რომელიც შემდეგ-ში უნდა დამეხატა. დედა ჩემმა სიტყვა ჩამომართვა რომ მე იმისთვის

ორი სურათი უნდა დამესატნა; ერთ-ერთის სატკას ამჟამად ხისფრულით შეუდგები იმ აზრით, რომ დედა-ჩემისთვის რისმე გაკეთება შემეძლება. ჩემს პატარა დას თუმცა პირი-სახეზედ დიდი მწუხარება არ ეტყობოდა, მაგრამ მე ვიცი, რომ იმის გული სავსეა მწუხარებით. შენც გაჯავრებენ ისინი განა! უთხარ მე იმას. აქ იმან ველარ შეიმაგრა ცრემლები და დაიწყო ტირილი. საწყალი ჩემი პაწაწინა და! იმასაც მწარედ უწულულებენ პაწაწა გულს! მაგრამ ეგ გული მოგირჩება, ჩემო ძვირ-ფასო დაო; მე ვიცი რომ შენს გულში შენი დიდი ძმის ალაგს არავინ დაიჭერს, მაგრამ მასში კიდევ ბევრი ალაგები დარჩება სხვების შესაყვარებლად. მაგრამ, ეცადე კარგად მოუარო მაგათ.. დანარჩენებს; ანუგეშო ეგენი. მე მაგათ ისე ძლიერ უყვარვარ, რომ მეშინიან ჩემი დახვრეტის შემდეგ დარდისგან არ დაიხოცნენ.

ნახევარ საათი რომ გავა, სატუსაღოს დარაჯი გააღებს კარებს და დაუძახებს ჩემს მშობლებს: გამობმანდით, ბატონებო! დრო არის! მაშინ ჩემი დები გარედამ მოეკვრიან ხოლმე ჩემს მოაჯირს და მიგზავნიან კოცნას, რომელსაც მეც შიგნით მოაჯირიდამ ვუგზავნი; მერე ყველა მათგანი ცდილობს ბოლოს გავიდეს, რომ პატარა დიდ ხანს მიუყუროს. «ხვალ-ზევითამდის» ვეტყვი ხოლმე ჩვენ ერთმანეთს განშორების დროს. ჩემს სატუსაღოს კარებს რაწამს გასცდებიან, მაშინვე ტირილს დაიწყებენ ხოლმე.

დღეს ჩემ საბრალო, ძვირფას მშობლებს უიმედობა და მწუხარება ეტყობოდათ. ჩვენ ამდენი მოლოდინით სრულებით დავუძლურდით, მითხრა დედა-ჩემმა.—ის ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ისე ჩაკვირვებით მიცქერის ხოლმე, რომ თითქოს ჰსურს ჩემი სახე ჩაიბეჭდოს თავის გონებაში. დარაჯი ცოტა ხნობით კარზედ გავიდა, რომ შემოუშვას სხვა ახალი ჩემი მნახველები. მაშინ დედა-ჩემი, მოეკრა გარედამ ჩემს მოაჯირს და რაც კი შეეძლო ცდილობდა, ჩემთან პირის ახლო მოეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო შვილო, ჩემო კეთილო შვილო, ჩემო საყვარელო! მე შენ მიყვარხარ! ისინი შენ არაფერ გიზამენ.

ნახევარ საათს შემდეგ ნებას მაძლევენ ხოლმე, რომ მოვეხვიო ჩემს მშობლებს სატუსაღოს კანცელარიაში. აქ იმათ ორის მეტს ერთად არ შემოუშვებენ ხოლმე, რომ თვალი უფრო კარგად გვადევნონ. ჩვენი ერთმანერთის მოხვევნა იმათ ძალიან აშინებს; ამ დროს ხომ შეუძლიან იმათ გადმომცენ შხამი... სატუსაღოს ზედა-მხედველი კარგი და პატიოსანი კაცია. იმას რამდენიმე გირვანქა ჩემი ცოცხალი ხორცი აქვს ჩაბარებული; ეს ხორცი იმან უნდა ცოცხლადვე მიუბრუნოს მმართებლობას დასასჯელად, სამუდამოდ სადმე გასაგზავნელად ან გასანთავისუფლებლად; მე ვგონებ იმას ჩემი განთავისუფლება უფრო გაუხარდება. მე რომ ჩემი თავი მოვიკლა იმას სამსახურიდგან გამოაგდებენ—«დარწმუნებული ვარ, მეუბნება მე ის, რომ შენ ამას არა იქმ». ის ჩემზედ გულ დანდობილი არის, მაგრამ თვალ-ყურს ჩუმ-ჩუმად მაინც კიდევ მადევნებს.

ჩემ მშობლებს მე ხვალ ვნახავ. «მე დავამშვიდე დედათქვენი, მითხრა სატუსაღოს ზედა-მხედველმა. საწყალი! იმისთანა კითხვებს მაძლევდა, რომ სრულებით მაშტერებდნენ. მაგრამ მე მაინც დავამშვიდე ის. ხვალ კვირაა, კვირაობით სიკვდილით დასჯა სჯულით აკრძალულია. მაშასადამე თქვენ გულ-დამშვიდებული უნდა იყოთ. თუ ამ ნუგეშის ცემის შემდეგ დედა-ჩემი კიდევ იწუხებს, დამნაშავე თითონვე იქნება.

მშობლებს შემდეგ ჩემს სანახავად უ. პასხა მოვიდა. შოკოლადი მომიტანა; თუ ხვალ დამხვრეტენ, ჩემ ჯიბეში ბევრ შოკოლადს იპოვიან. მაგრამ უ. პასხამ სხვა უფრო ძვირფასი რამ მომიტანა: თვის მეგობრობა და კეთილი გული. ჩვენ სულით და გულით შევიყვარეთ ერთმანეთი. იმისმა მეგობრობამ ბევრი ბედნიერება მომანიჭა მე; რამ-

დენიმე პატიოსნებაა ამ კაცში. ჩემი სადილი სტოლზედ იდგა; ჭამას არ მიშლიდა. მაგრამ ერთი ორი ლუკმის ჩაყლაპვის შემდეგ მომაგონდა ჩემი საყვარელი მშობლები და, ლუკმა დამადგა ყელზედ. მე ავდექ და მწარედ ტირილი დავიწყე.

მე ვკვდები ახალ-გაზდა, უეცარი სიკვდილით, ჩემს შემდეგ ვაგდებ პატივ-ახცემ სახელს და ვაჟ-კაცობის მაგალითს. ჩემი სიკვდილი სამწუხარო კი არ არის,—სასიხარულო და სანატრელია, რადგანაც ამისთანა სიკვდილი ბევრ არ შეჴსვდება. ჩემი სიკვდილით უფრო, ბევრ სარგებლობას მოვიტან, სინამ ჩემი დიდიხნის სიცოცხლით, თუნდა კიდეც მხურვალედ ვიმოქმედო; მე არა ვსწყევლი ჩემ ბედს. მაგრამ რისთვის სტანჯვენ ჩემ მშობლებს და ჩემ დებს? კაცის მოკვლას განა ბევრი რამ უნდა? მაშ რაღას უყურებთ და არ ამოიღებთ მახვილს თქვენი მართლ-მსაჯულებისას?

II

26 ნოემბერს საღამოთი.

საშინლად შემაწუხა მწუხარებამ. ჩემს თავს თუ პირობა არ დაუდე სიტყვის თქმაც მეძნელება. გუშინ საღამოთი ჭერთი სურათის ასლი გადმოვხატე საცოდავი დედიჩემისთვის; დღეს მივეც ის ჩემი ნამუშავარი. სურათზე არის დახატული ღარიბი დედა-კაცი სამი პატარა ბავშვით; სულ პაწაწკინას მუძუს აწოვებს- მეორე ბავშვი შესცოცებია დედას ზურგზე; მესამე, უფროსი, გვერდზედ უდგას. ჩვენ რომ ბავშვები ვიყავით ყველა სურათს სახელს დავარქმევდით ხოლმე; ეს ჩვენ ძალიან გვიყვარდა. წუხელისაც, ამ სახეს რომ ვხატავდი, ვამბობდი ჩემ გულში; ისინი იტყვიან, რომ ეს დედაა თავის სამი ბავშვით.—ბავშვს ძალიან საწყლად აცვია: დაგლეჯილ კურტკაში, თავზედ ვაება ნაბდის შლიაპა ჴხურავს, გატეხილი ფეთით შემკული და კეფამდის ჩამოფსატული. ამ საცოდავმა პაწაწა გლახამ

უსეირო სულთანით მორთულმა და სიცივისგან აძაგძაგებულმა, მომაგონა მე ჩვენი საცოდავი მხიარულებაები და ის სამკაული, რომლითაც ვამკობთ ჩვენს სხეულს და ჭკუა-გონებას და მასთანავე სიცივისაგანაც ვძაგძაგებთ და ვაი-მწუხარებისაგანაც ვკვნესით. თერთმეტ საათზე მე გავათავე ჩემი მხატვრობა, ავსდექ და დავიწყე ჩემს სენაკში წინ და უკან სიარული. აქ მე მომაგონდა საცოდავი დედიჩემის ერთი აზრი:—როგორა ჰფიქრობ, მეკითხებოდა ის,—ჩვენ რომ იმათ ფული მივცეთ დაგვიჯერო არ გადაგარჩინონ? ჩვენ რომ იმათ, მაგალითებრ, ორი ათასი ფრანკი მივცეთ. ჩვენ გვაქვს.—თქვენა გაქვთ ორი ათასი ფრანკი, საბრალო დედაჩემო? თქვენ ყველა უკანასკნელი ნამცეცებისთვის მოგიყრიათ თავი და მკითხავთ: იკმარებს ის თქვენი შვილის გამოსასყიდავათ?—არა, დედა, საკმაო არ არის. მე რომ ჩემი სამშობლო გამეყიდნა, მთელი იმის ჯარი რომ ტყვედ მიმეცა მოსისხლე მტრისთვის—მაშინ ჩვენ მილიონები გვექნებოდა და აი ეს მილიონები იქნებოდა საკმაო. მაგრამ, ორი ათასი ფრანკი! რა სუმრობაა!

აი, დედიჩემის უგუნურმა დაყინებამ ძალიან ღრმად შეარყია ჩემი ბუნება. «განა შენ არ შეგიძლიან შენი ფანჯრის რკინები როგორმე გასტეხო? განა არ შეგიძლიან გამოიპარო საპყრობილიდგან უფ. პახსას ტანისამოსით, როდესაც ის მოდის ხოლმე შენთან სანახავათ?» რომ მოვიგონებ ხოლმე ყველა ამ წინადადებებს, განსაკუთრებით იმ აზრს, რომ დედაჩემი სიტყვებით სწირიდა ორი ათას ფრანკს, რომ იმით, ჩემი სიცოცხლე გამოესყიდნა, მე ვგრძნობ, რომ მწუხარებისაგან სისხლი ყელში მომდის და თვალები უნებურად მევსება ცრემლებით. ჩემი ოთახის კარებში დატანებულია პატარა ფანჯარა, საიდგანაც მალ-მალ შემოიჭყიტავს ხოლმე ზედნიერი დარაჯი. განა უნდა გავხადო ეს ხალხი ჩემის მწუხარების მოწმობად? ყველა ისინი კარგი დარბაისელი ხალხია თუმცა კი საპყრობილეს მცველებიც არიან; იმათ სუ-

გეშის ცემის ნიშიც არ დაჰკარგვიათ.—მე, კარგი, უფ. როსტომ, გასა მაგას უნდა ერწმუნო, ეგ შეუძლებელი საქმეა. მე სრულებითაც არა მჯერა, რომ ეგ მოხდებოდეს.... ჯერ ხომ არა არისრა გარდაწყვეტილი.»—მე გავაქრე სანთელი და დავიწყე ოთახში სიარული; ოთახს მინათებს ჭრაქი, რომელიც საპყრობილის წესდებულობის ძალით უნდა უოველ ოთახში ენთოს. მაშინ მივდექი კარებს ახლო კუნჭულში, სადაც მე ვერავინ დამინახავდა, მივეხუტე მაგრა კედელს, მივეც სრული ნება, ჩემს ცრემლებს და ქვითინს და ჩუმად გულის კვნესით ვამბობდი: «დედავ, დედავ!» მე არ ვიცი ტირილი; ჩვენ ყველანი იმ ხასიათისანი ვართ, ცრემლები არ გადმოგვცვივდება თვალებიდგან. ნეტა მქონდეს შეძლება, რომ ტირილით გავძღე ისე, როგორც მე მსურს, მაგრამ მწუხარება, გოდება ჩემის სულისა ისე ძალიან დიდდება ჩემში, რომ გარეთ ვეღარ გამოდის.

იქნებოდა შუა-ღამე მე ჩავწექ ლოგინში და მაშინვე ჩემი აზრების მიმართულება შეიცვალა.—ბოლოს-და-ბოლოს, მომივიდა ფიქრად, განა ცოტა დედები ჰკარგავენ თავიანთ გულის საყვარელ შვილებს და ვეღარ ჰგლეჯენ დაუნდობელ სიკვდილს ხელიდგან? ეს უოველ დღე ხდება, ქვეყანა ყელთამდინ არის მოურილი ამ გვარის ტანჯვებისაგან, და რაც შემეხება მე, განა ამაზე უკეთეს სიკვდილს ვისურვებ?

ამასობაში ჩემ თავს ვებაასებოდი რომ ჩემში, ბევრ ნაირი გრძნობა ჰლელავდა სიკვდილს წინაალმდეგ. თუმცა ძალიან ვცდილობ შევიმაგრო თავი და არ წარმოვსთქვა ჩივილი, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ სიმართლე ჩემი იმათაც დამინახონ. მე ცოტახან ვიცხოვრე ქვეყანაზე. შემეძლო მუშაობა, აზროვნობა, შემეძლო მოქმედება, სიყვარული,—განსაკუთრებით სიყვარული. ჩემ ფილტვებს დიდი ხან შეეძლოთ გაეწიათ ჩემთვის სამსახური, ჩემს გულს დიდ-სანს ძგერა! განა ასე სიკვდილი ბუნებითია!

ჩემი ფიქრები ისეთი სიჩქარით მიდიან, იცვლებიან, რომ ვერც კი მივდევ იმათ. მე ვფიქრობ იმაზე, როგორც ჩქარა მიდის ეს უკანასკნელი ჟამი და როგორ მალ-მალ იცვლება პერსპექტივა წარსულისა და მომავალისა. დღეს მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავ გუშინ; ჩემის მეხსიერების წიგნიდგან სწორედ მთელი ფურცლები იშლებიან. აი ეს არის ეხლა გამიელვა ტვინში მოცარტიდგან მუზიკის ხმებმა. ნეტა საიდგან გაჩნდნენ აქ ეს სასიამოვნო ხმები? განა მე ის კაცი ვარ, რომელმაც ვიცოდი და მიყვარდა ეს მშვენიერი კილო? მე აღარც კი მახსოვს და ტყუილად-ღა ვცდილობ იმის მოგონებას.

რამდენი გრძნობები, რამდენი მოგონებაები ამოიშალნენ ამ გვარად საუკუნოდ ჩემის გონებიდგან! მაგრამ რამდენი მწუხარებები, რამდენი სულის შეშფოთებაები ამ გვარადვე გაჰქრნენ მოუბრუნებლივ! რამდენი შეცდომილებაები, რომელიც კვლავ ვეღარ მომისდებს, რამდენი შემავიწროებელი ოცნებეები გაჰქრნენ, რომლებიც კვლავ ვეღარ დამიწყებენ დევნას. მე მივესალმები სიკვდილს ჩემს განმათავისუფლებელს; ის, რასაც მე სიკვდილი მომიტანს იმის სანაცვლო საჩუქარი, რასაც ის მე მართმევს.—ეჰ, მაინც-და-მაინც მინდა ცხოვრება, მინდა სიყვარული.

მე გავიგონე, რომ პირველის ნახევარ საათმა დაჰკრა. მე თავში მიტრიალებენ დიდი გამოცანის შემადგენელი ნაწილები: ქმნილება, პიროვნება, ორგანიული კანი, მოქმედება ორგანების შთაბეჭდილებაებისა, მოძრაობისა; სად არის მიზეზი? სად არის შედეგი? ამ ფიქრებით ვიძინებ.

მე ვნახე სიზმარი, ვითომ დავსეირნობდი ვიწრო გუბის პირზე და ვითომც იქ მოიყვანეს ჩემი ნათესავები სანახავად. მერე კიდევ მესიზმრამ, ვითომ ჩაცმული ჩავწექი ლოგინში ჩემ ოთახში და დავიძინე. სცემს ღამის პირველ საათს. რაღაც ხმები ახლოვდებიან და ჩემი ოთახის კარებთან დგებიან. კარებს აღებენ და შემოდიან ვიღაც კაცები; მე

იმ წუთსვე წამოვხტი ფეხზე. იმათ არ იმათ, რომ ჩაცმულიც დავწვედი: ვიღაც მოსუცებული, გამხდარი მღვდელი იყო, რომლის ცნობა მე არა მქონდა. ხელი გაუშვირე იმ ბებერ მღვდელს, რომელსაც უკან შემოჰყვა ბებერივე ბრელი, ჩემი ოთახის დარაჯი. ის მეუბნება რამდენსამე სიტყვას და სცდილობს ფანჯრისაკენ მიმაბრუნოს. მაგრამ მე იმას თვალებს ვადევნებ და ვატყობ, რომ უნდა მეცეს და უცბად გადამცვას სიკვდილის დროს ჩასაცმელი პერანგი; მღვდელი ხელს მიჭერს მე.

— მაშ ეტყობა სასჯელი გადაწყვეტილია! — ეს იყო პირველი აზრი, რომელიც თავში მამივიდა. მე ვებრძვი ბრელს, რომელმაც ვერა გზით ვერ დამიმორჩილა. მღვდელი დაიმალა ჩემი კრაოტის თავით. მე წავიქეც გულ-აღმა და ბრელს ფეხებით ცემა დაუწყე, რომ მომეშორებინა.

ამ დროს მართლა გამეღვიძა. გარეთ ჟერ ისევ ბნელოდა მაგრამ მახლობელ კაზარმაში უკრავდნენ ნისკარს (ზორს) და ის მხიარული ხმები რამდენჯერმე განიმეორეს. მე ხელ-მეორედ დამეძინა და ოთხი საათი იქნებოდა, რომ გამეღვიძა.

ჩემი მშობლები მოვლენ თერთმეთ საათზე. მე იმათ პირ-და-პირ მანახვებენ და იმათთან ბაასის ნებასაც მომცემენ. ჩვენ განახავთ ერთმანერთს ერთ ცარიელს ოთახში, სადაც იქნება საპყრობილის დირექტორიც; იქნება, ჩემი საყვარელი მეგობარი, უფ. პასსაც მოვიდეს. მეთერთმეტისა თხუთმეთი წამი იყო გასული, როდესაც მოვიდა აბბატ ფერანი, ჩემი გულ-კეთილი აბბატ ფერანი. ის სრულებით არა ჰგავს ჩემმიერ სიზმარში ნახულ მღვდელს. იმან არა იცისრა ჩემ შესახებ გადაწყვეტილისა, მისი გული სავსეა სასიხარულო იმედებით. იმან წაიკითხა ჩემი წიგნი; აღტაცებაში იყო მისაგან მოყვანილი და ძალიან მიქებდა.

იმას უნდოდა ცალკე ელაპარაკნა, მეც აგრეთვე მქონდა სურვილი. მაგრამ შემატყობინეს, რომ შენი მშობლები მოვიდნენ და [illegible] და ის აანჩქარეს წასასვლელად. ჩვენ შევწუხდით, სასოწარკვეთილებაში ჩავცვივდით, რომ ერთმანერთან სეირიანად ლაპარაკი ვერ მოვასწარით და ისე მალე უნებურად გაგვაშორეს.

შემიყვანეს მისალებ ოთახში და აქედგან № 2 სენაკში, სადაც სკამები დაემზადებინათ. ისინი მოვიდნენ და ჩვენ დავსხედით. დირე-კტორმა თავისი უწინდელი სითვისილე უკუ-აგდო და ნება მომცა ჩემს დედასთან და დებთან დამჯდარვიყავ. მამა ჯერ არ იყო მოსული, ის უფ. თიერთან წასულიყო. უფ. პასსა ცოტა მოშორებით დაჯდა, ჩემი პაწაწა და ხარრა ჩემ გვერდით, მარჯვნივ. იმათ პირომა მომცეს, რომ არ იტირებენ. უფ. პასსამ უამბო იმათ, რომ მე გუშინ ვსტიროდი და პატიოსანი ხიტყვა ჩამოართვა, რომ ისინი მშვიდობიანნათ დარჩ-ჩებიან; სალამოთი უფ. პასსას პაწაწა ხარრა თავის ბავშვებთან წაეყვა-ნა სტუმრად.

აი მამა ჩემიც მოვიდა. უფ. თიერს არა ეთქვარა; იმან არა იცისრა და არაფერში არა აქვს უფლება. მამა ჩემი თხოულობდა, რომ ის თიერთან შეეშვათ; იმას უთხრეს, რომ უნდა უფ. ბარტოლემი — ჩენტ-ილერი ჭნახოვო. ის შედის და გუბნება უფ. ბარტოლემის:—მე მწადს თიერის ნახვა! — უფ. ბარტოლემი ყოყმობს, ცდილობს საქმე გააჭანჯლოს.—მე არა მსურს ჩემი შვილის გამოხსნა იმ დრომდისინ გადავსდო, როცა საქმეს ბოლო მოეღება; არ წავალ აქედგან უფ. თი-ერის უნახავად! თქვენ შეგიძლიანთ, თუ ინებებთ, გამაგდოთ; მაგრამ მაგისთვის მოსამსახურეების დამახება დაგჭირდებათ. — უფ. თიერი შე-მოდის. მამა ჩემმა იმის წინ გამოსთქვა თავის აზრი ძალიან ფიცხად და მტკიცედ; მე, უთხარ უფ. თიერს, მოსამართლეების წილად, მკვლე-ლები მევანდნენო. იმან ორჯერ მისწერა თიერს წერილი, რომელშიაც

მშვენივრად განიხილა საქმის ზნეობითი მხარე და აი ქსენიამ მისცა მესამე წერილი, რომელშიაც ათავებს თავის აზრს. იმას ამ წერილის დაბეჭდვის განზრახვა აქვს. «საფრანგეთმა უნდა განსაჯოს განა მართლა შეიძლება ბავშვის მოკვლა!»—როგორ ძლიერია, როგორ კეთილი და ენერგიულია მამა ჩემი გაჭირვების დროს და როგორ მშვიდობიანი და ჩუმია ჩვეულებრივ ცხოვრებაში! გულ-გრილი ყველა წვრილმანი საქმის შესახებ, ის, ვეღარ იგებს სხვების წვრილმანობას.

ერთმა გაზეთმა გააგდო ხმა, რომ მე, ჩემის ხვედრის შესამსუბუქებლად, გადამიწყვიტა კომისიამ ოცი წლობით მძიმე სამუშაოთი დასჯა. ოცი წლობით მძიმე სამუშაოთი დასჯა! ეს აზრი აშფოთებს საპყრობილეს დირექტორს. მაგრამ ჩვენთვის, ჩემი მშობლებისთვის და ჩემთვისაც, იმაში საშიში და საზარელი არა არისრა. ვის შეუძლიან წამართვას მე ჩემი სახელი და დიდება? ჩემი მშობლები ბედნიერად შერაცხამენ თავიანთი თავს, თუ მე მართლა გადამიწყვიტენ მძიმე სამუშაოთი დასჯა; ეს ხომ მაინც-და-მაინც სიცოცხლე იქნებოდა!

ჟოლი ჩემ სანახავად მოვიდა ოთხ საათზე; ის ისე ლაპარაკობს, როგორც პასსა, როგორც ჩემი მშობლები, და თითონ მეც სანდასან ნუგეშს ვაძლევ ხოლმე ჩემს თავს.—ეს შესაძლებელი არ არის.—მაგრამ ისიც კი ლაპარაკობს სხვა-და-სხვა საშუალებებზე ჩემ გასაპარებლად. ამას უნახავს უფ. თიერი, და ახლა პრეფექტურაში აპირობს წასვლას, რომ ჩემ ბედისწერაზე გაიგოს რამე. იმან დასწერა: – გარდაწყვეტილება სჯულის წინა-აღმდეგია; კომისია კანონიერად არ არის შემდგარი, რადგან მთელი მეოთხედი ნაწილი ნაციონალური კრების წევრებისა არ დაესწრნენ კომისიის წევრების არჩევაში. უნდა ნაციონალური კრების სესსიის განმეორებას მოუცადოთ.—სესსია გაიხსნება მომავალ ორშაბათს. როგორ შორსა არის ჩემგან ის ორშაბათი!

ჟოლიმ, წასვლა რომ დააპირა, მთხოვა მომხვევნიყო; ის ძალიან

ადელღვებულია. ჩვენ ვეუბნებოდით ერთი-ერთმანერთს: ნასვამდისინ. ბაა-
სის დროს მოვიგონე ჩემი სიზმარი და უთხარ იმას:—იქ[illegible] მაქვს
რომ როცა გარდამიწყვეტენ დასჯას, მე არ ჩამაცმევენ სიკვდილის დროს
ჩასაცმელ სუდარას.—ეს ჩემი სიტყვები იმან საპყრობილის დირექტორს
გადასცა, რომელიც შემოვიდა ჩემ ოთახში; ბევრი ხანი ვილაპარაკეთ
და ამ ლაპარაკში გამოსთქვა იმან აზრი, რომ ის არავის არ აცმევს სა-
სიკვდილო სუდარას, გარდა სულელებისა ანუ გაცოფებულებისა. სული
მიგუბდება და ხმა ძლივს ამოდის ჩემი სასიდგან; ის უწინდელზე უფ-
რო სუსტად მეჩვენა და ხმაც წასვლიყო. ის ნაწილი დღისა, რომლის
გატარებაც მეტის-მეტად ძნელია—როგორც მე არა ერთ გზით გა-
მოვცადე—არის შებინდების დრო. ბედნიერი კაცისთვის ეს დრო, რო-
დესაც ყველა გარეგან ბუნებაში მყოფ ნივთები სიბნელით მოიცვებიან,
მეტად მვირფასი იქნება. შებინდების დროს კაცი უფრო სრულიად
ეკუთვნის თავის თავს, მაგრამ ჩემთვის კი საღამო—ტანჯვაა. ეს ტან-
ჯვა, ეს ჩემი თავის შეწირვება ჰქრება სოლმე როცა სამთლებს აანთე-
ბენ და შევსუბუქდები, როცა ჩემ საშუსარო მოგონებებს ქაღალდზე
დავწერ სოლმე.

«მაგვარი გამოცდილებაები ამაგრებენ კაცს» მითხრა უფ. პას-
სამ დღეს დილით. — ეს მართალია; ისინი ამაგრებენ და კეთილად მო-
ქმედებენ. ჩემ დღეში არა ვყოფილვარ ისე კარგა ზნეობით, როგორც
მძიმე გამოცდილებაების დროს.

«რა ჰსურდათ იმას?» «სად მიდიოდაო?» «რაში ჰპოვებდა ის
თავის დიდების—მოყვარების მიზანსო?»—როგორ მიუგო ამ კით-
ხვებზე? ხსვას ყველა ჩემი აზრები, მოქმედებაები უტოპიად (შეუძლე-
ბელ ოცნებად) ეჩვენება. მე ვსწავლობდი არა იმისთვის, რომ სხვებს
ვასწავლო ან ვსწერო, არამედ მისთვის რომ მემოქმედნა, მისთვის რომ
სალხში გამეტანა ჩემი აზრები და მას მიეღო. მე რომ დამცლიყო,

რომ დიდ-ხანს მეცოცხლნა, მაშინ ჩემი აზრები მიიღებდნენ [illegible] მიმართულებას, მიიღებდნენ უფრო განსაზღვრულ სახეს და მაშინ მე შემეძლებოდა მათი ქაღალდზე დაწერა, ესლა მხოლოდ შემეძლო მე მათი აღსრულებაში მოყვანა.

მე რომ ხალხის აღელვებას მივემხრე, გამარჯვების იმედი კი არა მქონდა და არც იმას ვფიქრობდი, რომ გამოჩენილი ადგილი დამეჭირა და მოთავედ გამხდარიყავ აღრევობაში. მე დავემორჩილე პოლიტიკურ ვალდებულებას. მე ვიყავი რესპუბლიკის მომხრე—პარტია ჩემი პარიჟში იყო. არიან იმისთანა პატონები, რომლებიც თავიანთ თავს რესპუბლიკის მომხრეებად ჰრაცხვენ და რომლებიც საქმის ჟამს კი არ სად ხჩანდნენ. მე პანის ზუავების მხარე უფრო მივიღე ვიდრე იმ ყანგიანი, უფერული დემოკრატების, რომლებსაც მამულისთვის მკლავები კი არა აქვსთ გამზადებული, არამედ ცარიელი, უთავ-ბოლო ყბედობა. მე მაშინაც მეჯავრება ხიმცირე, შეურაცხება, როდესაც იმას რესპუბლიკის ანუ მამულის სახელით ჰფარავენ.

რა მადლობას გადუხდი მე იმათ, ვისაც უყვარდი, ვინც ცდილობდნენ ჩემს დახსნას, ვინც იტანჯებოდნენ ჩემის ტანჯვებით! პირველ დღეებში, აქ რომ მომიყვანეს, მე ხშირად დავაკვირდებოდი და ვიცინოდი ხოლმე ჩემ თავზედ, ჩემს უგუნურობაზედ, ჩემის აზრებისადმი ერთგულობაზედ.—შენ უნდა დაგხვრიტონ,—ვეუბნეოდი ჩემ თავს — და ახიც არის! ეს შენი გონების დაბნელებისთვის სამართლიანი სამაგიეროა! — მაგრამ ერთხელ გავიგე, რომ მეცში ჩემზე პეტიციის შეწყალების თხოვნის შესატანად ხელს აწერინებდნენ. ამ ამბავმა ძალიან ამაღელვა, იმისთანა სულის შფოთვა და ღელვა არ გამომივლია ჩემს დღეში წუხანდელ საღამომდის.

ამ ამბის გაგების შემდეგ მე ავდექ და დავიწყე გაცხარებულად სიარული ჩემს ოთახში; ყელთამდის სავსე ვარ ვარმით. მე მივეშურდ

კედელს და ვიფიქრე: — ეტყობა მეთქი, რომ ხალხის გულისთვის თავის შეწირვა—ტყუილი მსხვერპლი არა ყოფილა.

განსაკუთრებითი მადლობა უნდა გადუხადო ჩემს ამხანაგს და მეგობარს, ბეგოს. ვიცი ეხლა იმას ბევრ ცილს სწამებენ, სდევნიან მისთვის, რომ მე წამესარჩლა. მე კარგად ვიცი, როგორ თანაუგრძნობდა მთელი მისი სახლობა ჩემს უბედურობაებს; ნეტა შემეძლოს, ნეტა გასაბედი იყოს ჩემგან იმის გამოთქმა მაინც, თუ როგორ სასიამოვნო იყო ჩემთვის იმ დახმარების გრძნობა და რარიგ სიტკბოებას მანიჭებდა მე ის შეკავებული, მაგრამ მხურვალე თანაგრძნობა. ახლა რამდენი ჩემგან უცნობი იმედოვნებდა და მასთანავე სასოწარკვეთილებაში იყო ჩემ თანაზიარად! მე იმათ ვერაფრით გადავუხდი, იმასაც ვერ შევიძლებ მაინც დავუმტკიცო, რომ დიდი სურვილი მაქვს ღირსი ვიყო იმათი უანგარო ნდობისა. ის მაინც მინდა, რომ მასაქეთ, რაც გავიგე მათ ცდილობაზე დასახსნელად, მასაქეთ, მე აღარ ვგრძნობ მარტოობას: მე მაშინ ვცხოვრობდი, თითქმის ბედნიერად, გარ შემოხვეული მრავალი უცნობი მეგობრებით...

მე ჩემი სამშობლოსთვის სამსახური მსურდა გამეწია, მაგრამ იმისთვის სიკვდილის მეტი ვერა შევიძელრა. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი ხვედრია. როდესაც გამოვიქეც დამორჩილებული მეციდგან და ვანებე თავი დატყვევებულ ჯარს, მაშინ ბრუსელში გამოვიარე. ერთ მეიდანზე გადმოვიარე; აქ მე გამოვყავ თავი ჩემი ეკიპაჟიდგან და დავინახე ორი ახალ-გაზრდა კაცის ძეგლი, რომლებიც ერთ-მანერთს საყვარლად მოჰხვეოდნენ. ძეგლზე ორ ენაზე იყო წარწერა. ფრანცოზულად ეწერა: «გრაფებს ეგმონტს და ჰორნს, რომლებიც უსამართლოდ დასაჯეს სიკვდილით ამ მეიდანზე გერცოგ ალბას ბრძანებისამებრ.» მე დიდის-პატივის-ცემით წავიკითხე ეს სიტყვები და სული გავძარ იმ აზრით, რომ ქუდი და-

მესურა, და, ის კი არა თუ, დასურვის ნაცვლად მოვიხადე, რას ჰნიშნავდა ეს. განა წინად გრძნობა იყო ჩვენი ბედის წერის შეგუებისა, თუ პატივისცემა იმ კეთილ-შობილად დაღვრილი სისხლისადმი, რომელმაც, იქნება, გაანაყოფიერა ნიადაგი, რომელზედაც დაიღვარა? ამის მოგონება არა ერთხელ მამაგრებდა მე: ყველა ხალხს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ახსოვთ ისინი, ვისაც უყვარდნენ და ვინც იმათთვის დასდვა თავი.

რამდენჯერაც დაიწყარუნებს ზარი და გაალებენ საპყრობილეს ალაყაფის კარებს, მე ვფიქრობ, რომ ეს, იქნება, ჩემთან მოდიან, იქნება იმისთვის, რომ როგორმე გამაქციონ მეთქი აქედგან. ვიღამაც გაჰბედა და ამ საგანზე უთხრა უფ. თიერს. — ეხლა გვიანღაა! მიუგო იმან. — საწყალო უფ. თიერო! უფრო გვიანღა იქნება....

— მაგრამ, უთხრეს იმას, თქვენ არ გააქციეთ ბელე?

— მე არ დავატუსაღებინებდი როსხელს.... თუ მცოდნიყო.

«თუ მცოდნიყო!...» «ეხლა გვიანღაა!...» რამდენჯერ და რამდენი უბედურისაგან მესმის მე ეს სიტყვები მას აქეთ, რაც საფრანგეთი იქანცება, და, საკვირველია ცოდნა უფრო და უფრო უმცირდებათ, მოლოდინი უფრო და უფრო უგრძელდებათ და მუდამ გამოდის, რომ საქმე ძალიან დაგვიანებულიღაა.

ტანჯვა, განთავისუფლების აზრის უფრო და უფრო იწყებს მეუფებას ჩემში რამდენიც მიახლოვდება სიკვდილის ჟამი. ეს ტანჯვა, ეს ბრძოლა ჩემ თავთან წარმოსდგება დიდი ხნის და დაუსრულებელის მოლოდინის გამო. კრიზისს აქვს თავის ხანდაზმულობა. უჩვეულებრივო საქმე იქნებოდა, რომ მე არ დავიძინო როგორც მუდამ მეძინა რვა ანუ ათი საათი ტკბილი ძილით. ამასთანავე ვკითხულობ, ვსწერ, ვფიქრობ, ვსჯი იმ საგნებზედ, რომლებიც მუდამ სიამოვნებას მაძლევდენ, — ტაკტიკაზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე·

ხან-და-ხან, მწუხარებასა და შრომას გარდა, მხიარულების დროც და-მიდგება ხოლმე; ეს ჩემი მხიარულება საზდოს ჩემ საკუთარ მდგომა-რეობაშივე ჰპოვებს. მაგრამ, საზოგადოდ რომ ვსთქვა, ჩემი სული მწუხარე, დაღვრემილი და უიმედო. ღონეც მომაკლდა, შევსუსტდი. და-სვრეტით სიცოცხლის გათავების მოლოდინი სწორედ ავადმყოფობაა. კაცს აზმორებს; მთელ ტანში ჰგრძნობს მოწყვეტილობას, აღელვებუ-ლია, ყრუანტელი უვლის, თითქო უნდა გააცივოსო; ჰგრძნობს დაღ-ლილობას, უგემოვნობას და ჰსურს, რომ ყველა ამას ჩქარა მაინც მოეღოს ბოლო. ნუ თუ მე მივაღწიე აქამდის? ნუ თუ სიზმარი არ არის ეს? განა შეიძლება, რომ მე ვარ სწორედ ის კაცი, რომლის სი-კვდილს შეუწყნარებლად თხოულობენ? მე ვოცნებობდი, რომ დავბერ-დები, ცოლ-შვილის ცქერით გავძღები მეთქი, დავსტკბები მათი სი-ყვარულით; მე ამ ოცნებებით ვცხოვრებდი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩემმა ოცნებაებთა მომატყუეს....

მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი.

საცოდავმა დედა ჩემმა გამამიგზავნა დღეს საღამოს ერთი წყვი-ლი წინდა და ორი ხალფეტკი. იმას კიდევ არა სჯერა, კიდევ იმე-დი აქვს ჩემი სიცოცხლის გადარჩენისა. ვიმედოვნოთ, ჩემო უძვირ-ფასესო დედა, ვიმედოვნოთ, რომ მე შენი გამოგზავნილები გამომა-დგებიან.

გმადლობ დედა, ჩემო კეთილო და კარგო დედა, ყველა იმ წვრილ-მან ზრუნვაზედ, გმადლობ იმ ჩინებულ და წმიდა სიყვარულისთვის, რომელიც შენ მე მიძღვენ და რომლითაც მე ხეირიანად ვერ ვისარგე-ბლე, და ვერ გავხდი ბედნიერი.

რამდენ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნამუშავარს, რამდენ უგავშირო, უთავ-ბოლო შენიშვნებს ვტოვებ ამ ქვეყანად! მე იმედი მაქვს, რომ ამაებზე ვერავინ ვერას შეიტყობს, და თუ კიდეც შეიტყეს, მაშინ კეთილ-ხვი-

ნიდისიანი კაცები ნუ დაივიწყებენ, რომ მე მოვკვდი [illegible] სი-
ყმაწვილეში, ცხოვრების ნატრული. ნუ გამკიცხავთ, ჩემი ხნის კაცს
ბევრი არ მოეკითხება; ამ ხანში კაცი ჯერ სრულებით არ არის დამჯ-
დარი, არ არის დამყარებული თავის აზრებზე.

## III.

27 ნოემბერს, შუა-დღის უკან ორი საათი.

სჩანს სასჯელი არც დღეს იქნება. მე დიდ-ხანს ვიკითხე და ვს-
წერე, მერმე დავეყრდომე სტოლს და რამდენიმე ხანი დავრჩი ასე, არა-
ფერზე არა ვფიქრობდი, თითქმის დიდს სიამოვნებას ვგრძნობდი. გვი-
ანობამდის არ დამემინა, შემდგომ რაღაც ყვირილი შემომესმა, რომე-
ლიც ვამგზავსე დარაჯების (ყარაულების), გამოცვლის დროს, ყვირილს
და უეცრივ გამომეღვიძა. როგორც მეჩვენა, პირველი ხმაურობა კარზედ
მდგომი ყარაულისა იყო, მეორე კი დერეფანში მდგომისა. გამოვაჭყიტე
თვალები; ფანჯარაში შემოდიოდა სინათლე, ზამთრის დილის სი-
ბინდისა მსგავსი გათენების დროს რომ არის ხოლმე. მე ვიფიქრე, რომ
უთუოდ ჩვენ წასაყვანად მოდიან მეთქი.—ჩვენ—ფერრიესი და ჩემი. მე-
რე ყური მოვკარ, რომ საათმა შუა-ღამის პირველი დაჰკრა. მივეცი
თავი ძილს, მაგრამ ისევ ყვირილი მომესმა. ჩემამდის მარტო რაღაც
ნაწყვეტი სიტყვები მოდიოდა, რაღაც საზარელი ღრიალი. ეს ყვირი-
ლი დილის ოთხ საათამდის არ შესწყდა; მე მერე რაღაც ბუნდად, მო-
მესმა, თითქოს ჩემი ოთახის კარებს აღებენ, მერმე, რაღაც ალიანქო-
თი გავიგონე; შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანი ისმოდა ყვირილი, მაგ-
რამ მოშორებით. ამ გასაოცარმა ყვირილმა, ამ შეუსრულებელმა გამ-
თხალმა ძილმა, ტანში შემაცივა, რაღაც ნაერად გამხადა. ახლა კიდევ
საყვირის ხმამ გამაღვიძა, დილის ცისკრისას (ზორს) რომ უკრავდნენ.

ისე გამიტყდა გული, რომ ყველა დასმაურებაზე, ყველა საპყრობილის კარების ზარის წკარა-წკურზე მეღვიძებოდა; და სულ მელანდებოდა, რომ ეს უთუოდ ჩემთვის მოდიან მეთქი. ათი საათი იქნებოდა, როცა ავ-დექ. საპყრობილის დირექტორი შემოვიდა ჩემ სანახავად; ამანაც არა იცოდა ჯერ ჩემ საქმეზე; აღმოჩნდა, რომ წუხანდელი გაი-ვაგლახის მიზეზი ერთი ტუსაღთაგანი იყო, რომელიც ჭკუიდამ შესცდა.

საღამოს ხუთი საათი. ზნეობითმა კრიზისმა, რომელიც სამი დღის წინ დამემართა, თითქმის სრულებით გაიარა. უთუოდ წუხანდელმა ღამემ მარგო. დღისით რამდენიმე ხანი ჩემი გონება მეხანიკური მუშაობით გავართე. ამან მშვიდობიანი მდგომარეობა მომანიჭა: მე ვეძებდი ჩემთავად პირველ მაწარმოებლებს — ეს შრომა სრულებით უმიზნოა და არა ფერი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კი კაცსა და მის გონებას მოსვენებას აძლევს. ამაღამ უფრო კარგა ვგრძნობ ჩემ თავს, ვიდრე წუხელი, მაგრამ ადრე დაძინებას გა-პირობ, რადგან დილის ძილი მოუსვენარი მაქვს, შხამად შემერგება ხოლმე. ამასთანავე, დღეს უფრო ცოტას ვშიშობ, ვინემ წუხელის იმაზე, რომ სვალ გამაღვიძებენ და «მტრის ცეცხლს მიმცემენ მეთქი.» დღეს დილით უფრო უნდა მქონიყო ამის შიში: პატიობის კომისია გათავდა პარასკევს თიერის რუანში წასვლის შემდგომ, მაშასადამე კომისიის გარდაწყვეტილება შაბათობით არას დროს არ მოიყვანება აღსრულებაში; კვირაობითაც არა სჯიან და ამისთვის მახლობელი ვადა სასჯელისთვის დღეის დილა იყო, მაგრამ ეს დილა გავიდა და ახლა ისევ უნდა ველოდოთ, თუ როდის მოკვდება ბოლო ამ სასჯელის მოლოდინს.

უფ. პასსამ მნახა მე და მისმა ნახვამ ბევრი კარგი მომანიჭა. იმის წერილი რამდენსამე გაზეთში იყო გ დაბეჭდილი და ყველა უცხადებდა თავს თანაგრძნობას. — ხალხის აზრი და მისი თანაგრძნო-

ბა ჩვენკენ არისო ახლა — მითხრა იმან. საწყალი მამა ჩემი და [illegible]გი დილით ოთხ საათზე მისულიყვნენ ამასთან ამბის გასაგებად. ამან დაუმშვიდა იმათ გული და ამიგი კი ღამე თავისთან დაარჩინა. მამა ჩემი დაბრუნდა პარიჟში და ისევ საჩქაროდ წავიდა ვერსალში. ამისგამო მე ჩემი მშობლების ცქერით ვერ გავძეხ; ისინი მალე წავიდნენ. ბინდდებოდა, როდესაც ისინი მოვიდნენ. როგორც ეტყობა, ცოტა დამშვიდებულან. რამდენსაც კამისია ჩემ საქმეს აჭიანურებს, იმდენს უფრო იმედს იძლევენ ესენი. ისინი, მგონია, ბევრს აწუხებენ და აჯავრებენ საპყრობილის დირეკტორს იმ სიმხურვალით, რომლითაც, გაგიჟებულსავით, მეხვევიან ხოლმე მე; წუხელი იმას ეჩვენა, რომ ვითომ დედაჩემმა რაღაც ჩამიდო ჯიბეში; ეს ეთქვა უფ. პასხასთვის და იმას დაეშოშმინებინა. სხვებრივ დირეკტორი კარგად მექცევა, მაგრამ, მე რომ ცუდი საქმე მოვიქმედო რამე პასუხის გებაში ეგ მიეცემა, ამის გამო, ის სრულად არ მენდობა. მე რომ დასჯამდის თავი მოვიკლა, ეს რჯულის წინააღმდეგი იქნება, რადგან მის შესრულებას დაუშლიდა და ამის ბრალი დირექტორი გამოვიდოდა.

ხვალ დილით ვნახავ ჩემ მშობლებს. ამ ორმა უკანასკნელმა დღემ ძალიან გამაჯიქა.

ყველა შემთხვევისათვის ჩავართობ აქ ჩემ უკანასკნელ აზრებს სამხედრო ხელოვნებაზე. პრუსიელების როტას, რომელიც შესდგება ორას — ორმოცდა ათი კაცისაგან, შესანიშნავი პრაკტიკული უძლეველობა აქვს, რომელიც მე დიდსანს რიგიანად ვერ დავაფასე. მაგრამ იმათ ათასი კაცისაგან შემდგარს ბატალიონს არა აქვს ის ღირსება, რაც აქვს როტას; ჩემის აზრით ჩვენი შვიდასი კაცისაგან შემდგარი ბატალიონი მირჩევნიან; მე დიდსანს ცუდი შეხედულობა მქონდა პრუსიელების ჯარზე; იმათ ღირსებას ვერ ვაფასებდი. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ შეიძლება იმათი დაძლევა, მაგრამ უნდა კაცმა სწორედ სთქვას, იმათ

მეტის-მეტად კარგა იციან ომის პოლიტიკა, — ის მეცნიერება, [illegible] დღეც ჩვენში დავიწყებულია.

მე ამ უკანასკნელ ომში დიდს გენიოსობას ვერსად ვხედავ იმათ ჯარში, მაგრამ ეს კია, რომ იმათ გაცილებით კარგა იციან ომის ხელოვნება, ვინემ ჩვენ. — და ეს ხელოვნება რაც უნდა სხვა ნაირად მომხდარიყო საქმე, მაინც დაიცავდა იმათ ამისთანა მძიმე და სასირცხვილო დაცემისაგან, როგორიც ჩვენ მოგვივიდა.

რაც ჩემს მონდობილობას და ჩრდილოეთის დეპარტამენტებში, გამგზავრებას ქაღალდები შეეხებიან, სულ სამინისტროში გაიგზავნებიან 269 ფრ. 30 სანტიმითურით. ეს ფულები დამრჩა მე იმ ხუთი ათასი ფრანკიდგან, რომელიც მომცეს მე მგზავრობისათვის. აქვე მოყვანილია ანგარიში 230 ფრ. და 70 სანტ., რომელიც გზაზე დამეხარჯა. ჩემი ქაღალდები ჩავაბარე უფ. ბრისსონს, ბურჟის ბანკირს.

26 ნოემბერს 1871 წ.

### მამის დედას, ბელას და სარრას.

### IV

26-ს ნოემბერს, სალამოთი.

ჩემო კეთილნო, ჩემო უძვირფასესნო მშობლებო, მე არა მსურს დავნიშნო, თუ რაში უნდა გამოიყენოთ ის ნივთები, რომლებიც ჩემ კუთვნილებას შეადგენენ. ისე ცოტასა ვტოვებ ჩემ შემდეგ, რომ არც კი ღირს სალაპარაკოდ. მე საშინლად ვსწუხვარ, რომ ვერაფრით ვერ შეგეწიეთ, რომ თქვენი ცხოვრება გამეკეთილ-დღეებინა და მით მომეგო იმ სიყვარულის მაგიერი, რომელმაც თქვენთვის ფუჭად ჩაიარა რაკი მე მაჩუქეთ. ჩემთვის დიდად სამწუხაროა, რომ მთელ ჩემ სი-

ცოცხლეში თქვენი ტვირთი ვიყავ და გამზრდიდით. თუ ჩემმა ხელ-ცხლე უთუოდ შესწყდება, იქნება კარგი იყოს ჩემთვისაც და თქვენთვისაც.

მამა ჩემს ისე ცოტა საჭიროებანი აქვს, რომ მე, სწორედ უნდა სთქვას კაცმა, არ ვიცი ჩემი ნივთებიდგან რა უფრო გამოადგება; იმედი მაქვს შეინახავს და იხმარებს იმ ჩემ ნივთებს, რომლებიც უფრო კარგებია; ეს მე დიდ სიამოვნებას მომიტანს.

დედა ჩემი დაუჩვია ჩემი საათის მეწყვის ტარებას; იმედი მაქვს, რომ ის იმას ჩემ სახსოვრად შეინახავს. მე არ მავიწყმიძს დაუბრუნო პატარა ჩინელი, რომელიც მე მუდამ თან მქონდა ხოლმე ამ უკანასკნელ გაი-ვაგლახებში. ის მე მექნება და ამის შესახებ უფ. პასხას ვეტყვი; მე ეს სიკვდილამდე გულზე მეკიდება *). დედამ აიღოს კიდევ ხუთი ტომი მონტელისა, რომლების კითხვა იმას ძლიერ უყვარდა.

ბელამ ჩემი წიგნებიდგან თავისთვის აიღოს ქმვსი ტომი ბულიეს თხზულებებისა, ხუთი ტომი ატლასი ანაკარზისა; ძველი დროების ისტორია, რომელიც ქსლა-ხან გამოვიდა ორ ტომად და რომლის კითხვაც მაგან პარიჟში დაიწყო.

სარრა, აბა რასაკვირველია, აიღებს ჩემ სახსოვრად პატარა დონკისოტს, რომელიც მაგას უფრო აგუთვნის, ვიდრემ მე. ის აიღებს კიდევ პატარა ფარფორის «ჩინელებს», რომლებიც ძალიან კარგებია. ესენი ბამბამია გახვეულები და ყუთში აწყვია მარცხენა მხარეზედ.

*) ეს «ჩინელი» უფ. პასხას მისცა როსხელმა დასჯის წინ. როსხელმა შეინახა თავისთან მხოლოდ ერთი ნივთი, რომელიც აგონებდა იმას თავის სახლობას: — ეს იყო თავის საყვარელი დის ბელლას სურათი. დასჯის შემდეგ როსხელის გვამი გადაიტანეს ვერხალის საავადმყოფოში და ეს სურათი იქ მკვდარს მოიპარა ვიღაცამ.

ბელლამ და ხარრამ გაიგონ ჩემი წიგნები და ვისაც რა მოსწონს, ის ამოირჩიოს დედის რჩევით; თუ ერთი და იგივე წიგნ[illegible]ვს მოეწონებათ მაშინ ერთმანეთს თავაზა გაუწიონ. ამას გარდა, ბელლამ აიღოს თავისთვის ის წიგნები, რომლებიც ძალიან მძიმე საკითხავები და თავის შემაწუხრებლებიარიან, მაგ. ბერძნული ლექსიკონები, გეომეტრიული და სხვა ამგვარი სასწავლებელი წიგნები.

## V.

26 ნოემბერს, საღამოთი.

მე იმედი მაქვს, ჩემო უძვირფასესნო, რომ ჩემი დასჯის შემდეგ, დაბრუნდებით ნიმსში და თავს მწუხარებას არ მისცემთ; აქ რომ იყვეთ, ისეთ ნაირად მიაცივდებით იმ ადგილს, სადაც იტანჯებოდით, რომ შემდეგში ვეღარც კი დაანებებთ თავს. ნიმსში კი სულ სხვანაირი იქნება თქვენი ცხოვრება; თქვენ იცხოვრებთ იმ საზოგადოებაში, რომელიც თქვენ მწუხარებას თანა-უგრძნობს და რომელიც შეგეწევათ მწუხარების განქარვებაში. თქვენ რომ ვერსალში დარჩეთ, ძალიან მოუსვენრად იქნებით. მარტო ერთი იმ ავიცრებისა, იმ მსაჯულებისა და ყველა იმ ხალხის დანახვა, რომლებიც კვლავაც განაგრძელებენ [illegible] თავიანთ საქმის აღსრულებას, თქვენ მეტად შეგაშფოთებსთ, უფრო გაგიძნელებსთ მწუხარებას და იქნება ამ მწუხარებას ღირსებაც მოაკლოს: რადგან ვაი თუ შვილის ხსოვნას საზოგადოებისადმი სიძულვილად შეგიცვალოსთ.

ასე, ჩემო უძვირფასესნო, გაათავეთ თუ არა თქვენი საქმეები, წადით თქვენ მეგობრებთან, ან ასე ექვსობინება: უფ. მასხას და ლუანას ჩააბარეთ თქვენი საქმეები რაც პარიჟში შესასრულებელი დაგრჩებათ, და თქვენ კი მაშინვე წადით ნიმსში. ნიმსის ჰაერი ძალიან

გარგის; მე დარწმუნებული ვარ, ის ჰაერი კეთილად იმოქმედებს და სარგებლობას მოუტან მამას და ბავშვებს.

გთხოვთ აქ დამმარხოთ მე. რათ გინდათ, რომ ჩემი საფლავი თვალწინ იქონიოთ; თქვენი ჩემდამო სიყვარული ისე დიდია, ისე ღრმაა, რომ უიმისოთაც მომიგონებთ მე. ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნება, რომ თქვენ ყოველდღე მოიგონებდეთ ხოლმე თქვენ ლიზეს *) და არ უცქიროთ ნივთიერ საგნებს, რომლებიც ჩემს მწუხარებას და უბედურობას, ჩემს სასჯელს უფრო უმალ მოგაგონებსთ, ვინემ ჩემს თავს და ჩემს თქვენდამი სიყვარულს. მე მსურს, რომ თქვენ გახსოვდეთ ჩემი სიცოცხლე და არა სიკვდილი. ამასთანავე ისიც უნდა გსთქვათ, რომ თქვენ არ მოგცემენ ნებას ჩემი გვამი გადაიტანოთ ნიმსში ანუ ააშენოთ ძეგლი ჩემს საფლავზე; ყველა ესენი ჩემ თვალში არაფერსაც არ შეადგენენ.

მე ახირებულ მშვიდობიან მდგომარეობაში ვარ, ჩემო უძვირფასესნო, როდესაც ამ წიგნს გწერ თქვენთან. მე მხოლოდ თქვენთვის მეწვის გული,—მე სიკვდილისა არ მეშინია და მერე ამასთანა სიკვდილისა. დიდი იმედი მაქვს თქვენი ზნეობითი სიწმინდისა; ნუგეში ეცით ერთ-მანერთს და ძალიან ნუ მიეცემით მწუხარებას. ჩემ დებს ვაბარებ მშობლებს; იმათ მოუარონ, ყური უგდონ და განსაკუთრებით ვაბარებ იმათ ჩემს საყვარელს მამას.

როდესაც ვიგონებ მამას, მარტო მაშინ მომდის ხოლმე თვალებში ცრემლები. მე ვიცი როგორ კეთილია, როგორ ჩინებულია მამა ჩემი,—მისი ჩემდამო სიყვარული იმდენად ცხოველია, რამდენადაც ის არ აცხადებს იმას გარეგნობით; მე ეხლა მწარედ ვნანობ, რომ ამი-

---

*) სახლობაში როსხელს ეძახდნენ შემოკლებულ სახელს—ლიზეს.

სთანა საშინელი, გაუძლებელი მწუხარება მივაყენე საცოდავ მამა ჩემს, თუ მოვასწარ ყველას სათითაოდ მოგწერთ წერილს, მაგრამ თქვენ ჩემდამი სიყვარული ისე ერთნაირია, ისე გაურჩეველია, რომ არც მე მინდა გაგაცალ-ცალკევოთ გაგარჩიოთ ჩემს სიყვარულში.

გაკურთხოთ და ნუგეშ-გცეთ ღმერთმა, ჩემო უძვირფასესნო, ჩემო კეთილნო და უკეთესნო მეგობარნო. მიყვარხართ.

ლუი ნათანიელ როსსელი.

ეს წერილი როსსელმა დასწერა რამდენიმე საათით დასჯის წინ; ის დახვრიტეს მეორე დღეს დილის შვიდ საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებულ-დროებას

ჩემმა სტატიამ, სადაც იყო სიტნიკოვებზედ რამდენიმე სიტყვა ნათქვამი, თავი მოაქექვინა უფ. მესხს და წერეთელსა, რომელთაც ამ სახელში და იმის ვითარებაში იცნეს თავისი თავი. ყოველს კაცს ისე არა ეწყინებარა, როგორც ისა, რომ შენიშნავენ ნამდვილს იმის ნაკლულევანებასა და უჩვენებენ ამას. მაგალითად მე ისე არა მწყინს რა, როგორც ისა, რომ უფ. მესხი და წერეთელი სწერენ ჩემს ფიზიკურს ნაკლულევანებაზედ, რადგან მთელს ჩემს ნაკლულევანებაში, მაგათ ფიზიკური ნაკლულევანებაზედ მეტი ვერა იპოვნეს რა აქამდინა. ეს სიტნიკოვობა იმათ არაფრათ ეჭაშნიკათ, რადგან ჯერ ერთი ესა, რომ თავი იცნეს, მეორეც ესა, რომ იფიქრეს, თუ ეს გაიგო «მნათობმა», ვაითუ სხვა უარესები იცოდეს და გამოგვაქვეყნოსო. ამ გარემოებამ ისინი ისე აალელვა, რომ რაც კი გესლი ჰქონდა სულ ამოანთხიეს ჩემზედ. . . . . . . . . . . . ამათ ქადაგათ დაცემულივით იწყეს ქაქანი და რაც პირზედ მოადგათ, სულ დასარჯეს. თქმა აღარ უნდა, რომ ამ ქაქანში ისინი აირივნენ, დაიწეწნენ და თითონაც აღარ გაეგებოდათ რას ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ეს არ ავიწყდებოდათ, რომ უნდა ფურცელაძე დავცეთ და ამისი დაცემა თუ არ ტყუილებით, თუ არ ცილებით — ჩვენს ხელთ არ არისო. რასაკვირველია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამგვარი იმათის სისუსტის და მოუსაზრებლობის შემდეგ არ მემართა იმათი პასუხი, მაგრამ რაგინდა ჰქნა, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი მკითხველებისა ყურს უგდებს ისე აზრს არა, როგორც ყვირილსა. მთელი შარშანდელი წელიწადი «დროება», აღჭურვილი თვის მახვილ გონიერებით, ბზუოდა «მნათობზედ», «მნათობი» უჩუმდებოდა იმ ფიქრით, რომ იქნება ამ გაზეთში გამოჩნდეს ერთიც არის რიგიანი მწერალი, რომელმაც დაუმტკიცოს ამათ, რომ ცარიელი ბზუილი აჩენს მხოლოდ «დროების» სიფუყესა, და ემჯობინება, რომ შეუდგეთ რიგიანს სჯასა, სინიდისიერათ განვიხილოთ ავი და კარგი მხარეცა იმ ორგანისა, რომელიც შეძლებისა დაგვარათ წარმართობს საზოგადო საქმისათვის. მაგრამ ამგვარი «დროებაში» არავინ გამოჩნდა და საზოგადო აზრში «მნათობი» შეიქნა უქნარა და «კრებულ-დროება», როგორც უწოდებს ამ ორგანებს გიორგი წერეთელი, დიდათ მზრუნველი ქვეყნისთვის....

მე იმავ თაობითვე ვეუბნებოდი ჩემთან თანამშრომლებს, რომ ჩვენგნით «დროებას» არ უნდა ქონდეს დაზოგვა, რადგან ამის მაწარმოვებლები არ უყურებენ საზოგადო საქმეს, ისე როგორც შეჰფერობდა რიგიანს კაცს. მაგრამ ჩემი თანამშრომლები არ ანებებდნენ ზრდილობას თავს და ამათმა თავაზამ შეაყენა «მნათობი» რომ დაენახვებინა, რა იყო ამ ბოლოს დროებში «დროება» და რამოდენი უნდა ჰქონოდა საზოგადოებას ამის მაწარმართებლების ხელში ამ გაზეთისაგან. ამას იქით ჩვენ შეუდგებით დაწვრილებით გამოკვლევას მაგათს საზოგადო საქმეზედ წარმართობისას.

ამ ჟამად მე მხოლოდ უჩვენებ სადამდინ არიან უძლურნი ეგ.

მესხ-წერეთელი «მნათობთან» ბრძოლაში და რა სიწმინდე მოუქცევია იმათ ამ საქმეში, და სხვა მაგათ წაღმართობს შეუდგები გვლავისთვის.

მე ვიწყებ უფ. წერეთლიდგან, რათგან ეს უფრო ღირს შესანიშნი მოვლინებაა.

ერთს ადგილას, «კრებულის» მეშვიდე ნომერში ამბობს წერეთელი: «ვაი უფრო იმ ჟურნალისა, სადაც ფეურცელაძე ჩასდგამს ფეხსა!»

ახლა ჰკითხეთ წერეთელს: შედგა ფეხი თუ არა «დროებაში», რომლისაც ეგა ბრძანდებოდა რედაქტორი ამ გაზეთისა. უფ. წერეთელო, ნუ თუ დაგავიწყდათ ის ქების შენიშვნები, რომელსაც თქვენ უკეთებდით მოენიძის სტატიებსა, რომლისაც თქვენ საკვეხრათა გქონდათ ამისი ლექსები? ნუ თუ დაგავიწყდათ ის წიგნები, რომელსაცა სწერდით მოენიძესა?

აქ საჭიროთ ვრაცხ მოვიყვანო მაგალითი შესახებ წერეთლის მახვილ-გონიერებისა. არა თხზულება არ გამოვიდა ჩემი, «დროების» გარდა სხვა ორგანში, რომ წერეთელმა და იმისმა მსგავსმა მწერლებმა არ გასადეს სამასხაროთ. მე, ერთის ჩემის მეგობრის რჩევით, შევცვალე გვარი, დავირქვი მ ო ე ნ ი ძ ე, დაუწყე გზავნა სტატიებს თემირ-ხან-შურიდამ. წარმოიდგინეთ! უცებ გავხდი გენიოსი! წერეთელი გვესულობდა ამ მწერლითა, სწერდა ქების წიგნსა, და ერთსა და იმავე დროს, რომლისაც ეგ ჩემს ნაწერებს სცნობდა უნიჭოთ, მოენიძეს ნაწერებს მოჰყვანდა ეგ აღტაცებაში. ასე, რომ რომლისაც მოენიძემ გაითხოვა ერთის წიგნი ეგ პოლემიკაში, წერეთელი გულგასხეთქილი მოვარდა ჩემთან და მეხვეწებოდა, რათგან შენი ძმა იცნობს იმას, მისწერე, რომ ეგებ დაამოშმინოს როგორმე. ამასთან ისე მაღლა აჰყავანდა ნიჭი მოენიძისა, რომ მე ძლივს ვიმაგრებდი თავს სიცილისგან. მოდი და ნუ გაგეცინება: სტატიებს თუ აწერია ფ ე უ რ ც ე ლ ა ძ ე, სულ ერთ ჩალად არა ღირან, თუ აწერია მ ო ე ნ ი ძ ე, წერეთელი გაბასხე-

მასაც ჰკადრა უბედავს. მაშინ როდესაც უფალმა აკაკი წერეთელმა, რომელსაც «დროებაც» და «კრებულიც» გულში ირონიით [illegible] «ენას მახვილს», პირველსავე წაკითხვაზედ იცნო, რომ მოქნიმის ნაწერები იყო ჩემი, და გამოდგა, რომ ეს «ენა მახვილი» ყოფილა გონებითაც მახვილი გიორგი წერეთელზედ.) *)

შემდეგ ამისა, როგორადა ჰფიქრობდი უფ. წერეთელო, რომ მე თქვენი და «დროებას» ქება რასმე მიღირდა. მერწმუნეთ, რომ «დროება» მეტს არას მაწუხებდა, როგორც იმითი, რომ აქო ჩემი «ქო-ტესა». როდესაც მე ვკითხულობ თქვენცა და «დროების» ჩემს მაგებას, ჩემს თვალში ერთი ორათ ვიზრდები, რადგან თქვენს ყოველს ნაწერში ისახება მხოლოდ პირად ჩემდამი სიძულვილი და სრული უძლურება ჩემი ნაწერების ნაკლულევანებათა პოვნისა. რაც შეეხება თქვენს ჩემდამი პირად სიძულვილს, დიდათ სამწუხაროთ მექნებოდა, რომ ასე არა ყოფილიყო, რადგან ეს დაამტკიცებდა ჩვენ შორის რამე საქმეში ერთობას და კავშირსა, რომლებიც ღმერთმა მაშოროს.

---

*) [illegible] ნიმუშიც [illegible] მეხსიერებაც [illegible] ებამბით. [illegible] ნიმუში [illegible] წყრს. [illegible] ლი, სუმისარიის მოწევე [illegible] და მის- [illegible] ლექს «სიი [illegible] [illegible] თვალს უმწვი [illegible] ის თვალ [illegible] ამისთ [illegible] ვის ზიხლით და თავილით [illegible] დაუბრუ [illegible] ლექსს ეს უმაწვილი [illegible] მესხს [illegible] იმავე ნომერში.

უფ. წერეთელი ისე აუღელვებია სიტნიკოვობას, რომ მარტომეც აღარა მჯერდება, დასწვდება დიმიტრი ბაქრაძეს და [illegible] ლით მაინც არის დაამცრობს იგი, თუმცა ეს ცილიც მარტო წერეთლის თვალშია დასამცრობი. «მას აქვთ რაც უფ. დიმიტრი ბაქრაძემ მოიგონა ერთი შესანიშნავი თეორია (ნუ თუ თეორია, უფ. წერეთელო?), რომლითაც მტკიცდება, რომ საქართველოს ახალგაზრდობას ქალსა და ვაჟს იმისთვის ეწაფებოდნენ ასეთის გულის ნდომით, იმისთვის იტაცებდნენ ასე უწყალოდ სპარსელები და თათრები, რომ იმათით აუმჯობესებდნენ თავიანთ ტომის სისხლს და ასლა, რაც სპარსეთში და ოსმალეთში ლამაზი ქალი ან ვაჟი მოიპოვება, სულ საქართველოს ქალ-ვაჟების სისხლით არიან გალამაზებულნი—მე ვამბობ—ამ თეორიის მოგონების შემდეგ ბაქრაძის სახელი, როგორც ჭკვიანი მწერლისა, მალიან გათქმულია.»

ჯერ ერთი ეს გვიჩვენეთ, სად გახლავსთ ის ადგილები, ვითომც ბაქრაძეს მოგონილი იყვეს ეს თეორია; მეორეც, ერთი არ შეიძლება ის ადგილიც გვიჩვენოთ, რომ სპარსელები და ოსმალები ეწაფებოდნენ საქართველოს ქალვაჟთ, იმისთვის რომ ამითით გაეუმჯობესებინათ თავიანთ ტომი. არა უფ. წერეთელო, იმისთვის კი არ იტაცებდნენ, რომ გეუმჯობესებინათ თავიანთ ტომი, იმიტომ იტაცებდნენ, რომ მოსწონდათ საქართველოს ქალვაჟი და ამათთან სქესობრივათ დაკავშირებით უმჯობესდებოდნენ. ცხადი საქმეა, რომ იმათ არ იცოდნენ დარვინის თეორია, და ამას იმ აზრით არ ჩადიოდნენ, რომ ტომი გაეუმჯობესებინათ, მხოლოდ იტაცებდნენ იმისთვის, რომ ჰქონდათ ლამაზთა სურვილი და ამ სურვილის ბოლო იყო გაუმჯობესობა.

რაც შეეხება იმასა, რომ სპარსთა და ოსმალთა ტომთ გაუმჯობესება ვითომც ბაქრაძის თეორია იყვეს, ვისი ბრალია უფ. წერეთელო, რომ თქვენ არ იცოდეთ ისა, რაც სხვებმა იციან. ეს აზრი

გახლავთ გამოჩენილთ ფრანცუზთ მოგზაურთა: შარდენისა, ლაბროსსისა, და სხ. აი რას ამბობს ამის შესახებ შარდენი [illegible]კის თხზულებაში, ტომი II, თავი VI, გვ. 34. «სპარსეთის სისხლი არის ბუნებით მოუხეშავი (грубая. ეს უფრო ხჩანს გვებრებზედ, რომელნიც არია ნაშთნი ძველთა სპარსთა. ისინი არიან ცუდის აგებულებისანი და უშნონი. ესევე შეინიშნება სხვა მაზრებშიაც, რომელნიც არიან ინდოეთის მოსაზღვრეთ..... სპარსეთის სისხლი კი ბევრით გაწმენდილია და გამშვენიერებული. მიზეზი ამისი არის შემორევა ქართველთ და ჩერქეზთ სისხლისა. ჩვენ ვიცით, რომ ჩერქეზეთი და საქართველო არიან დასახლებულნი იმგვართ ტომებთაგან, რომელნიც აგებულებით არიან განვითარებულნი მთელს ქვეყნის ტომებში».

მეორეთგან ამბობს კიდევ შარდენი: «საქართველოსა და ჩერქეზეთის სისხლი რომ არ შემორეოდა სპარსეთის სისხლს, უეჭველია სპარსეთის უმაღლესის წოდების შთამამავალნი იქნებოდნენ უგვანონი თითქმის მთელის ქვეყნის ტომებზედ, რათგანაც ისინი შთამამავლობენ იმ ადგილიდამ, რომელიც მდებარებს კასპის ზღვისა და ჩინეთის შუა და რომელსაც ეწოდება სათათრეთი.»

ლაბროსი, ანუ პატერ ანჟელოზი თავის თხზულებაში Gazophylacium linqoc persarum უფრო ცხოვლათ ჰხატავს ზემოთ მოყვანილს აზრსა. ის ამბობს ქართველებზედ (გვ. 136): «ეს ტომი განსხვავებულია ტანის აგებულებით და სიმშვენიერით. ეს არის მიზეზი, რომ დიდძალი ტყვე ორივე სქესისა შემოჰყავთ სპარსეთსა და ოსმალეთში, რომლისაგამო ახლანდელი სპარსეთისა და ოსმალოს სისხლი გამშვენიერდა. ასეთი განსხვავება არის ახლანდელსა და ძველს სპარსეთში, რომ იმათი ძველებური მხატრობა რომ ნახოთ, ცხადათ შენიშნავთ, რომ ძველი სპარსნი ბევრით არ გაირჩევიან მაიმუნებში.»

როგორა გგონიათ უფ. წერეთელო ეს თეორია ბაქრაძის მო-

გონილია, თუ სხვებიდგან არის გამოკვლეული და ბაქრაძეს მხოლოდ უსარგებლია ამითი და არა მოუგონია, როგორც თქვენ ბრძანებთ?

ამავე თავის თხზულებაში წერეთელი შესახებ «საქართველო», ბაქრაძის თხზულებისა, ბრძანებს დაცინებით, რომ იქ აზრიც ძველია, ენაც ძველია, და თითონ ბაქრაძეც ძველიაო.

აბა უფ. წერეთელო, სიტნიკოვობას რომ თქვენთვის გულზედ აგრე არ ეკბინა, ხომ არ დაგავიწყდებოდათ რომ «საქართველო» პირველათ იყო დაბეჭდილი თქვენი რედაქტორობის დროს «დროებაში», როგორც გგონიათ, რას ამტკიცებს თქვენ მხრივ ისა, რომ, როდესაც თქვენს ჰბეჭდით კარგია, და იგივე თხზულება რაკი ცალკე დაიბეჭდა— აღარ კარგა?! ტყუილი იყო, როდესაც ვამბობდი, რომ ჩვენი ლიტერატურის სიტნიკოვები ყველას კარგს უძახიან, თუ იმათის მხრიდამ მოდის, და ყველას ცუდსა—თუ სხვა მხრიდამა? აბა ცხადლივ არ ამტკიცებთ ამასა? ამას გარდა, ნუ თუ თქვენც შეგიძლიანთ ბაქრაძის ენისა და თხზულების განკიცხვა! ენისა და აზრების გარჩევას რომ შეუდგეთ, ხომ თქვენი ენისა კვალიც აღარ დარჩა ქართული კილოსი და აზრები ხომ ღმერთმა უწყის—ძველს უკუთვნის თუ ახალსა . . .

რაკი ამგვარათ დასცემს ძირს საცოდავს ბაქრაძეს, უფ. წერეთელი მომიბრუნდება მე, და მის მტერს ის დღე, რასაც მე მაყენებს. ის იბრძვის იმ ცხარის არგუმენტებით, რომელშიაც ახირებულად არიან დახელოვნებული «კრებულ-დროების» კრიტიკოსები. აი როგორ იწყობს ჩემს შემუსვრას წერეთელი. «ჩვენ აქ მხოლოდ გვინდა შ ე ვ ა ქ ც ი ო თ მკითხველი უფ. ფურცელაძის შეცდომებითა».

იქნება, უფ. წერეთელო, თქვენ განგებაცა სტყენთ «კრებულ-დროების» შეცდომებითა, რომ შეცდომანი შესაქცევრათ მიგაჩნიათ? . . .

რასაკვირველია აქ მკითხველს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ წერეთელი წარმოადგენს ჩემს შეცდომებს და იმით შეაქცევს იმასა.

მაგრამ ნუ ჰფიქრობთ! შეცდომებით შეჰქცევის მაგიერათ ის დასცინის ჩემს თავის მოყვარებას, რომ სიტნიკოვებათ იმიტომ [illegible] და, რომ იმის ოც მოქმედებიანი და ო რ ა ს გამოსვლიანი დრამა, «გიორგი სააკაძე» არ ვაქეთო. დასცინის იმას, რომ მე დიდი ხანია ვსწერ და ბევრსა ვსწერ. შემდეგ გადადის დიმ. ბაქრაძეზედ და დასცინის იმის მწერლობას. ბოლოს ათავებს ასრე: «სტყუის უფ. ფურცელაძე, რომ ჩვენ უფ. ბაქრაძეს არ ვიცნობდეთ, მაგისთანა პატიოსან ძველს მწერალს.»

ამოდენა ლაპარიკში მარტო ესა ჰპოვა ჩემ შეცდომათ, რომ ვითომც მე მეთქვას, რომ წერეთელი ბაქრაძეს არ იცნობდეს. განა დიდი შეცდომებით შეგაქციათ მკითხველო უფ. წერეთელმა! მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს ჩემი შეცდომაც წერეთლის მოგონილია. აბა როდის მოვახსენეთ, უფ. წერეთელო, რომ ბაქრაძეს არ იცნობთ მეთქი? ბაქრაძე მთელი თქვენი «დროების» რედაქტორობის დროს იყო უმთავრესი თანამშრომელი ამ გაზეთისა და როგორ ვიტყოდი — არ იცნობთ მეთქი. ძალიან დამავალებთ, თუ მაჩვენებთ იმ ადგილს, სადაც მე მეთქვას ეს თქვენი უცნობრობა.

ეს შეცდომები ხომ დაამტკიცა წერეთელმა, ახლა იწყობს აქვე ასრეთ: «მე მინდა კიდევ ვამხილო რამდენსამე სიცრუეში უფ. ანტონ ფურცელაძე.»....

აქ შედის ჩემი სიცრუის მხილებაში და მთელის ჩემის რომანიდამ მოჰყავს ჩემს შეცდომათ მხოლოდ ლაპარაკი და ლაპარაკშიაც მხოლოდ ორი სიტყვა რომელთაც, ვითომც არა ჰხმარობენ მეგრელები და მე კი მიხმარნია. რაკი იპოვის ამ ს ი ც რ უ ე ს, წერეთელი მოდის აღტაცებაში და სიხარულით იძახის: «მეგრელმა არ იცის, რა არის სიტყვა ლაჩარი; ამას მარტო ქართლსა დაკახეთში ჰხმარობენ. მეგრელი არც «გადაგვანარჩუნოს» იტყვის. ეს არის ქართული კილო...მაშ რათ შეუტოპავს თავის უგებარს საქმეში უფ. ფურცელაძეს?»

რო დაუგდო ყური სწორეთ მოგაგონდებათ პანკრატი მოლდავანის კომედიაში, რომელიც საშინელის გაცხარებით ისეთქს გულსა, და იძახის: ნუ თუ არ ჴლალადებდეს ცად მიმართ უმეცრება იგი, რომელი იტყვის: «ფორმაო ქუთიისაო!» ისეთის აჯანყებით, ისეთი გულნატკენათ ლაპარაკობს წერეთელი ამ სიტყვების ხმარებაზედ, რომ გვგონებს ქვეყანა იღუპებაო! განა, მკითხველო, დიდი უნიჭობაა მწერლისა, რომელიც დასწერს მთელს რომანს და ორი უმნიშვნელო სიტყვა ისე არ უხმარნია, როგორც უნდა ჴხმარობდეს მოლაპარაკე პირი, მაგალითათ რომ იმერელს ორი ქართული კილოს სიტყვა ათქმევინო. ო! უფალო წერეთელო! ამ კრიტიკაში სჩანხართ სრულიათ თქვენ თქვენის «კრებულითურთ». როგორც ამ შენთხვევაში, ისე ზოგიერთებს გარდა «კრებული» არის სავსე გარეგანის სანახაობით და შიგნიდამ ცარიელი, ან როგორც ქართველები იტყვიან: გარედამ მტერს უბრმავებს თვალებსა და შიგნიდამ პატრონს.

სწორედ რომ კიდეც არა ჴხმარობდნენ უფ. წერეთელო მეგრელები ამ ორს სიტყვას, როგორა გგონიათ, მე იმათი ხმარება ს ი ც რ უ ვ ი თ მომივიდა თუ უბრალო შეცდომით? სიცრუვე ჴქვიან იმას, რასაც კაცი განგებ მოიგონებს და განგებ გადააკეთებს. აი სიცრუვე რომელია, რომ თქვენ ჩემს ტრაგედიას «დიდი-მოურავი» უწოდებთ ოც მოქმედებიანსათ და ორას გამოსვლიანსათ, როდესაც კარგათ იცის, რომ ის არის ხუთმოქმედებიანი და არა მეტი. სიცრუვე იმასა ჴქვიან, რომ იმასით, ვითომც მე მქონდეს, რომ როდესაც მაციმ თოფი მიარტყა მგვაბის, მგვიბი ორ საყენზედ გადამხტარიყვეს, როდესაც კარგათ იცის, რომ მე ო რ ი ს ა ყ ე ნ ი სრულიად ნახმარი არა მაქვს. ამგვარს სხვის აზრის შეცვლას ჩვენში კიდევ რაღაცა სხვა სახელი ჴქვიან.... მაგრამ თქვენ ყველაფერი ნაკისრი გაქვთ.

შემდეგ უფ. წერეთელსა აქვს მრავალი ადგილები ამოწერილი

ჩემი ნაწერებიდამ, მაგრამ რადგან ეს 'ამოწერილები არიან მხოლოდ «კრებულის» ფურცლების შესავსებლათ და არა ჩემი გასარჩევლათ, მე იმაზედ ლაპარაკს არ ვიწყებ და არც დაუშლი: დეე «კრებულმა» აგრ-ცელოს ის აზრები იქა, სადაც იქნება «მნათობი» არ მიდიოდეს.

რომ «კრებულ-დროებას» ხშირად იმ :მიზეზით, რომ ვითომც ციტატებათ მოჰყავთ, ამითი ავსებენ თავის ცარიელ გვერდებს, ეს ახა-ლი ამბავი არ არის. აი თუნდა ავიღოთ მაგალითად ეს მეშვიდე № «კრებულისა», სადაც მთელი ბიბლიოგრაფია ნახევარზედ მეტა ჩემი სტა-ტიიდამ არის ამოწერილი. შემდეგ რამდენისამე უაზრო აზრის სათქმელათ არის მოყვანილი მთელი ლექსი ჭავჭავაძისა, «ანიჩარი»; აგრეთვე «არ სენას» გარჩევა ჩვენი უნიბრჯგუთ უფ. უმიკაშვილისგან არის სავ-სე, ღმერთმა უწყის რა აზრების სათქმელათ, სხვა და სხვა უალაგო ლექსებით, ციტატებითა და თარგმანებითა. ეგრეთვე «დროებას» რო-დესაც შემოაკლდება რამე, გადაჰბეჭდის «მნათობიდამ» მთელს თხზუ-ლებას, ვითომც ციტატათ და შეავსებს ცარიელ ფურცლებსა. აი თუნდა ის №, სადაც არის გადაბეჭდილი «რაესიზმრებამნათობსა„ პავლე ღრეჭიაშვილისა.

რაც შეეხება ნიკ ლომაურზედ იმ აზრის წარმოთქმას, რომ იმის ლექსები იმის დამწერზედ აღვიძებდნენ სიბრალულს, აქ საკითხავია: ლომაური უფრო შესაბრალებელია თავისის ლექსებით, თუ უფ. წერეთელი ამ აზრის წარმოთქმით· უფ. წერეთ. რეკომენდაცია ვერ დასცემს ლომაურს ვერა რიგიანი მკითხველის თვალში. აბა ლომაურს ეწერა კრებულში, თუ გენიოსი არ იქნებოდა.

ახლა გადავიდეთ “დროებასთან„.

. . . . უფ. მესხმა აღარ იცის რა სიტყვებით გამოსახოს თავის მწუხარე-ბა, რომ კიდევგამოვიდაამისიმოუნელებელი‘‘მნათობი„,თავისის სიტნიკო-ვებზედ ლაპარაკით. ჯერ ერთი წარმოიდგინეთ მესხის მწუხარება, რომ მნათობი გამოვიდა! მეორე წარმოიდგინეთ—მესხის საკუთარის სახე-ლით! ის ჰფიქრობს და ვერ მოუფიქრია, თუ ვინ უთხრა მნათობს ესეები. «ჰმ! სიტნიკოვი!... ჰა!... სიტნიკოვი!.... ჰფიქრობს ისა, ოჰ, მნათობო! ოჰ ფურცელამე!... რა გრჯიდათ!.... რა ყურს უგდებ-დით ჩემს ბზუკუნს... მე არც კი მეგონა თუ თქვენ ეს ბზუილი გე-ყურებოდათ... არა, ‘‘მნათობის» გამოსვლა არ მეყოფოდა სევდათა, რომ

ახლა... სიტნიკოვებო... რას იტყვის, თქვენი ჭირიმე, სკანდელი,,.

ამგვარათ უფ. მესხი გამოსულა მეიდანზედ, აჭყავს ხელის კორიანტელი, რომლითაც თითონვე იმღვრებს სინათლეს და რაც ამ კორიანტელში ეჩვენებს, ჭსახავს ჭეშმარიტებათ.

„გამოვიდა, იმახის ისა გულხათუთქული, ამ წლის პირველი წიგნი მნათობისა! (ოჰ, მნათობო, რაგვნაღვლებოდა დაგვემშვიდებინა მეხსის გული, და დასრულიყავ!) გამოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა! შრიალ-გრიალით, ჭექა-ქუხილით და ფურცელაძის კრიტიკული სტატიით და მ ო თ ხ რ ო ბ ი თ!,,

აბა წარმოიდგინეთ გაცხარება, რომ უფ. მესხს რ ო მ ა ნ ი მოთხრობათ ხჩვენებია. მოდი და ნუ დაგეწეწება ფიქრი, როდესაც ჭხედავ მნათობსა, რომელიც გეცილება შ ი მ შ ი ლ ი ს ნ ე რ ვ ე ბ ი ს დასაკმაყოფილებელს გარემოებასა.

ეს არაფერი! ახლა უგდეთ ყური დაწეწას, თუმცა ეს დაწეწა ისე შეცდომით არ წარმოსდგება, როგორც განგება, რათგანა ჭკონია, რომ ვერავინ შემნიშნავსო და ამითი მნათობი სულ მირს დაეცემაო.

„ამ წიგნის ერთი ნახევარი უფ. ანტონ ფურცელაძეს უჭირავს და მეორე უფ. ნიკოლოოზ ავალიშვილის თარგმანს და წუალტუბელს,,.

უფ. კოლო-ბუზო! როგორა გგონია: ერთს მთელს რა ერთი ნახევარი აქვს?—ორი, განა? მაშ რომელს ნახევარში ურევია: „მამა და შვილი,, ბაქრაძის ნათარგნი? „ცხენების მოშინაურება?,, „ქართველი გლეხი?, „უგანასკნელი ბრძოლა?,, „ისტორიული მასალები?,, ვსთქვათ სიცრუვე ბევრჯელ გამოსადეგია, მაგრამ იმისთანა სიცრუვე მაინცა სთქვით, რომ იქვე მახეში არ გაებათ.

სხვათა შორის უფ. მესხს დიდ შეცოდებათ მიაჩნია ჩემი დაუცხრომელი შრომა. „მე შევნიშნე, რომ სადაც კი ფურცელაძე ფეხს ჩასდგამს, ამბობს ისა, ლაზათიანათ ჩასდგამს, ასე რომ იმისი ფეხის ჩადგმა ყოველ-

თვის საგრძნობელია. აი თუნდა ესლაც: მნათობის ორი ნაწილი მთლად ბელეტრისტიკული და კრიტიკული იმას დაუჭერია,,.

განა მკითხველო დიდი შეცოდება მამიძლევის, რომ, თუ საქმეს ხელი მოვკიდე, ვეცდები, რომ შემძლების დაგვარათ სინიდისიერათ წაიყვანო და არა გზოგავ ჩემ შრომას! ის არა სჯობია, რომ საქმეს ხელი მოვკიდო, მასუკან . . . . . . . . . . . . . . ვირბინო და საქმე გავუშვა ღვთის ამარობაზედ და რაც შემხვდეს ისა ვეჭვდო! დიახ, დიდი ცოდოა შრომა, მაგრამ რა გეწყობა, მიკისრია ეს ცოდო, დამემძრახონ.

მაგრამ უფ. მესხი არა სჯერდება მარტო ამგვარათ ჩვენს შერცხვენას, ის ცდილობს, რომ სხვათვრივაც კიდევ დამარცხვინოს ჩემის შეცდომებით, რომელნიც მოუხერხებია თითონ მესხს, და რომელშიაც მე წილი არ მიდევს.

როდესაც ლაპარაკობს ის ჩემს რომანზედ: "მაცი ხვიტია,, აი რას ამბობს, ვითომც მე მქონდეს ჩემს რომანში. "ს ა მ ი  ი მ ა თ გ ა ნ ი ერთმანერთს შეაკლა: ჯერ ერთმა მეორე მოკლა ქურდობაში; მერე მეორემ მესამე, და შემდეგ ეს მესამე მ ო კ ლ უ ლ ი  წ ა მ ო ს ტ ა  ზეზე და მეორეს ჩაუსვა გულში ტარამდი ხანჯალი... (ნახე მნათობის მე—30 ფურცელი,,).

ახა ვნახოთ.

აი რაარის მეოცდა ათე გვერდზედ.

"მაციმ იძრო თოფი. მგვიბი მსწრაფლათ გამოძვრა ცხენს ქვეშიდამ. იფეთქა მაცის თოფმა და მგვიბი გაეხვა თოფის წამლის კომლში. ტყვიამ გაუარა იმას გულში. მაგრამ მინამ იგრძნობდა ამას, ის გამწარებული, ვეფხვის სიმარდით, ერთის ნახტომით დაიბადა მაცისთან. მაციმ იძრო ხანჯალი და ორივემ თვალის დასამხამების უმალ ჩაუსვეს თითო ხელით ერთმანერთს ტარამდინ ხანჯალი,,.

სად არის ერთი მიბრძანეთ აქ, რომ მოკლედ წამამატარიყვეს? ან სად არის, რომ სამნივენი ერთმანერთისთვის შემეკლას?... როგორ მოგწონთ უფ. მესხო ამგვარი თქვენი მოქმედება! განა ეს უფრო მოსაწონია, ვიდრემ ბევრი და სინიდისიერი შრომა?!,.

უფ. მესხის ამგვარი ქცევა ამითი არა თავდება. ის ორის სიტყვითა ჰხსნავს რომანს, რომლისაც ჯერედ იქნება მეშვიდედიც არ იყვეს დაბეჭდილი. «ამ რომანის შინაარსი ორის სიტყვით გამოთმის,— ამბობს ისა:—მოქმედება რომანისა მდგომარეობს ცხენების ქურდობაში». დიახ, უფ. მესხო, მე არა ვსცდებოდი, როდესაც ვამბობდი, რომ სიტნიკოვებს არ შეუძლიანთ, მეთქი, არიფრის მოსაზრვა და ყველაფერს ახსნის თავისებურათ და ყველას მისცემს ისეთს აზრს, რასაც აწვევს თავისი წამხდარი მიდრეკილება. აბა ერთი ბაზაროვი სადმე მონახეთ და ჰკითხეთ, რომ, ნუ თუ ჯერ მარტო იმ რომანის დასაწყისში, რომელსაც თქვენ არჩევთ, არა არისრა, გარდა ცხენების ქურდობისა?... ეგ ვსთქვათ აგრე, მაგრამ შემდეგისა რაღა იცით, რომ რა იქნება რომანში?

რამდენიც უფრო ლაპარაკობს ჩემზედ, იმდენი უფ. მესხი თან და თან ცდილობს ცილებსა და არ ვიცი დაფიქრდა თუ არა, რომ ამ ცილების გამომყაპრება შემეძლო. სხვათა შორის აი რას ამბობს, რომ ვითომც მე მეწადმართნოს ამგვარათ. «რომანის გმირები და ქართველი მწერლები რათ ჩავარდება იმასთან, რომ უფ. ფურცელაძემ საქმე უფო დრეპერსა, ბოკლსა და სხვა მეისტორიეთა და ფიზიოლოგებს, სრულიად გააქარწყლა ისინი.»

აბა, უფ. მესხო, ერთი გვიბრძანეთ ეგ რომელი სხვა მეისტორიენი და ფიზიოლოგები გავაქარწყლე, ან რო-

მღებზედა მქონდა ლაპარაკი? რაც შეეხება ბოკლის გაქარწყლებას, მე მოვიყვან ჩემს უკანასკნელს აზრს ბოკლზედა, რომლითაც მკითხველი დარწმუნდება, რომ მე გარდა დიდის პატივის ცემისა და მაღალის აზრისა, ბოკლის გაქარწყლება გუნებაშიაც არა მდებია. “ბოკლს ეს სიკეთე მოუძღვის კაცობრიობასთან, ვამბობ მე, რომ უჩვენა ქვეყანას ნამდვილი მნიშვნელობა ისტორიისა, ისტორიას მისცა ადგილიმეცნიერებათა შორის; მოიყვანა ცნობაში, რამდენათაც კი ერთის კაცისაგან შესაძლებელი იყო და რაც კი მოიპოვებოდა იმის დრო, ის კანონნი და მოვლინებანი, რომელნიც ჰმოქმედებენ კაცზედ, და მისცა იმათ იმგვარი სისტემა, რომ შემდეგ ნიჭიერს მეისტორიეს გაუადვილდება შრომა და დადგება სარწმუნო გზაზედ. ამგვარის კანონის ახსნით და ამგვარის ისტორიის სწორე გზაზედ დაყენებით, ბოკლი კაცობრიობისათვის გახდა იმ გზის მაჩვენებლათ, რომელიც გადაარჩენს უგზო უგლოთ მომავალებს მრავალს განსაცდელსა, რათგან შესაძლებელი იქნება თავის დროს შეიტყოს ნამდვილის საბუთებით რისგან რა მოგვივა და რა მოვლინებისაგან რა დაგვემართება. მაშინ შეგვეძლება იმას მაინც მოვერიდნენ მომავალში, რომლისაც მორიდება ჩვენთ ხელთ იქნება,,.

განა, მკითხველო, მე ვცდილობ ბოკლის გაქარწყლებასა?! ამას რა ჰქვიან თქვენში უფ. მესხო? თქვენთვის მომინდვია ამგვარის თქვენის გცევის სახელის წოდება.

ერთის სიტყვით უფ. მესხი დაუცხრომლათ ცდილობს ჩემი აზრების შეცვლასა და წახდენას ისე შეუპოვრათ, თითქო მართლა უგნონი გვნახა და რასაც უნდა იმას დაგვწამებს.

მე შესახებ იმისა, რომ დრეპერი ამტკიცებს, ვითომც ხალხები ბერდებიან და იხოცებიან თავისის დღით და სიბერეში კაცს აღარ იტაცებს არა ვითარი მაღალი აზრი და ლტოლვილება, ვამბობ, რომ საფრანგეთი, რომელიც დრეპერისავე აზრით არის სიბერისკენ გადახრი-

ლი, არის ისე გატაცებული თავის ეკონომიურის წესის შესაცვლელათ, რომ ამერიკა, რომელიც დრეპერის აზრით უნდა იყვეს ყმაწვილი, არა ყოფილა ასე გატაცებული არა მაღალის აზრითა, მესხი მე-კითხება:,, ამერიკის ურთიერთშორისი ბრძოლა, ნეგრების განთავისუ-ფლების თაობაზედ, რაღა არის ფურცელაძე? ეკონომიურის შეცვლი-სთვის არ იყო ეს ბრძოლა?

აქედამ უნდა იფიქროს მკითხველმა, ვითომც მე უარსა ვყოფდე, რომ ამერიკელები არა ყოფილიყვნენ გატაცებულნი ნეგრების განთავი-სუფლების მაღალის აზრით, ან ვითომც მე ვამბობდე, რომ საფრან-გეთი იყვეს გატაცებული ეკონომიურის აზრით და ამერიკა კი არა. ნა-გრამ, – გთხოვ მკითხველო კარგათ დაფიქრდე,—აი მე რას ვამბობ. მე ვამბობ, რომ ისე არა ყოფილან ამერიკელები მაღალის აზრით გატაცებულნი, როგორც საფრანგეთი. რაიცა შეეხება იმასა, რომ ვითომც ნეგრების განთავისუფლება ეკონომიურის წე-სის შესაცვლელათ ყოფილიყვეს, მე ამაზედ სრულიად ლაპარაკი არა მქო-ნია, მაგრამ რათგან მესხი ბრძანებს, ურიგო არ იქნება რომ ვისმე ბაზაროვს დაეკითხოს: ეკონომიურის წესის შესაცვლელათ იყო ბრძოლა ნეგრებისა-თვის, თუ მონობიდამ გასანთავისუფლებლათ.

შემდეგ ამავე დრეპერის აზრის დასარღვევლათ და დასამტკიცე-ბლათ, რომ ხალხი ყმაწვილი და ბებერი ფიზიოლოგიურათ შეუძლე-ბელია, მეთქი, მე მომყავს, დრეპერის აზრით, ბებერი ევროპის ხალ-ხებიდამ გამოსული ჭკვიანები, მაგალითად ბოკლი, დარვინი, ლიბიხი და სხ., რომელთა ბადალს ჩვენ არა ვხედავთ, დრეპერის აზრით, ყმა-წვილს ამერიკაში, და რათგან სიბერეში ჭკუა ელევა კაცს, როგორ მოხდა, რომ ბებერი ევროპა იჩენს ამისთანა ჭკუას და ყმაწვილ ამე-რიკაში ჯერ ვერავინ გვინახავს ამათთანა ჭკვიანები, მეთქი, მაშინ რო-დესაც დრეპერისავე აზრით სიბერეს ჭკუა აღარ მოხდევს. აქ მესხი მეკითხება: “რომელი ხალხი გირჩევნიათ თქვენ უფ. ფურცელაძე: ის,

სადაც მილიონები უმეცრებაში და სიღატაკეში არიან ჩავარდნილნი და თითო ოროლა სწავლულებია, თუ ის ხალხი, რომელშიაც დიდიდამ პატარამდე და პატარიდამ დიდამდე გონება გაღსნილი და კეთილ-მდგომარეობაში იმყოფება? (აი თუ მახვილგონიერი არ არის უფ. მესხი!)

უფალო მესხო, როგორა გგონიათ, მე აქ არჩევანზედ ვაგდებდი საქმესა, თუ მხოლოდ უნდა დამემტკიცებინა, რომ ფიზიოლოგიურის წესით ზებერი და უმაწვილი ხალხი არ არის, და ყველანი ერთი კაცის შვილნი ვართ და ყველანი ერთის ხნისა, მეთქი? . . . . .

შემდეგ უფ. მესხმა გამოიჩინა ცოდნა, რომ იცოდა ფიზიოლოგია და ჭკუა თავისებურათ, ვითომც მე ვამტკიცებდე, რომ მოვიპოვე მეთქი შიმშილის ნერვები. ის ფიზიოლოგებს მიმართავს ჩემდამი დაცინვით ამგვარად: ''გისაროდეთ ფიზიოლოგებო! გამოჩენილმა ფიზიოლოგმა ფურძელაძემ აღმოაჩინა, რომ კაცის სხეულში, სხვა ნერვებს გარდა იმყოფება სიმშილის ნერვები და თავის ტვინში არის სიმშილის საგრძნობელი ალაგი. (ნუ თუ არა უ. მესხ.?) ამან აღმოაჩინა კიდევ, რომ ეს ნერვები ირყევიან.ბარაქალა ფურცელაძე,ემაგრე გამოგვაჩინე ქართველები,,.

დიას, მკითხველო, ვისაც არ წაგიკითხავს ჩემი სტატია, გეგონება მართლა ვითომც მე ფიზიოლოგიურს ტრაქტატსა ვაწერდე და ვამტკიცებდე, რომ სიმშილის ნერვები ვიპოვნე მეთქი და სიმშილის საგრძნობელი ალაგი თავის ტვინში. მაგრამ საქმე აი რაში მდგომარეობს. მე ვლაპარაკობ კაცის მეხანიკურს მოქმედებაზედ და მომყავს მაგალითები, როგორც ნერვები იღებენ გრძნობასა, გადააქვთ გრძნობა ტვინზედ წმინდათ მეხანიკურათ და მოდიან მოქმედებაში კაცის ასონი და ცნობანი. მხოლოდ ამგვარის მაგალითისთვის მომყავს, რომ საზრდოს დაკლებით ირყევიან სიმშილის ნერვები, რომელთაც მოჰყვეთ მოქმედებაში თავში ამ გრძნობის სამყოფი ალაგი და აქედამ სხვა ალაგნი, რომელნიც ამოქმედებენ ამ საჭიროებისთვის კაცსა. ვკითხოთ

ახლა უფ. მესხსა: ვიკვლევ მე ფიზიოლოგიურთა მოვლინებათა და ვამბობ, რომ გიპოვნე ეს ნერვები, თუ ამას მხოლოდ ვამბობ მაგალითისთვის! რაიცა შეეხება, რომ ეს მაგალითი არ არის უსაფუძვლო, რათგან ხელათ სხვა ფიზიოლოგიური თხზულება არა მაქვსრა, რომელიც შეხებოდეს ნერვთა სისტემას, მოვიყვან სეჩენოვის თხზულებიდამ "Рефлексы головною мозга„ რომელსამე ადგილებს, რომელნიც შეეხებიან ამ საგანს. ის ლაპარაკობს, თუ რარიგათ აღძრავენ და ამოქმედებენ ყოველ რიგი გრძნობანი კაცსა და ამბობს ამათ დასაბამზედ. "ამ მოვლინებათა გახსნათა პროცესსი არის იგივე, რომელიც არის აღწერილი საზოგადოთ უნებურათ მოძრაობის წარმოებაზედ. დასაწყისი საქმისა არის—შერყევა მგრძნობელის ნერვისა; შემდეგ—ამისა მოქმედება ცენტრთა.„ როგორა ჰფიქრობთ უფ. მესხო, შიმშილი არის საგრძნობელი თუ არა? თუ არის, მაშ რა მიზეზია რომ ამას არა ჰქონდეს თავისი მგრძნობელი ნერვი და ამ ნერვთა ცენტრი?! რაიცა შეეხება იმასა, რომ ჯერეთ არ არის ეს გამოკვლეული, ეგ კიდევ არ ამტკიცებს იმასა, რომ არ იყვეს. ამის დასამტკიცებლათ მე მოვიყვან ერთს ალაგს უფ. სიმონოვის თხზულებიდამ "участіе первной системы въ жизни животныхъ„, რომელიც იყო დაბეჭდილი "Современное обозрѣніе„ში "ყოველს ნაწილს სხეულისას აქვს, — ამბობს ისა, — (გარდა ფრჩხილებისა, თმისა და სხვა) ნერვები, რომელთაგანაც ზოგსა აქვს ცენტრთა სალტოლველო (центростремительная) მოქმედება და ზოგთა ცენტრთაგანმრიდო (центробѣжная)„. ნუ თუ უფ. მესხო კუჭი არ არის ნაწილი სხეულისა?! რაც შეეხება იმასა, რომ რაკი მოპოვებული არ არის აქამდინ, განსაკუთრებით შიმშილის ნერვი, მაშასადამე არც უნდა იყვესო, ამავე სტატიიდამ მოვიყვან მესხის შესაგონებლათ ერთს ალაგს კიდევ. სიმონოვი ლაპარაკობს იმაზედ, რომ ბევრჯერ შეგვხვდება ლაპარაკი იმ საგნებზედ, რომელნიც თუმც მოპოვნილნი არ არიან,

მაგრამ ფიზიოლოღიურის გამოყვანაებიდამ უეჭველათ უნდა იფიქრო-
და ამბობს: «ჩვენ ისინი არ უნდა გვეჩვენონ არც უსაფუძვლოთ, არც შეუსამებლათ, როგორც არც გვეჩვენებიან ამგვარათ მრავალი ფიზიკური და ასტრონომიული გამოყვანანი (выводы). რომელნიც არიან დამყარებულნი ტეორიულს მოსაზრებაზედ....»

ასე უფ. მესხო! ესლა ჯერც ერთი რიგიანი ფიზიოლოღი არ არის, რომელიც აპრიორი არ იყვეს იმ აზრისა და ლოღიკურათ არა დგებოდეს იმ აზრზედ, რომ ყოველს სპეციფიურს გრძნობას აქვს თავისი მგრძნობელი ნერვი და ამ ნერვთ თავისი ცენტრი ტვინში. რა მიზეზია, რომ არის საყნოსვლის ნერვი თავისის ცენტრით, სმენის ნერვი თავისის ცენტრით, სახედავი ნერვი თავისის ცენტრით, სასუნთქავი ნერვი თავისის ცენტრით და სხვა, და შიმშილს არა ჰქონდეს თავისი ნერვი ცენტრითა, როგორც სპეციფიურს გრძნობას!

ამას გარდა, ნუ თუ იმ კუჭის ნერვთ, რომელნიც ჰგრძნობენ საჭმლის რაოდენობასა, არ ეთქმოდეს შიმშილის ნერვობა. აქ, უფ. მესხო, ან უნდა დათანხმდეთ იმაზედ, რომ შიმშილიც გრძნობაა და მაშასადამე არის ნერვი, რომელიც ამასა ჰგრძნობს, ან უნდა დაამტკიცოთ, რომ შიმშილი არ არის გრძნობა და მაშასადამე არც მგრძნობელი ნერვი ექნება. თუნდა რომ სპეციფიურიც არ იყვეს ეს გრძნობა, (რომელზედაც არც ძალიან აგიხირდებით) რაკი არის გრძნობა, უნდა ჰქონდეს ნერვი, რომელიც ჰგრძნობდეს ამასა. თუნდა ეს ნერვი იყვეს მგრძნობელი სხვა გრძნობაებისაც, მაინც ეთქმის ამასა შიმშილის ნერვი, როგორც მაგალითათ შეიძლება ერთი სახლი ეკუთვნოდეს პეტრესა და ივანეს და ითქმოდეს: ივანეს სახლათაც და პეტრეს სახლათაც.

ნეტავი მაცოდინა უფ. მესხო, მაშ ის რომელი ნერვი მოქმედებს, რედესაც კაცი იწყებს ყოველ დღე სიარულსა, დგას მთელი დღე სხვის ეზოში და ელის მის პატრონს, მდიდარს დარდიმანდს, უწევს ლაქუცსა,

. . . . . აქებს პირში, რომ რა არის ერთი სადილათ [illegible] და ერთი ორი სადილის ფული მომცესო? . . . . . . .

ახლა გადავიდეთ ნერვების რყევაზედ. უფ. მესხი დამცინის, რომ მე მიხმარნია ნერვების რყევა (раздраженіе). «იმან აღმოაჩინა კიდევ, რომ ნ ე რ ვ ე ბ ი ირყევიან.» იძახის მესხი. მკითხველს, რასაკვირველია, ცხადი საბუთი აქვს, რომ დაუჯეროს უფ. მესხსა ამგვარი საქმეების შესახებ, რადგან ის გახლავთ ბუნებითი საგნების ფაკულტეტ დასრულებული პეტერბურში უნივერსიტეტში. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ თავის სპეციალურ საგანშიაც უფ. მკითხველო, უფ. მესხი გამოდგა სრული შემცდარი. შორს რომ არ წავიდეთ ეხლავე მოვიყვან სეჩენოვის სიტყვებს ამის შესახებ, რომელიც თქმა აღარ უნდა მესხზედ უფრო სარწმუნო ავტორიტეტია. "ისინი წარმოსდგებიან (უნებური მოძრაობანი) მხოლოდ შემდეგ ცხადის საგრძნობელი ნერვის შ ე რ-ყ ე ვ ი ს შემდეგ.,, რასაბრძანებთ უფ. მესხო? ირყევიან ნერვნი თუ არა?

მაგრამ განა არ ვიცი ეს შ ე რ ყ ე ვ ა რათაც გვეცათ გულში. თქვენ წარმოვიდგენთ პავლე ღრქმიაშვილის ლექსი და ითავიდეთ რომ ზოგიერთა ტვინს გარდა სხვა რამეც ი რ ყ ე ვ ა.

აბა უფ. მესხო! როგორა გგონიათ ჩემი კრიტიკა უფრო ახლოა ბოკლისა და დრეპერის თხზულებაებზედ, თუ თქვენი გარჩევა ჩემს თხზულებაებზედ. თქვენ ბევრის თქვენის მეცადინეობით ვერ გიპოვნიათ ჩემს ნაწერებში შეცდომა შესახებ იმ პირებისა, რომელზედაც მე ვსწერ, და თქვენი ნაწერები მთლად შეცდომანი გამოვიდნენ ჩემი სტატიების გარჩევის შესახებ.

რაც შეეხება სიზმარს, რომელიც მე-9 "დროების,, № ფელეტონში უნახავს ავტორსა და კითხულობს: რასა ნიშნავს ეს სიზმარიო. ამისი ახსნა მე შემიძლიან. იმ საზოგადოებამ, რომელიც სიზმარში უნახავს მეფელეტონეს, მე ვნახე სიზმარში, რომ გადაწყვიტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თავის შორის არ შეუშვას არც ერთი ნიჭიანი კაცი, რომ ამით თვითონაც არ შეეცხოს ნიჭი.

ამ აღსნის შემდეგ იმედი მაქვს, რომ „დროება" აღარა ნახავს ამგვარს სიზმარს. . . . . . . .

ბოლოს ერთსა ვკითხავ უფ. მესხს და წერეთელსა, რადგან მწამებენ, რომ ვითომც მე ბაქრაძე ბოკლზედ მაღლა დავაყენე, მიჩვენონ ჩემს თხზულებაში ერთი იმისთანა ადგილი, სადაც არამც თუ მაღლა ვაყენებდე ბაქრაძეს ბოკლზედ, ან კი უდრიდე ამას იმასა. მაგრამ სადაც ამდენი სიცრუე ილაპარაკეს, ესეც მოეტევებათ. რა ჰქნან, რომ სხვა არგუმენტები არა აქვთ: ან უნდა უგონონ ცილი კაცსა, ან უნდა უც-ქიროდნენ თავსა და ფეხებში, რომ ფიზიკური ნაკლულევანება ხომ არა აქვსრაო, რომ ეგება ეს მაინც შევნიშნოთ, რომ ამითიც არის დავამცროთო.

ეს გახლავთ უფ. მესხისა და წერეთლის კრიტიკა. აბა თუ ან ფიქრათაც კი მოუვიდათ იმათ არსებითი მხარეზედ ლაპარაკი ჩემის ნაწერებისა. აქ უნდოდა გონების გამკრა და იმ სფერაში შესვლა, რომელიც მაგათ არ ეკუთვნოდათ. ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ გარეგანს გარემოებაზედ, ურომლებოთაც ჩემი სტატიები სრულიად არასა ჰკარგამენ, და ისე ცხარეთ კი ლაპარაკობენ, იტყვის კაცი რომ ქვეყანა ვისმეს დაუღუპავს და ამათ დაუხსნიათო. ესეც ამ გარეგანს სანახაობაში, როგორცა ნახა მკითხველმა, არც ერთში მართალნი არ გამოდგნენ ეს რეცენზენტები, ამათი ნაწერები შერდგა მთლათ ცრუ მოგონებებიდამ და ისიც იმისთანა მოგონებებიდამ, რომელიც სრულებით არა ვნებდა ჩემს ნაწერებს, თუნდა რომ ისეცა ყოფილიყო, როგორც ისინი მწამებენ. . ახლა ჰკითხეთ: რაზედ იწუხებდნენ თავს!

ანტონ ფურცელაძე.

1872 წ. 25 მარტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საბიბლიოგრაფიო განცხადება.

**დიდი მოურავი**, ტრაგედია ანტონ ფურცელაძისა ისყიდება: თბილისში წიგნის მაგაზინში ვართანოვისა და სემინარიაში იაკობ გოგებაშვილისას, ქუთაისს სემინარიაში ბერასიმე ქალანდარიშვილთან და დავით აბდუშელიშვილისას და ლუარსაბ ლოლუასას, თელავს ლევან ჯანდიერთან.

დუმბაძის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ეფიანჯიანის და ალასათოვის წიგნების მაგაზიებში, სემინარიაში (იაკ. გოგებაშვილთან) და «მნათობის» რედაქციაში ისყიდებიან:

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ-ნახევარი, მომსხო ქაღალდზედ ორი მანეთი.

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

ბავშვების მოვლა, თხზულება კომბისა, თარგმნილი ვას. მაჩაბლისაგან. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემა. ფასი ყველგან ორი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სასწავლებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით ფასი ყველგან ცამეტი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. კ—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი სამი აბაზი.

არითმეტიკა, ·შედგენილი ვახტანგ თელაშვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი სამი შაური.

თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ავტორის სურათით. პირველი და მეორე ნაწილი. ფასი სამი აბაზი, თბილისში.

დავითიანი, ლექს. თხზ. თ. დავ. გურამიშვილისა (ძველი მწერლობა). ფასი ათი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მნათობი» ამ 1872 წელში გამოდის იანვარიდგან ყოველ თვე-თითო წიგნის სივრცე არის შვიდიდგან ათ დიდ თაბახამდის.

## ამ 1872 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში შვიდი მანეთი. ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სასულიერო სემინარიაში, უფ. სემინარიის მასწავლებლის გიორგი იოსელიანის სახელზედ.

ქუთაისში: უ. გერასიმე კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში.

გამომცემელი ი. გ. რედ. ნ. ავალიშვილი.